ართვინი

ქართული პრესის ფურცლებზე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მირიან ხოსიტაშვილი

ართვინი

ქართული პრესის ფურცლებზე

ქართული ეთნოგრაფიული
მემკვიდრეობა III

თბილისი
2020

UDC (უდკ) - (560.644)+025.173
ხ-783

რედაქტორი: **მირიან ხოსიტაშვილი**
ტექნიკური რედაქტორი: **გიორგი ჩუბინიძე**
დაკაბადონება: **გიგი გელაშვილი**

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
© მირიან ხოსიტაშვილი
ISBN: 978-9941-9653-5-7

სარჩევი

წინასიტყვაობა.....5
ცნობის ფურცელი
შავშეთი (ართვინის ოლქი).....11
ქ. ართვინი (ართვინის ოლქი).....11
ართვინი.....12
ლანჩხუთელი ვანო
შავშეთი (ართვინის ოლქი).....13
წერილი ართვინიდან
ცხოვრება ართვინში. - აქაური ახალი ამბები.....15
ართვინი.....16
წერილი ართვინიდან
ხალხის სიბნელე. - დიდი თოვლი. - ავადმყოფობა.....17
ართვინი.....18
სოფ. ქურა (ართვინი).....18
ს. ბორჩა (ართვინი).....19
ს. ბორჩა (ართვინი).....20
წერილი ართვინიდან
მასწავლებლის გადაყვანა. - უთაურობა. - ძველი მონასტრები.21
„ნოვ. ვრ."-ს ართვინიდან დეკეშით ატყობინებენ: 23
სოფ. ძანსული (ართვინი).....23
წერილი ართვინიდან.....24
წერილები
ქ.ართვინი.....25
ივერია
ართვინი: 27
დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბები).....27
ართვინი.....30
ართვინი.....30
წერილი მურღულიდგან
(ართვინის ოლქი).....31
ფელეტონი
ართვინი.....35
ართვინი.....40
ართვინის (კლარჯეთამდის) გათათრება.
(ნაამბობი ბ. ლუკა ანდღულაძის მიერ).....41
ართვინი.....43
შავშეთი.....44
ართვინი.....46
წერილი შავშეთიდან.....47

მურღული.....51
შავშეთი (ართვინის ოლქი).....52
მურღულის ხეობა.....54
ართვინის ქართული სახარება.....56
ართვინის მაზრა.....57
დროება
ფელეტონი გამაჰმადიანებულ საქართველოში. (მგზავრის შენიშვნები ართვინიდგანარდანუჯამდი).....59
„დროების“ კორესპონდენცია
ართვინი.....63
„დროების“ კორესპონდენციები.....64
ხმა ახალ-აღებულ უდაბნოდამ.....66
საქართველო
ჩვენები ომში ქ. ართვინის აღება.....71
ჩანგი
მუშათა შორის ძანსული (ართვინის ოლქი).....74
მომავალი.....76
მწყემსი.....77
კვალი.....81
ქ. ართვინი.....81
მეურნე
„მეურნის“ მატიანე.....83
ლახვარი
მუშათა შორის.....84
ისარი
სამშობლოში დაბრუნებული სომხები.....85
დილა.....86
ამირანი
წ.კ. საზოგადოების ახალი სკოლა.....87
ეშმაკის მათრახი
ყოფილი.....88
რესპუბლიკის ჯარი
ქრონიკა.....91
ნაკადული
საქართველოს წყლები (მოკლე გეოგრაფიული მიმოხილვა).....92
რკინისგზელი
კვირიდან კვირამდე საქართველოში.....98
კავკასიის კომუნა ბათომში
ართვინის ოლქი.....99
მუშის შრომა
ართვინი.....99

წინასიტყვაობა

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დიდი ნაწილი დღეისათვის თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებშია მოქცეული. მეცხრამეტე საუკუნესა და მეოცე საუკუნის დასაწყისში მრავალი ექსპედიცია მოეწყო ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე, მრავალი მკვლევარ-მოგზაური აფიქსირებდა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაში ამა თუ იმ ელემენტის არსებობას ქართული კულტურიდან. ასეთ ელემენტებს დღესაც შევხვდებით მეტ-ნაკლები ინტენსივობით. მას შემდეგ, რაც ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინა 1921 წლის თებერვალში, იგი აქტიურად შეუდგა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დანაწილებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. სწორედ ამ სიტუაციაში 1921 წლის 13 ოქტომბერს ქ. ყარსში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს ისტორიული მხარეების ნაწილი ოსმალეთს გადასცა, საბოლოო შედეგი კი ის იყო, რომ საქართველომ თავისი მიწა-წყლის ნაწილი დაკარგა. 1921 წლიდან მოყოლებული 90-იანი წლების დასაწყისამდე ქართველი მკვლევარები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას რომ საქართველოს ამ ისტორიულ მხარეში სამეცნიერო კვლევა-ძიება ეწარმოებინათ. მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და თურქეთის სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დალაგება დაიწყო, ქართველ მეცნიერებს შესაძლებლობა მიეცათ მრავალი სამეცნიერო ექსპედიცია მოეწყოთ და დღესაც გრძელდება ასეთი ექსპედიციები ტაო-კლარჯეთში, თავადაც მრავალი ექსპედიციის წევრი გახლდით ამ მხარეში.

ქართველთა ისტორიული ძნელბედობის მიუხედავად ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი და მისი მოსახლეობა დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებდა და დღესაც ინარჩუნებს ქართული კულტურის მახასიათებლებს. ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე ხშირად შევხვდებით ეთნოლოგიურ მასალას, რომელსაც ცალსახად ქართულ ფესვებთან აქვს კავშირი. ეთნოლოგიური

მასალის გაანალიზებისას ვიგებთ, რომ ართვინსა და თურქეთის სხვა ტერიტორიაზე კომპაქტურად ჩასახლებულმა ქართველებმა ისტორიულ სამშობლოსთან დიდი ხნის თანაცხოვრების წყვეტის მიუხედავად ყოფითი კულტურის მახასიათებლები კვლავაც შეინარჩუნეს. ართვინის ვილაიეთის ადგილობრივ ქართველებში დანარჩენ საქართველოსთან ყველაზე დიდი კავშირი თამარ მეფის ხსოვნასა და მის საკრალურ არსებობაზე გადის. დიდი მეფის ხატება საქართველოს ყველა მხარის მოსახლეობისთვის უმნიშვნელოვანესია, განურჩევლად რელიგიური აღმსარებლობისა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად შევხვდებით სხვადასხვა ადგილს, ხიდს, რუსა თუ ნაგზაურს, რომელიც ადგილობრივ ქართველთა წარმოდგენით თამარის აგებულია და მის სახელს ატარებს. ცხადია, ეს ყოველივე რწმენით დაკავშირებულია იმ დიდ და ძლევამოსილ წარსულთან, რომელიც სწორედ თამარ მეფის დროს იყო და მათი საამაყო წარმომავლობის ნაწილია, რომლითაც დღესაც საზრდოობს და ქართველობასთან ისტორიულ წარსულს აიგივებს.

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით, თურქეთის რეს-პუბლიკაში, ისტორიული საქართველოს მხარე- ტაოში, მდებარეობს ართვინი. ართვინში დიდი აღმშენებლობა ვახტანგ გორგასლის სახელთანაა დაკავშირებული, ხოლო შემდგომი განვითარება, როგორც ართვინის, ისე მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსი, ბაგრატიონებს უკავშირდება. იგი იყო ქართველთა სამეფოს განუყოფელი ნაწილი და ისტორიული ქარტეხილებიც ისევე გაიარა (შეიძლება უფრო რთულადაც), როგორც დანარჩენმა საქართველომ.

ართვინის გუბერნია (ვილაიეთი) დღეისათვის 7267 კვ.კმ-ს მოიცავს, რომელსაც არტაანის, ერზრუმის, ყარსისა და რიზეს გუბერნიები ესაზღვრება. ართვინის ტერიტორია საკმაოდ კლდოვანია, შუა კი მდინარე ჭოროხი ჩამოუდის, რომელიც დღეს დიდი კაშხლების წყლით მომარაგების წყაროდ აქციეს. ვინაიდან ართვინის მხარეში გავრცელებულია ერთის მხრივ, შავი ზღვის თბილი, ხოლო მეორეს მხრივ, კონტინენტური კლი-

მატი, დაბლობებში კარგად ხარობს ხილისა და ბოსტნეულის მრავალი სახეობა. აქაურ ქართველებში დღესაც შემორჩენილია ტრადიციული ქართული კვებითი კულტურა. ტრადიციულ კერძებს განსაკუთრებით დღეობებზე ამზადებენ. ხალხში ისტორიული დღეობები დღესაც ცოცხალია და ადგილობრივები დღესაც აღნიშნავენ. ასეთი დრღეობებია: მარიობა და შუამთობა, ასევე ტრადიციულად აწყობენ ბუღების დაჭიდებას. ამ ღონისძიებისთვის დიდი ენთუზიაზმით ემზადებიან და ხშირად ბუღებს სწორედ ამ დღისთვის ზრდიან. ადგილობრივებში ეს ღონისძიება „კავკასორსის“ სახელითაა ცნობილი. ეთნოგრაფიულად დადასტურებულია, რომ ამ ტიპის პაექრობა საქართველოს სხვა მხარეებშიც იმართებოდა.

1877_1878 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ ართვინი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადავიდა. ოსმალეთსა და რუსეთს შორის დადებული შეთანხმების მიხედვით ადგილობრივ მოსახლეობას მიეცა თურქეთის ქალაქებში გადასახლების საშუალება. მიგრაციულ პროცესებს ორივე მხარე აქტიურად უწყობდა ხელს. რუსეთი მისთვის არასასურველ მოსახლეობას იშორებდა, ხოლო ოსმალეთი სანდო ხალხს ასახლებდა მის ცენტრალურ ტერიტორიებზე. ასე შეიქმნა მრავალი დასახლება ეთნიკურად ქართველებისა ბურსის რეგიონში, სტამბოლში და სხვა დიდი ქალაქების სიახლოვეს. დღეისათვის საუკუნენახევრის წინ გადასახლებული მოსახლეობა ზაფხულობით უბრუნდება მშობლიურ მიწა-წყალს. 2011 წლის თურქეთში მოსახლეობის აღწერის მიხედვით ართვინის გუბერნიაში ცხოვრობდა 166394 ადამიანი. ცხადია, ეთნიკური შემადგენლობის გამორკვევა ამ რაოდენობიდან ძალიან ძნელია, ვინაიდან თურქეთის კანონმდებლობით მოსახლეობის აღწერისას ეთნიკური კუთვნილება არ იწერება და ყველა თურქადაა მიჩნეული, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ეთნიკურ ქართველთა ხვედრითი წილი დიდი უნდა იყოს. საქართველოს სამეფოს ზეობის პერიოდში მრავალი ციხე, ეკლესია თუ ხიდია აგებული, ასევე კულტურული მემკვიდრეობის მრავალი ძეგლია აშენებული, რომელებიც დღეს მსოფლიო საგანძურის

ნაწილია: ხანცდის მონასტერი, პარხლის მონასტერი, ტბეთის ტაძარი, არტანუჯის ციხე, სათლის ციხე, ფეთერექის ციხე, ბერთას ხიდი, დოლისყანის ეკლესია და სხვა უნიშვნელოვანესი ძეგლები, რომლებიც დღეს დიდი ზრუნვის საგნად უნდა იქცეს.

სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ ოსმალეთის მიერ მწვავედ დადგა ეთნიკური ქართველების გამაჰმადიანების საკითხი. ქართველი მოსახლეობის ნაწილმა ამ მოცემულობიდან თავის ასარიდებლად კათოლიკობა მიიღო. კათოლიკე ქართველების სულიერი მწყემსვა ლათინი სასულიერო პირების ნაცვლად სომეხ კათოლიკეთა სამღვდელოებას დაეკისრა, ასევე მათი აქტიური მოთხოვნით წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე აღესრულებოდა, ამას გარდა სომხეთის სამღვდელოება აქტიურად ერეოდა ქართველთა ცხოვრებაში და გარკვეულ წნეხშიც მოაქცია ეთნიკური ნიშნით, რასაც ქართული მოსახლეობა სრულიად სამართლიანად აპროტესტებდა. ეს პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა ართვინის მხარეშიც. ამ პრობლემას ქართველმა საზოგადოებამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მიაქცია ყურადღება, რაც აისახებოდა იმდროინდელ პრესაში. იმ პერიოდის გაზეთები - „დროება“, „ცნობის ფურცელი“, „ივერია“, „მწყემსი“, „კვალი“ და სხვა. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ართვინს, მის გეოგრაფიულ დახასიათებას, იქაური მოსახლეობის ეთნიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის აღწერას, რელიგიურ ვითარებას, ენობრივ მდომარეობას ეთნიკურ ქართველებში. განსაკუთრებულად შუქდებოდა ქართველთა ეთნიკური თვითშეგნებისა და წარმომავლობის საკითხები. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული პრესის ფურცლებიდან ავტორები დანარჩენ საქართველოს მოსახლეობას აცნობდნენ ართვინში მიმდინარე ამბებს. კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის ამსახველ სტატიებს დიდი ადგილი ეკავა აღნიშნული პრესის ფურცლებზე.

წინამდებარე ნაშრომში ასახულია სწორედ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიები ართვინის შესახებ. მნიშვნელოვანია თვალი გადავავლოთ იმ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს,

რაც საუკუნენახევრის წინ ართვინში ხდებოდა და ასევე საინტერესოა გავეცნოთ ამ ყოველივეს თუ როგორ ეხმაურებოდა ქართული პრესა. მოცემულ ნაშრომში თავმოყრილია ინფორმაცია ქართული გამოცემებიდან. წიგნი არამარტო ართვინის პრობლემატიკით დაინტერესებული მკვლევართათვისაა მნიშვნელოვანი, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც, რომელსაც სრულ წარმოდგენას შეუქმნის იმდროინდელ მოვლენებსა და პერიპეტიებზე.

მირიან ხოსიტაშვილი

ეთნოლოგიის დოქტორი
პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური
დირექტორის მოადგილე

3N61.

ვერა, 20 ოქტომბერი 1896 წ. № 1 კვირა, 20 ოქტომბერი 1896 წ.

რედაქცია:
ილისის ქუჩა, № 13.
ტფილისი

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი:
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Редакція „Цнобисъ Пурцели“.

ომმწერნი გაზეთის დ-ად მიმართვდენ რედაქ-ილის 10 საათიდან 3 სა-ე და საღამოს 6—7 საა-ე. „ფურა კოთ. გამა-ლ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

გაზეთის ფასი ამ წლის დამლევამდე ერთი მანეთი

„ცნობის ფურცელი“

გამოდის ყოველ-დღე, კვირა-უქმეების შემდეგაც

ზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.

სხვა ვადით გაზეთის დაკეთეთ არ შეიძლება.

თითო ნომერი ღირს ყველან 3 კაპ.

ნცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერ-ზედ 10 კაპ. მეოთხეზედ 5 კაპ.

ხელის მომწერთა, რომელთაც წლიური ფასი ერთბაშად შემოტ-ლდებათ, რედაქცია შეიძლების აძლევს: ხელის მოწერის დრის 2 მანეთი წარ-ნ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანეთი, ვიდრე 6 მანეთს შესრულებ-

ფილის მასწავლებლებს კაჩალი წლიურად 5 მანეთად დაეთმობაო.

რესი რედაქციისა: Тифлисъ, Фрейлинская, № 13. Редакція ъ Пурцели“.

ვ გვეძვს, საქართველოს ყვე-ერნა სიმოვნებით მიიღებ-ამბავს, რომ ჩვენს პატარა ბის კიდეე ერთი ყოველ-ბაზეა გამოცემა მიემატა. ნაგრძნობა და სიხარული, ც ჩვენ გვესმის ქართველ ოებისაგან, ნათლად გვიმ-, რომ ჩვენი ერი და ქვეყანა ებულია იქონიოს კიდევ ერგანო.

ბუნებულნი ვართ, რომ ამ ეობასთან ერთად ქართველ ოებას ლონეც შესწევდეს ასარდოვოს ჩვენი პა-ნობის ფურცელი“.

შეცდომებისა და ოქმე-ებსახებ ჯერ-ჯერობით არას და მეიძველეთ არას დაკ-, მხოლოდ დაბეჯითებით ან ვსთქვათ, რომ ყოველი ტყვა და სჯნე დაფუძნებუ-ბა ჩვენს ენეულ და ერის ზედ და მაგის დღეგრძელო-ვილზედ.

დეპეშა

18 ოქტომბერი

ანი, 18 ოქტომბერი. ხელ-

იმპერატორეა მოსრძანდენ დღეს, დილის $7^1/_2$ საათზედ და ცოტა ხნის შემდეგ წაბრძანდნენ ტორნს.

ლონდონი, გაზეთი „Daily News“ სწერს: საქმეთა გარემობა სტამბოლს დიდს განსაცდელს უქადის. დიპლომატთა შორის კვლავ დაიწყეს ლაპარაკი სულთანის ტახტიდან გადაყენებაზედ. დარწმუნდნენ, რომ ნებაყოფლობით გამართული ფულის მოკრეფა მოასწავებს ქრისტიანებზედ თავს-დაცემას. საფიქრებელია, რომ ამ ამბავს დიდი ჩხუბი და ქრისტიანების ხოცვა მოჰყვება. ორშაბათს, აგსტრი-უნგარეთის ელჩთან მომხდარ ბეჭბის შემდეგ, სხვა-და-სხვა საბელწიფოთა წარმომადგენლებმა სტამბოლში დეპეშათ მოსთხოვეს ყველამ თავის მთავრობას დარიგება, როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ვინეცობაა, ისეთი ამბები მოხდა, რაგვარსაც ჩვენ მოველითო. შეჰ-ულ-ისლა მი ილ-დიზ კიოსკში იმყოფება, ვითომ რაგორც სტუმარი სულთანისა. ნამდვილად კი დაბატიმრებულია თურმე.

კანონი და მთავრობის განკარგულება

სასამართლო დაწესებულება. ონ-ეშრის სამოსამართლო კახელოფლებამწედ დანიშნა გუბერნსკი სეკრეტარი ბ. ს ა ბ ა ფ ნ ი ნ ი. შორაპნის მიმრეგებელ მოსამართლის თანაშემწედ გოლეულა სეკრეტარი ბ-ნი ონ ნ ე ფ ი, ბათომის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე-გოლეულა სეკრეტარი ბ-ნი გ ო ნ ა ე ფ ნ ი. სენეის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ ტატულიარნი სოკოლტანი წ ა რ ა ვ ი ლ ი.

სამოსწავლო დაწესებულება. დანიშნა ყვირილის ნორმალურის სასწავლებლის მასწავლებლად ნიკოლოზ ჯორ ბ ა რ ჯ ა ძ ე. განკარგა გიმნაზიაში—მოგატეგის მასწავლებლად მახეად თავ ქ ა ბ ა ნ ი ი და ბაქაში სამქალაქო სკოლის მასწავლებლად მეტრე კ ო ნ ჯ ო ბ ა ძ ე.

ახალი ამბავი

*** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევნთ-საცავს შესწირა განსვენებულ ისტორიკოსის დეისტვიტელნი სტატესკის სოვეტნიკის პლატონ იოსელიანის მეუღლემ ანნა ნიკოლოზის ასულმა ძვირფასი ხელთ-ნაწერები და სხვადა-სხვა დოკუმენტები, დარჩენილნი განსვენებულის შემდეგ, რომელთა შორის მოიპოვება ორი ვრცელი და დამთავრებული თხზულება: ყანანის ახსნრდობის და ქართველთ წინანდათ ცხოვრება.

საზოგადოების გამგეობა ულარმეს მადლობას უძღვნის შემომწირველს ამისთანა ძვირფასის შემოწირულობისათვის.

*** ამ წლის ტფილისის სამაღლნსკოლაში კურსი დაუმთავრებია 11 ყმაწვილს კაცს, მათ შორის სამი ქართველი: ბაქრაძე, ბლეურჯიძე და ჩიკვაიძე. ახლად მიუღიათ 27 ყმაწვილი, ხოლოდ მსურველები ყოფილან 87 კაცი.

*** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა აშენებს სოფ. წინარების სკოლისთვის ქვითკირის შენობას.

*** წელს სახელმწიფო სტიპენდიანტებში არც ერთი ქართველი არ სასწავლო სასწავლებელი პირველი ხარისხის მოწმედ.

*** შესდგა კომისია ძეგლის დასადგმელად ი. დავითაშვილის საფლავზე ქ. თბილისში იმ ფულით, რომელიც ამ მიზნით შეკრიბა დანაბება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. დავითაშვილის ძეგლის თანხა ოქრის 287 მ. 92 კ. დავითაშვილის საფლავი ავარდნილ იმყოფება საფლავი შარშან აარდაცვალებულის მწერალის ქალის ბარბარე ჯორჯაძისა, რომელსაც აგრეთვე საჭიროა ძეგლი დაედგეს. კომისიამ გარდასწყვიტა, რომ კარგი იქნებოდა ამ ორს მწერალს ერთად დასდგომოდა საერთო ძეგლი. ეს აზრი კომისიამ მეტყუბინინა განსვენებულის ბარბარე ჯორჯაძის შვილს თ. მიხეილს ჯორჯაძეს, რომელმაც თავის მხრით გამოუცხადა საზოგადოებას ხუთი თუმანი საერთო ძეგლის დასადგმელად მის დედისა და ი. დავითაშვილის საფლავებზე. კარგი იქნება, რომ მწერალის ქალის პატივის-მცემლებმაც გამოიღონ თავისი წვლილი, რომ პატარა ხელრიანი გამოვიდეს ის ძეგლი, რომელიც უნდა დაედგას ორს ქართველს მწერალს.

*** ამ ზაფხულს შესდგა ქ. ტფილისში ახალი საალბმიცემო ამხანაგობა „შუამავალი,“ რომელსაც მიზნად გაუხდია ალეტ-მიცემობის გამარტივა ყველა იმ საქონლისთ, რაც ერთის მხრით ჩვენ ქვეყანაში მოდის და კეთდება და რაც, მეორე მხრით, ჩვენს ქვეყანას სჭირდება მოსახმარებლად. ამ ამხანაგობის წილის ფული არის ერთი თუმანი. ამხანაგს შეუძლიან რაგიენიც უნდა, იმდენი წილი შეიძინოს. ამხანაგობის საქმეებს აწარმოებს გამგეობა, შემდგარი სამის წევრისგან და კონტროლი აგრეთვე სამის წევრიდგან; ახლა არჩეულნი არიან მხოლოდ. დროებითი გამგეობა და კონტროლი, რომელთაც დავალებული აქვთ ამხანაგების შემენა და ფულის შეგროვება. დროებითს გამგეობას უკვე უშოვნია 200-მდე წევრი და შეუგროვებია 3000 მანეთამდე. დროებითს გამგეობას და კონტროლს გადაეწყვეტია გიორგობისთვეში მოიწვიოს ამხანაგობის კრება და მოახ-

61.

ცნობის ფურცელი

შავშეთი (ართვინის ოლქი)

შავშეთში 50 სოფელი იქმნება. აქ ყველგან დაავიწყდათ ქართველებს ქართული ენა. მთელი ქართველობა გათათრებულია; იმერ-ხევში კი ქართული ენა იციან. მთელი იმერხევი ქართულს ენაზე ლაპარაკობს. თუმცა ესენიც მთლად გათათრებულები არიან.

შავშეთში ქართველობის სამახსოვროდ დარჩენილია დიდებული ნაშთი ტბეთის ტაძარი, X საუკ. აღშენებული ბაგრატ კუხისაგან. დღეს ეს ტაძარი დიდს სამწუხარო მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ამ 10 წლის წინეთ გუმბათს მეხი დაეცა და ვერა დააკლო რა. ერთი აღშინის ზომა ქვა ჩატეხა, ახლა კი თურმე ნელ ნელა ირღვევა და შემდეგ სულაც დაირღვევა, თუ მას პატრონობა არ აღმოუჩინეს[1].

ქ. ართვინი (ართვინის ოლქი)

ართვინელების სამდურავი. ართვინში ფოსტა მხოლოდ ერთხელ მოგვდის კვირეში, და ამიტომ აქაურები, საფუძვლიანად სჩივიან ამის გამო. ართვინი უმთავრესი ქალაქია მთელის ოლქისა და სამართალიც მოითხოვს, რომ იქ სამჯერ მაინც მიდიოდეს კვირაში ფოსტა. უეჭველია, ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს ბ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი[2].

1 „ცნობის ფურცელი“, #46, 1896, 4 დეკემბერი, გვ. 3.
2 „ცნობის ფურცელი“, #361, 1896, 4 ნოემბერი, სამშაბათი, გვ. 2.

ართვინი

ისტორიული ნაშთები და მცხოვრებნი. ართვინი იმყოფება ბათომიდან სამხრეთით, 80-90 ვერსტის მანძილზედ, მდ. ჭოროხის პირზე, და წარმოადგენს პატარა ლამაზ ქალაქს, სულ 8 ათასი მცხოვრებით. მცხოვრებნი ტომით სომხები არიან, სარწმუნოებით კი კათოლიკენი.

ჭოროხის პირზე არის დარჩენილი ძველთაგან-ძველი ციხე, ერთ დროს მშვენიერი ხელოვნებით აგებული, მაგრამ დღეს ჟამთა მსვლელობისა გამო დანგრეული და შელახული. ამ ციხის აშენებას აქაურები აწერენ თამარ მეფეს. არის აგრეთვე ციხე და ეკკლესიის ნაშთი ვებერთელა მთაზე, რომელსაც ეძახიან ნაშოფს. ეკკლესიის მარტო საძირკველებიღა მოჩანს და ციხე კი უფრო მაგრად არის ჯერ.

აქაურ მცხოვრებთა ლაპარაკი, ტანის მოყვანილობა და ლაპარაკის კილო აშკარად ამტკიცებს ჩვენი მატიანის იმ აზრს, რომ ყველა კათოლიკენი უწინ ქართველები იყვნენ და მხოლოდ ოსმალოს დროს მიიღეს კათოლიკეს სარწმუნოება, რადგან კათოლიკეობის მიღება ერთად-ერთი საშუალება იყო წამებით სიკვდილისაგან და გამაჰმადიანებისაგან თავის დასახწევად, იმიტომ, რომ ძლევა-მოსილი მაშინდელი რომის პაპი კათოლიკეობის მიმღებს მფარველად გაუხდებოდა. აქაურ მცხოვრებთა ენაც შემდეგში გადასომხურდა, რადგან მათი წირვა-ლოცვა სომხურ ენაზედ წარმოებდა. ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ ყველა აქაურ ადგილების სახელები ქართული სიტყვიდან შესდგება, - მაგ.: კარიძველი, მამაწმინდა, სკება, ორჯოხი, წითურეთი, ლომაშენ, თოლგომ ცივწყარო, წყალოქრო, შიგანახო და სხვ. აგრეთვე ყველა ბოსტნეულობის და ხეხილების სახელებიც ქართულია, მაგ.: ხეხილი, ბალი, ატამი, ბია, წაბლი, თხილი, კამა-ქონდარი, ქინძი, ქლიავი, ბაკიდონი და სხვ.

მცხოვრებნი მეტად მშვიდნი და კაცთ მოყვარენი, აგრეთვე მშრომელები და ვაჭრები არიან. ქალებიც მეტად მუყაითნი და მშრომელები არიან, ყველას სუფთათ აქვთ სახლი და ოჯახი.

სახლები აშენებულია თათრულ გეგმაზედ და არა ევროპიულად. მდიდარს და ღარიბს, ყველას აცმული ოქრო აქვს შუბლზედ შემოკრული, ჩვენებური ქალების თავსაკრავის მაგივრად, ტანთსაცმელი ყველას აზიური აცვია (კაბაჯუბა-ფეშტემალით), რომელიც მათ მეტად ამახინჯებს და აუშნოვებს,

ლანჩხუთელი ვანო[1]

შავშეთი (ართვინის ოლქი)

შავშეთი (ართვინის ოლქი). მოგეხსენებათ უეჭველია, რომ რაც დასავლეთ საქართველოში ნაშთებია, იმდენი საყურადღებო ნაშთები არსად მოიპოვება. საყურადღებოა ნამეტურ შავშეთი და კლარჯეთი. ეს კუთხე სამშობლოა იმ მოღვაწეებისა, ვისის მეოხებიტაც ამაღლდა ქართველობა და ქართული მწიგნობრობა. აქ დაიბადა გიორგი მთაწმინდელი , თორნიკე ერისთავი, ფილოსოფოსი პეტრიწი, გიორგი მცირი, ეფრემ მთარგმნელი და მრავალიც სხვანი, მშვენება ქართველის ერისა.

ჩვენს მწერლობაში თუ რამ ძველი ხელთნაწერი წიგნები არის დღემდე დაშთენილი, სულ ამ კუთხეებშია ნაწერი. აქეთ ვერ ნახავთ სოფელს, დაბას, ქალაქს, რომ იქ ქართველთ დიდების მოწმად რამე ნაშთი არ იდგეს. 20 ვერსის მანძილზედ, სოფ. ციხიდგან ორდანუჯამდე სძევს შემდეგი ნაშთი: ტბეთის ტაძარი, რომელსაც ქებით მოიხსენიებს ჩვენი ისტორია და საიდგანაც დიდი ძალი ძველი ხელთნაწერები გვაქვს დღემდე შედგენილი; მდიდრად ნაგები ოპიზის მონასტერი, რომლის შენობასაც განცვიფრებაში მოჰყავს მრავალნი; ფორტოს ეკკლესია, რომელიც ტფილისის სიონის ეკკლესიაზედ ბევრად უფრო დიდია; წყალ თეთრის ტაძარი, ბრეთის და მრავალნიც სხვანი, ენით მოუთვლელნი.

ყველა ეს ტაძრები და მათთან ერთად ბევრი სხვანიც

1 „ცნობის ფურცელი“, #563, 1898, 20 ივნისი, შაბათი, გვ. 3.

მთლად აოხრებულები არიან. ყველა მათგანი კი შესანიშნავია ჩუქურთმით, მხატვრობით, ხუროთ-მოძღვრებით და ეკკლესიაში დასაფლავებულ დიდებულ ქართველთა მოღვაწეებით.

ამ უკანასკნელ წლებს, ამ ძველ ნაშთებს, ადრინდელ ქარიშხალთა გარდა სხვა შინაგანი ულმობელი ბედიც მოევლინათ. ეს ულმობელი ბედი გახლავთ ის გარემოება, რომ ამ რამდენიმე წლის წინად ზედა აჭარაში გათხრილ იქმნა ვანის ეკკლესიის საფლავები, სხალტის, ოპიზის, ფორტოსი, ბერთასი, წყალ-თეთრისა და მრავალიც სხვები. საფლავები იყვნენ XI და XII საუკუნოების და შიგ ბევრს ნივთებსაც პოულობდნენ. ვანის ეკკლესიის საფლავებში, სხვათა შორის, იპოვეს ერთი დიდი ლურჯი მარმარილოს თხელი ქვა, რომელზედაც დახატული იყო ღვთის მშობლის მიცვალება და გარშემო დახატულები იყვნენ ქართველთ მეფეები, რომელნიც გუნდრეკს უკმევენ მას, ვითარცა საქართველოს მფარველს.

ტბეთის ტაძარი გათხრილ იქნა გრაფინია უვაროვისაგან. გათხრილ იქმნა მთელი ეკკლესიის საფლავები, მხოლოდ ვერ გათხარეს ბაგრატ მესამის საფლავი, რადგანაც ზედ მეტად დიდი ქვა აძევს და ეს ქვაც დულაბით არის ზედ დაკრული. ორმოცი კაცი მოიყვანეს და ამოსწიეს თოკებით და ლომებით, მაგრამ მაინც ვერ აგლიჯეს. შემდეგ ქვის მჭრელი ბერმნის ოსტატები მოიყვანეს, ამათ დაუწყეს ინგლისურის ფოლადის იარაღით ქვას მტვრევა, მაგრამ ქვამ არც ეს იარაღი მიიკარა ახლოს და მთლად იარაღი დაამტვრია. ვერა გააწყეს რა და ბაგრატ მესამის საფლავი დარჩა გაუთხრელი. საფლავის ქვას სიგძე სამი არშინი აქვს და სიგანეც ამდენივე. მეტად შავი ქვა არის და მასთან მძიმეც. ქვის ზემოთ, ეკკლესიის კედელში, თლილს ქვაზედ გამოჭრილია სურათი ბაგრატ მესამისა.

ქართველ მაჰმადიანები ამბობენ, რომ ამ საფლავს ქვეშ დიდი წმინდა კაცი მარხია და მიტომ არ იყაბულა ღმერთმა და ვერ აჰგლიჯესო. ჩვენც ძრიელ გვეწყინა ეს. მკვდრებთან რა ესაქმებათ, რომ სთხრიან და შიგ არ ასვენებენო. ამ ქვას ვერავინ დაამტვრევსო. სხვა და სხვა ნივთებს გარდა 80 ფუთი სულ იშვიათ ჩუქურთმიანი ქვები იქმნა ყუთებში ჩაწყობილი და მო-

სკოვში წაღებული გრაფინიასაგან. აქეთ ძრიელ ბევრი ნივთები შეიძლება კაცმა მოიპოვოს, ბევრს რამეს იშოვნის, მაგრამ ამისთვის ქართველები ხომ ვერ მოიცლიან! აქ ჩნდება თვით რომაელი ძველი იმპერატორების ვერცხლის ფულები.

ამ მოკლეს დროს შავშეთის ერთი სოფლის მიწაში ჩამარხულ ქვევრში იპოვნეს ერთი პატარა ხანჯალი, რომელსაც ორსავ მხარეს ქართული ასოები აქვს ამოჭრილი, მაგალიტებრ: - „ჩ.ხ.ს." რას ნიშნავს, ეს არ სჩანს. ხანჯალი თავის ქარქაშში ისე კარგა შენახულა, რომ თვით მაგარ თვისების რკინასაც კი სჭრის. ამ მოკლე დროს ეს ხანჯალი და რამდენიმე ძველი ფული გაეგზავნება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის მეზეუმს".

უნდა მოგახსენოთ, რომ ზემოხსენებულ პირს ბევრიც სხვა ძველი ქართული ვერცხლის ფულები წაუღია თან, ოქროს ხატები და სხვებიც მრავალი, რომლებსაც თვით ეს პირი-კი არ პოულობდა აქა იქ სიარულის დროს, არამედ მას სხვა და სხვა კუთხის მოხელე ქართველნი მიართმევდნენ ხოლმე; იგიც, რასაკვირველია, სიამოვნებით ართმევდა ყველას. მარტო ერთ პატარა კუთხეში ერთის პირისაგან შესანიშნავი ძველი ქართული ხატი წაიღო, ძვირფასის ხელოვნების, და მეორესაგან - კარგა ბლომად ძველი ვერცხლის ფულები. ჩვენ აქ ყველას ვერ მოვსთვლით.

ზ.ქ.[1]

წერილი ართვინიდან

ცხოვრება ართვინში. - აქაური ახალი ამბები.

„ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა"-ო _ აი ის ანდაზა, რომელიც ზედ გამოჭრილია ართვინზე; როგორც ოცდა-ხუთის წლის წინად უცხოვრია, ისევე ეხლა სცხოვრობს და უთუოდ კიდევ დიდ ხანს იცხოვრებს. მთელი ოლქი ყველაფ-

1 „ცნობის ფურცელი", #1562, 1901, 24 აგვისტო, პარასკევი, გვ. 3.

რით დაქვეითებულია. სწავლა იმისთვის არ არსებობს, რადგან მთელს ოლქში მხოლოდ ერთი სახელმწიფო სასწავლებელია. ამას გარდა, იგი მოწყვეტილია ქვეყანას უხეირო გზების წყალობით. კვირაში ერთი დღეა აქაურებისათვის გასახარი, როცა ფოსტა მოვა ხოლმე ბათუმიდან. ფოსტა მეთქი - ვსთქვი, მაგრამ იმასაც ბევრი არაფერი მოაქვს, რადგან არც რამეს ვიბარებთ ჩვენს გასაფხიზლებლად. აქაურ ქართველობას მხოლოდ ორი ცალი ქართული გაზეთი მოსდის. ჩვენი სამკითხველო სამხედრო კლუბია და ბიბლიოთეკა - ჭორის ბოხჩა. ყველა ამას დაუმატეთ უექიმობა, რადგან მთელს ოლქში ერთად-ერთი ექიმია, და ჩვენს ბედნიერებას წარმოიდგენთ.

ჩივილით რომ თავი არ მოგაწყინოთ, აქეთა მხარის ახალს ამბებს მოგახსენებთ: წარსულს თვეში თექმის ყელზე, რომელიც აერთებს არდანუჩის და ოლთის ნაწილებს, გაიყინა თოვლის კორიანტელში ერთი მაჰმადიანი, რომელსაც გაეცილებინა სომეხი გადაღმა ოლთში და დაბრუნებისას კი დაღუპულიყო. ამ ბოლოს დროს არდანუჩში გაჩნდნენ ძველის საფლავების მთხრელები. ოლქის უფროსმა ერთი მათგანი ჩ-ცი შეიპყრო და დაატუსაღა კიდეც. აქეთ ხმა დადის, რომ მთავრობას აზრადა აქვს მომავალ გაზაფხულიდან ართვინისა, არდანუჩისა და შავშეთ-იმერხევის ნაწილებში დანიშნოს ექიმები, ფერშლები და დააარსოს აფთიაქები. ღმერთმა ინებოს, როგორც მომაკვდავს ზიარება, ისე მოგვესწრობა.

ლადო[1]

ართვინი

ერთ თვეზე მეტია გამუდმებითა სთოვს; თითქმის ყოველ კუთხიდან შეიკრა გზები, ორ ადლამდის თოვლი ძევს ართვინში და ზევიდან კიდევ უმატებს. გაძვირდა შეშა; დარობის დროს თუ თითო ცხენის საპალნეს 50-70 კაპ. ვყიდულობდით, ეხლა 1

1 „ცნობის ფურცელი“, #2017, 1902, 18 დეკემბერი, ოთხშაბათი, გვ. 3.

მან. 60 კაპ. გახდა და საშოვარიც აღარ არის. აგრეთვე გაძვირდა სანოვაგეც; თითო კვერცხი სამი კაპეიკია, ცხვრის ხორცს წინად ვყიდულობდით გირვანქას ექვს კაპეიკად, ეხლა კი 10-12 კაპიკად გახდა. პურიც მესამე ხარისხისა გამომცხვარი გირვანქა 5 კაპ. იყიდება; კარგი რომ იყოს კიდევ, არ დაეძებდა კაცი, მაგრამ მეტი წილი პურისა ცომი და მჟავეა. საჭიროა, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქციოს პურის მცხობელთ.

ამ დიდ ზამთარსა და სიძვირეს დაერთო რაღაც ავადმყოფობა, ინფულენციასა ჰგავს და საშინლად შეაწუხა ართვინელნი. მოხუცნი ამბობენ, ამისთანა დიდ ზამტარსა და ავადმყოფობას ართვინში პირველადა ვხედავთო.

სხვატა შორის, აქაური ქართველები ძალიან გულ-გრილათ ეკიდებიან ქართლი ლიტერატურას. ქართველთა რიცხვი საკმაოა ართვინში, ყველას შეუძლიან თითო ქართულ გამოცემის გამო, წერა, მაგრამ თავს არავინ იტკივებს. მთელი ართვინის ფოსტაზე ორი ქართველი გაზეთი მოდის „ცნობის-ფურცელი“.

ვანო ლალიაშვილი[1]

წერილი ართვინიდან

ხალხის სიბნელე. - დიდი თოვლი. - ავადმყოფობა

ბრმა რას ჩივოდა და ორივე თვალებსაო. რა ვიჩივლოთ ართვინელებმა, თუ არა სიბნელე-სიცარიელე სულისა. რა ვაკეთოთ, არ ვიცით. საქმე კი ძალიან ბევრია. რომელი ერთი გნებავთ? 11000 მცხოვრებზე ართვინის ოლქში ერთი სასწავლებელი მოდის. წიგნთ-საცავი, სამკითხველო საკვირაო სკოლა, წარმოდგენა ჩვენთვის მიუწვდომელი გამხდარა. აქაური სომხობა მარტო სარჩოს ზიდვას უნდება, ხოლო განათლებაზე ერთი ბეწოს არა ჰზრუნავს და ამიტომაცაა, რომ ხშირად სხვის სიკე-

1 „ცნობის ფურცელი“, #2061, 1903, 6 თებერვალი, ხუთშაბათი, გვ. 4.

თეც არ გვესმის. ამას წინად აქ კნ. მაყაშვილმა თავის სახლში და თავისავე ხარჯით გაჰმართა ბავშთათვის შობის-ხე, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ძლივ-ძლივობით მოუყარეს რამდენსამე ბავშვს თავი. ვერ გააგებინეს, რომ ბავშვებსაც უნდათ გართობა. მანდილოსნებს მოუხვევიათ ოსმალური საბურავი, სხედან შინ და სივდებიან.

არც თუ მამა-კაცნი ჩამოუვარდებიან! როგორც საზოგადოდ ყველგან, ჩვენშიაც წრეულ ზამთარი ძალიან გაგვეჭიმა. თოვლის ზვავებმა არდაგნისაკენ გადასასვლელ ყელზე რამდენიმე კაცი იმსხვერპლა და ბევრგან გზები სრულიად შეჰკრა. ავადმყოფობა გახშირდა და ექიმისათვის ვერ მიგვიმართავს, რადგან ექიმობისა არა გვესმის რა. ამას წინად მეაფთიაქემ ჩემს კითხვაზე: როგორი მუშაობა გაქვს მეთქი, მითხრა, ლამის კარი გამოუკეტო აფთიაქს; წამალი მაშინ მიაქვთ, როცა კაცი ჰკვდებაო. აქეთ საქონელს მეტი გაფრთხილება აქვს, ვიდრე კაცსა. ოლქში ორი ბეითალია და ექიმი კი ერთი. დაგვპირდნენ ექიმებს, აფთიაქებს და სხვას, მაგრამ ყველაფერი გაგვიცრუვდა.

ვლ. გოგიაშვილი.[1]

ართვინი

ართვინიდან გვწერენ: ართვინის ქართველმა საზოგადოებამ გადაიხადა პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულ პოეტის გრიგოლ აბაშიძის სულის მოსახსენებლად.[2]

სოფ. ქურა (ართვინი)

ორს ივლისს სოფ. ქურის ერთ მცხოვრებს მოუტაცნია იმავე სოფლის ახალგაზრდა ქალი და სამს დღეს ტყეში ჰქოლია.

1 „ცნობის ფურცელი“, #2096, 1903, 14 მარტი, პარასკევი, გვ. 3.
2 „ცნობის ფურცელი“, #2123, 1903, 16 აპრილი, ოთხშაბათი, გვ. 2.

საქმე ასე მომხდარა. ერთ დღეს, ყანაში ყოფნის დროს, კაცს დაუნახავს ეს ქალი, რომლის სიმშვენიერეს ყმაწვილი ძალიან მოუხიბლავს, რის გამოც განუზრახავს ქალის მოტაცება და ცოლად შერთვა. თუმცა ერთი ცოლი ჰყავდა, მაგრამ, მაჰმადიანთა წესისამებრ, მეორეც მოინდომა. როგორც განიზრახა, ისე აასრულა, ქალი ძალად წაუყვანია და სამი დღე ტყეში ჰქოლია. რა ტქმა უნდა, ქალის მშობლებს იმავე დღეს გაუგიათ, მაგრამ რადგან მომქმედ პირამდის ხელი არ მიუწვდებოდათ, იმის ცოლ-შვილის აკლებას შეუდგნენ. ქალის დედა რკინით მიჰვარდა იმის ცოლთან და კინაღამ დასჭრა როგორც ცოლი, ისე დედა მომტაცებლისა. როგორც იყო მეოთხე დღეს მოიყვანეს გაუპატიურებული ქალი და დედ-მამამ ჩაიბარა. თითონ მომტაცებელი გადამდგარია და უთვლის დედ-მამას ქალის მიცემას, მაგრამ მშობლები ჯერ არ სთანხმდებიან.

კ-ო[1]

ს. ბორჩა (ართვინი)

22 ივლისს, როგორც მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, საღამოს ექვს საათზედ, ბათუმიდან ართვინს მიმავალ ფოსტას დაეცა რვა შეიარაღებული ავაზაკი. მოჰკლეს პოსტის წინ მიმავალი ჩაფარი. რა ნახა ეს ფოსტის მოხელემ, გადმოხტა ეტლიდან და დაუწყო რევოლვერით ავაზაკებს სროლა, მაგრამ ამ დროს იგრიალეს თოფებმა და ფოსტის მოხელესაც იქვე სული გაანთხევინეს. შემდეგ სასიკვდილოდ დასჭრეს ფოსტის უკან მიმდევი ჩაფარი, ხოლო მეეტლე იქვე ახლო ბუჩქებში მიიმალა. ამის შემდეგ ავაზაკები მისცვივდნენ ფოსტას და მაშინვე ფულიან ტყავის პარკს მიაგნეს, სადაც 15,700 მანეთი ნაღდი ფული იყო, და მოიტაცეს... ბორჩხის ფოსტის უფროსმა იმავ წამს ბათუმში აცნობა, საიდანაც საჩქაროდ მოვიდნენ სამხედრო გუბერნატორი დრიაგინი, ოლქის უფროსი ბ-ნი სლავოჩინსკი, პროკურორი და ბათუმის ფოსტის უფროსი ჩიჟიკი. აქ იმათ დაჰხვდათ

1 „ცნობის ფურცელი“, #2213, 1903, 21 ივლისი, ორშაბათი, გვ. 1.

შემდეგი სურათი: ფოსტის ცხენები გვერდზედ მიბრუნებულიყვნენ, ფოსტალიონი და ჩაფარი დახოცილები ეყარნენ, იმათი იარაღი წაეღოთ ავაზაკებს; მეეტლე ამბობდა: „მე მახრჩობდნენ, გვითხარი, ფულები სად არისო“. ნივთები სულ მთლად აწეწილ-დაწეწილი ეყარა. სასტიკი ზომებია მიღებული ავაზაკთა დასაჭერად... მოკლული ფოსტის მოხელე იყო კახელი, სოფ. შაშიანის მცხოვრები დავით გოგოლაშვილი, რომელიც ის იყო ჩარიცხეს ფოსტალიონად ართვინში და პირველად მიჰქონდა ფოსტა. თვეში ოცი მანეთი ჯამაგირი დაენიშნა.

ფოსტის მოხელე[1]

ს. ბორჩა (ართვინი)

ცოტა ხანს მიყუჩდა ჩვენსკენ ყაჩაღობა, თუმცა ქურდ-ბაცაცები თავისას არ იშლიდნენ, მაგრამ ხალხმა მაინც ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა, ყური მოიყრუვა და მიეცა ისევ ძველებურ უზრუნველობას და გაუფრთხილებლობას. დიდ-ხანს არ გასტანა ხალხის ძილმა და მალე ისევ თავზარი დასცეს ყაჩაღებმა და ისევე ააჩოჩქოლეს ხალხი. 22 ივლისს, როგორც ვიცით, გაძარცვეს ფოსტა. ეს ამბავი ბორჩხის მახლობლად კი არა, სოფელ კლას კურის მახლობლად (4 ვერსია ბორჩხიდან) მოხდა. საზოგადოდ, აქეთ ქურდობა, სისხლის ღვრა და კაცის კვლა ხშირია, მხოლოდ ფოსტის გაძარცვა და ისიც დღისით, საარაკოა, მერე ისეთ გზაზე, როგორიც ბათუმიდან ართვინში მიმავალი გზა-ტკეცილია, სადაც მოძრაობა და ხალხის მიმოსვლა შეუწყვეტელია. ამაზე ადგილობრივმა ადმინისტრაციამ სასტიკი ზომები მიიღო ბოროტ-მომქმედთა აღმოსაჩენად. რამდენიმე კაცი დაიჭირეს. ფულიც რამდენიმე ათასი უპოვნიათ.

ჩვენი სოფლები ძლიერ მდიდარია სხვა და სხვა ლითონებით. მაგალითად, სოფ. ბორჩხადან ართვინისაკენ მეთექვსმეტე ვერსზედ სოფ. ირსაში სპილენძის ლითონია, სადაც შარშან და ეხლაც მშაობაა. აგრეთვე მე-ოცდა-ერთე ვერსზე ბორჩხი-

1 „ცნობის ფურცელი“, #2218, 1903, 26 ივლისი, შაბათი, გვ. 3.

დან სოფ. პოროსეტში არის ასეთივე ლითონები და ცოტ-ცოტა მუშაობასაც შეუდგნენ, მხოლოდ სოფ. ძანძულში კი სამი-ოთხი წელიწადია, რაც ინგლისელებმა მუშაობა დაიწყეს, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენი ხალხი ძლიერ ცოტა სარგებლობს ამითი. არ ვიცი, მიზეზია უცოდინარობაა თუ გზის სიშორე, მაგრამ ეს-კია, რომ 500-600 კაცში ქართველს ვერ შეჰხვდებით ოც-და-ათას; სიშორეს ვერ დავაბრალებთ, რადგან აქ უფრო შორიდანაც არიან მოსულნი, მაგალითად, შიდა რუსეთიდან, გერმანიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

ოზურგეთელი.[1]

წერილი ართვინიდან

მასწავლებლის გადაყვანა. - უთაურობა. - ძველი მონასტრები

ამას წინად აქაურმა ქართველობამ და სომხობამ გაუმართა გამოსათხოვარი სადილი ლივანის სკოლის გამგეს ბ-ნ ინასარიძეს, რომელიც აგერ ოცი წელიწადია აქ მასწავლებლობს და ახლა ქუთაისში გადაიყვანეს. ასე თუ ისე, ოცი წელიწადი მასწავლებლისათვის დიდი და ძნელი საქმეა, ისიც აქეთ. პატივის ცემა ღირსეულია, მხოლოდ საკვირველია, საზოგადოებამ ვერ გამონახა უკეთესი საშუალება მადლობის გადახდისა, ვიდრე, სადილ-ვახშმის გამართვა.

ერთი წელიწადია გვსურს ერთი წარმოდგენა გავმართოთ და ვერ იქნა, ვერ მოვაგვარეთ საქმე. იქნებ იმიტომ, რომ არ გვესმის, რით სჯობია წარმოდგენა სხვა გასართობებს. გარს მაჰმადიანობა გვახვევია და არ ვცდილობთ მათთან დაახლოვებას, არა გვაქვს იმათთან კავშირი. მართებლობაც ნაკლებ აქცევს ყურადღებას ჩვენს მოწყვეტილს მხარეს. აქაურ მამასახლისებში არა იშვიათია მოქრთამეობა, ზაფთიები მოგვიმატეს

1 „ცნობის ფურცელი“, #2221, 1903, 29 ივლისი, სამშაბათი, გვ. 3-4.

და ამოდენა სამმართველოში კი, როგორც არის არდანუჩისა და შავშეთისა, ერთი ფერშალი ვერ დაგვინიშნეს. თუმცა ენკენისთვიდან აღებენ აფთიაქს, მაგრამ რის მაქნისია იგი უექიმოდ? ერთს ხეირიანს გზას ვერ ვეღირსეთ არდანუჩ-შავშეთში. მაშასადამე ვერც ფოსტას მოვესწრებით იმ ადგილებში. რომ გსურდეთ, გაჰგზავნოთ იქ წერილი, ერთი კვირით კაცი უნდა დაიქირაოთ. უბედურება რომ გეწვიოთ აქეთ, ნუგეშს საიქიოს მიიღებთ. ბათუმიდანაც ფოსტა მხოლოდ კვირაში ერთხელ მოგვდის. რატომ არ ზრუნავს ვისიც საქმეა, რომ ფოსტა კვირაში ორჯელ მაინც მოგვდიოდეს. ეს ხომ ძალიან შეუწყობდა ხელს ამ მხარის გამოფხიზლებას.

ჩვენს მკითხველს უკვე ეცოდინება, რომ წარსულს კვირაში ბორჩხის ახლოს ფოსტას დაეცა რვა ყაჩაღი. მოჰკლეს ფოსტალიონი და ერთი ჩაფარი, ხოლო მეორე დასჭრეს სამის ტყვიით. წაუღიათ 1200 მ. საჭიროა, რომ ფოსტას საკმაო რიცხვი ჩაფრებისა აცილებდეს, თორემ ამნაირი თავხედური ყაჩაღობა უკანასკნელი არ იქნება აქეთ. ხმა დადის, რომ ჩვენი ოლქის უფროსი გადაჰყავთო რუსეთში.

ართვინის ოლქში რამდენიმე ძველი მონასტერია, მაგალითად, ტბეთი, ფორტა, ოპიზა, ბერთა, დელის ყანა, გენირაბათი და სხვანი. შენობანი დღესაც კარგად შენახულია, მაგრამ ყველა უპატრონოდ არის მიტოვებული. როცა ჰხედავთ ჩუქურთმებს, მხატვრობას და ქანდაკებას, აღტაცებაში მოსდიხართ. დრო მიდის და უპატრონობით ინგრევა. საჭიროა ჩვენმა არქეოლოგებმა და ისტორიკოსებმა მაინც შემოიარონ ხოლმე დრო გამოშვებით და ასწერონ ეს ძველი ნაშთები.

ვლ. გოგიაშვილი[1]

1 „ცნობის ფურცელი“, #2229, 1903, 3 აგვისტო, ოთხშაბათი, გვ. 3-4.

„ნოვ. ვრ.“-ს ართვინიდან დეპეშით ატყობინებენ:

„25 წელიწადია შენდება გზა-ტკეცილი ბათუმ-ართვინ არდა-ნუჭის გადასავალზე. ეს გზა რამდენიმე მილიონი დაჯდა და ყველას სალაპარაკო შეიქმნა. სიგრძე 170 ვერსია; სიგანით ისეთი ვიწროა, რომ ორი ეტლი ერთად ვერ გაივლის. ამას წინად საინტენდანტო უწყების ფურგუნი, რომელშიც ოთხი ცხენი ება, კლდეში გადავარდა, საჭიროა გამოძიება მოიჯარადრის კუბა-შევსკის მოქმედებისა. კუბაშევსკი სამსახურს გარეშე მყოფი ჯარის-კაცია“.[1]

სოფ. ძანსული (ართვინი)

მკითხველებს ეხსომებათ, რომ სოფ. ბორჩხიდან 18 ვერსის მანძილზედ ინგლისელებმა დააარსეს სპილენძის სადნობი ქა-რხანა. ცუდ მდგომარეობაში იყვნენ დღემდის მუშები, რადგან აქ არ მოიპოვებოდა სურსათი. ეხლა გახსნეს ყავახანები, სა-დაც შეიძლება კაცმა ისადილოს, მაგრამ ძლიერ ძვირად. სა-ქმელსაც უსუფთაოდ ამზადებენ. ნათქვამია: „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოთაო“, სწორედ ასე იქცევიან აქაურ ყავახანების პატრონნი. ამას გარდა ჩვენი ახალგაზრდობა ყა-ვახანაში ბანქოს თამაშობასაც შეუდგა. რა დროსაც უნდა გაია-როთ მახლობლათ, გაიგონებთ ყავახანიდან ლანძღვა-გინებას.

ოზურგეთელი[2]

1 „ცნობის ფურცელი“, #2251, 1903, 31 აგვისტო, კვირა, გვ. 2.
2 „ცნობის ფურცელი“, #2264, 1903, 14 სექტემბერი, კვირა, გვ. 3-4.

წერილი ართვინიდან

აქაური ცხოვრება. - სკოლა და მაჰმადიანი ქართველები.

კარგა ხანია მკითხველისათვის არაფერი არ შეგვიტყობინებია ჩვენის მხარისა. მიზეზი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ ცხოვრება აქეთ მოდუნებულია, უშინაარსო და აბა, მიბრძანეთ, სხვას რით დააინტერესებს იგი. აქაურნი ხან ნუნუას შეჰხარიან, ქეიფობენ, ლოთიფოთობენ, ხან კიდევ მოწყენილნი ბანქოს თამაშობაში ართობენ დროს, ე.ი. იბღერტავენ ჯიბეებს. უნდა უყუროთ, რა ბეჯითად ჩაუჯდებიან ხოლმე ლოტოს ჩვენი დარბაისლები გიჟმაჟებთან, ქალები კაცებთან, ქალები ვაჟიშვილებთან და ისმის გატაცებული: პიატდესიათ, სოროკ, ოსემ, ან - ბანკა ბოლუბანკა და სხვა, ასე გათენებამდის. ამას დაურთეთ ყოფა-ცხოვრება აქაურ ქართველ მაჰმადიანისა, რომელიც უვიცობის სიბნელეშია გახვეული, და მზად გახლავთ სურათი, რომლის ცქერიტაც ვერ გაძღება თქვენი მადლიანი თვალი. საზოგადოდ, ადამიანებისთვის აქეთ ნაკლები მზრუნველობაა. ხუთს ბეითალთან მთელს ოლქში ერთი ექიმი გვყავს. თუმცა მეორე აფთიაქი გაგვიღეს ამასწინათ არდანუჩში, მაგრამ ისევ დაიკეტა.

სამს მაზრაში ერთი სახელმწიფო სასწავლებელია, მაგრამ ამ სასწავლებელმა ვერა და ვერ მიიზიდა ქართველი მაჰმადიანნი, თუმცა სასწავლებელი ოცი წელიწადია არსებობს. შეიძლება მიზეზი ისიც არის, რომ იქ ქართულს არ ასწავლიან. ურიგო არ იქნებოდა, რომ სკოლის გამგემ ბ-ნმა როსტომაშვილმა აღძრას შუამდგომლობა ქართულის ენის სწავლების შესახებ. ამ ჟამად სასწავლებელში მხოლოდ სომეხი ბავშვები სწავლობენ და მაჰმადიანნი სკოლის გარეთ რჩებიან. ან იქნებ აქაურ მაჰმადიანს ქართველად არა სთვლიან?

ვ. გ - შვილი[1]

1 „ცნობის ფურცელი“, #2339, 1903, 1 დეკემბერი, ორშაბათი, გვ. 1.

წერილები

ქ. ართვინი

ჩვენსკენ მკვლელობა გახშირდა: წარსულს თვეში მოჰკლეს შუა-გულ ქალაქში ორი სომეხი და მაჰმადიანი. ამის შემდეგ ორი სხვა კაცის მოკლა განიზრახეს. მკვლელნი ვერ იპოვნეს. მეტად შეწუხებულნი ვართ უგზოობისა და უსუფთაობის გამო. უბნიდან უბანში ჩასვლა გასაჭირია, რადგან ოცდა ხუთი წელიწადი იქნება ქუჩებისათვის ხელი არავის არ უხლია. ღამით ფარნებს იშვიათად ნახავთ ანთებულს, რისგამო საღამოს შვიდი საათიდან შეუძლებელია გარედ გამოსვლა. ჩვენთვის არ არის და არც იქნება ბიბლიოთეკა და სამკითხველო. ჩვენი სატრფიალო საგანი „მაკაო“ და ვერტუშკაა“, ნარდი და ლოტოა. მთელს ქალაქში ქართული გაზეთი მხოლოდ ერთს მოსდის. ამასთან აქ ყველაფრის სიძვირეა აქაურ ბაზაზების წყალობით.

4 ამ თვეს გვეწვია შავშეთიდან პროფესორი მარრი და მოიკვლია აქაურ სიძველეთა ნაშთნი. სხვათა შორის, პროფესორმა აღმოაჩინა ადგილები შატბერთის სავანისა სოფ. ჩრდილში და კალმახის მონასტრისა სოფ. ტანზოტში; ამოიკითხა ართანუჯში მეჩეთზედ ქართული წარწერა აშოტ მეფის დროისა. ამ მოგზაურობის დროს ბ-ნი პროფესორი ხელმძღვანელობს მ. გრიგორ შატბერთელის ცხოვრებით, რომლის პირი მოუპოვებია მას ქ. იერუსალიმს. დღეს პატივცემული პროფესორი გაემგზავრა ოპიზისკენ, საიდანაც დაჰყვება და მოათვალიერებს ფორტის, ბერთის და დოლის-ყანის ნაშთებს. შემდეგ გასწევს ართვინისაკენ და იქიდან რუსეთისკენ.

გ.-ი[1]

1 „ცნობის ფურცელი“, #2593, 1904, 25 აგვისტო, ოთხშაბათი, გვ. 4.

43
1877/3
საქართველოს რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ.

№ 1.

ეგერია

ყოველ ოდენ პირველი

3 მარტს 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ეგერიის“ redakciasa, მოაწერინდის ქუჩაზე, შიოკვის სახლეობის ზემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ეგერიის“ ფასი 1877 წელს.

ერთი თვისა, გაგზავნით და გუშაზვენლად. . . 6 მ. —
თითო ნომერი . . . . . — 15 კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, redakcia კასწორებს და შეიტანს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს.
გაუსაღები ბეჭდები ქარიოლსა და ოუსულს ეხება.

საძიებელი: I. წინასიტყვაობა.—II. საქართველოს მატიანე: ტფილისის გუბერნიის ეკონომიური დონე რის ნაკლებ არ უნდა იყოს.—III. ცხოვრება და კანონი: წერილი პირველი —IV. მოკლე მოთხრობა ხნგა და ხნგასხვადმწიფოთოვის.—V. ქალაქის სტენები, სტენა—I. VI. ოკრგი რამ მეტირდეს გიგეგირდეს, ავი რასხეგირგეკია.—VII. წერილი ამბები.—VIII. განცხადება.—

წინასიტყვაობა

ეურნალ-გაზეთობაში შემოდებულია ერთი ახირებული ჩვეულება. ეკმოგა ახალი გაზეთი თუ არა, მისი redakcia უცილო ვალად ჭრაცხს პირველ ნომერშიგე საზოგადოებას ეუსნოს თვისი დედა-აზრი, თვისი მიმართულება, აღნუსხოს ყოველი ის, რითაც უპირობს გაზეთის სულის ჩაგმის და სორტის შესხმასა. ამ ჩვეულების ძალმომრეობით გაზდილი საზოგადოებაც დაინასვეს ასალს გაზეთს თუ არა, გულდაჯერებულია რომ პირველს ნომერშიგე იპოვის redakciis აღსარებას მასზედ თუ რა აზრი და დასიშნულება აქვს ამ ახალ გაზეთსა; რის შემოტანა ჭსურს მწიგნობრობაში, თუ ცხოვრებაში; რა გზასა, რა კვალს დაადგება საზოგადო ცხოვრებისაგან მოგლინებული საგანთა გამოძიებაში; რა თვალით განიხილავს ყოველს მას, რაც ჩვენი თუ სხვის ცხოვრება თვისს დაუდგრომელს მიმდინარეობაში ადმოაჩენს; რას და როგორ ემსახურება და ბოდოს რას გვპირდება და რას გვიჭადისო.

ამ ჩვეულებას თვისი მართებული და მატეგ-სადა ადგილი აქვს. საზოგადოებამ, რა საკვირველია, უნდა იცოდეს რა აზრის კაცთან იქცრს საქმეს, რისა და გისს მიმდევარს უნდა ეთხოვოს თავისი ეურად-ება. მაგრამ ყოველს მასზედ, რაც წინ მოგებსენიეთ, ბასუხის მიცემა თითქმის შეუძლებელია. თუნდ ეგ არ იყოს, ტოტა უსერზოთაც მიგვაჩნია. ამ შემთხვევაში ბასუხად ხომ ცარიელი ლიტონი სიტყვა უნდა იყოს,—და ცარიელი სიტყვა რა თამასუქია ნამეტნავად ამისთანა ეჩვეთ საკმე დროში. კინა გარ, რა აზრისა გარ, რა საქმის დადგენა მინდა, რისთვის გამოგდივარ მოედნიდან—ესე ყველა იმისთანა საგანია, რომელზედაც საუბარი ეურ ეხერესია კაცსა. ორში ერთი: კარგს იტეკის კაცი,—თავისთავზედ თქმა აქუსა და თუნდ მართალიც იყოს, ტრაბასობაში ჩამოაგდომეკეს, ტუდ იტეკის კიდეგ—სულელობა გამოგა, ჭკინესი არ იყოს.

არც ერთი ეს თვისება ისე მიმზიდველი არ არის რომ კაცმა თავი იტკინოს და იმ ზემოხსენებულს ჩვეულებას თავდამ ბოდომდე მიეცეს. გაზეთის საქმე დროთა მიმდინარობისაა. დროს დაკვალოთ მის თქმა, რის მოდოდინიცა აქვს შეიოსვეკელს redakciisagan.

ჩვენ დღეს მარტო ზოგიერთის ჩვენს აზრს გამოვთქვამთ მასზედ თუ გაზეთ-ეურნალობა რა დარგსა, რა ძალა, რა თარ-სმალა ადამიანისათვის ცალკე და საზოგადოებისათვის საერთოდ, რის უფლებას აძლევს მას, ვინც მაგის ასპარეზზედ გამოგა და რა მოკალეობასა სდებს კისრად.

ეურნალ-გაზეთობა არის ერთგვარი ნაწილი მწიგნობრობისა. როგორც მრთელს მწიგნობრობას, როგორც ყოველს გონებითსა ძალას ადამიანისას და მის ნამოქმედარს, ისე ეურნალ-გაზეთობას [illegible]

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ივერია

ართვინი:

ამ ერთის თთვის განმავლობაში ართვინელები რამდენსამე უბედურებას შევესწარით. ოთხი კაცი მოჰკლეს, ამათგან ერთი თათარი იყო და საზღვარზე მოჰკლეს ყარაულებმა.

ამ თთვის პირველს რიცხვებში არაჩვეულებრივი შხაპუნა წვიმა გვესტუმრა და ნიაღვარმა დიდი ზარალიც მიაყენა ართვინელების ბაღებს. ამ ამბავს უბედურებაც მოჰყვა. ნიაღვრებმა ორს სახლს ძირი გამოსთხა და ერთი კაციც იმსხვერპლა.[1]

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ქ. ართვინი, 3 მკათათვე. მშვენიერს სანახავს წარმოადგენს ართვინი მდ. ჭოროხის მარჯვენა ფერდოდგან, რომელზედაც მოიკლაკნება ბათუმის საცხენოსნო გზა. ართვინი გაშლილია მაღალის მთის კალთაზე, რომელიც ამფითეატრივით დაშვებულია მდ. ჭოროხისაკენ და მოფენილია თეთრის ლამაზ სახლებით. თითქმის მთის წვეროდგან ჭოროხამდე მოფენილია მწვანე ბაღებით და წარმოადგენს სწორედ სამოთხეს უნაყოფო და გატიტვლებულ კლდიან მთებ შორის. ეს მთები ოდესმე, როგორც მრავალი სხვა მთები კავკასიისა, დაფარული ყოფილა გაუვალ, მტევრ-ტყეებით, რომელიც მშვენიერ გზას წარმოადგენს ტივების საზიდავად, მცხოვრებლებს გაუნადგურებიათ და ტივებათ ჩაუზიდნიათ ხე-ტყე ბათუმში და იქიდამ ოსმალეთში.

ჭოროხის მარცხენა მხარეზე, ქ. ართვინის ნაპირას, მაღალ კლდის თავზე, ამართულია ნახევრად დანგრეული, ოდესმე

1 „ივერია“, #148, 1889, 15 ივლისი, შაბათი, გვ. 1.

მტერთათვის შეუვალი ძველი ციხე, რომელიც მოწამეა მრავალის საუკუნისა. ამ ციხის ძირზე ღრიალით მიისწრაფება შავის ზღვისაკენ მღვრიე ჭოროხი. ამ ძველ ციხის შესახებ ართვინელები მოგვითხრობენ, რომ თათრების მფლობელობის დროს სიკვდილით დასასჯელებს ამ ციხიდგან აგდებდნენ მდ. ჭოროხშიო. ვისაც ეს ციხე უნახავს, ის ადვილად წარმოიდგენს, რა საშინლად სჯიდნენ იმათ, ვისაც ამ თვალ-ჩაუწვდენელს უფსკრულში ისროდნენ. საცოდავი დამნაშავე, სანამ მდ. ჭოროხამდე ჩააღწევდა, კლდეებზედ დაიჩეხებოდა და წყალში სრულიად დანაყილი და დამსხვრეული ჩავარდებოდა.

ართვინი სიგრძით სამ ვერსამდეა და სიგანით ვერს-ნახევრამდე და წარმოადგენს ორ ნაირ ჰავას: ართვინის შუას ზევით ზაფხული გრილია და ზამთარი სუსხიანი, შუას ქვევით ზაფხული ცხელი იცის და ზამთარი ზომიერი. ამიტომაც აქ ჰხარობს ზეთისხილი და სხვა ნაყოფიც ადრე მოდის, ვიდრე ზედა ქალაქის ნაწილში. მაგალითად, ქვედა ქალაქში ყურძენი მკათათვის დამლევს მწიფდება და ზედა ქალაქში კი აგვისტოს გასვლამდე არ მოდის.

უმთავრესი ღირსება და სიმდიდრე ართვინისა ჭოროხია, რომელიც მშვენიერის ბუნებითის გზით აერთებს ართვინსა და ბათუმს. ართვინი მესამე ქალაქია ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებლების რაოდენობით ქუთაისსა და ბათუმს შემდეგ. აქ სცხოვრობს ამ ჟამად 1300 კომლი, სულ 9,000-ზე მეტი სული. ართვინის მცხოვრებლები არიან სომეხ-კათოლიკენი, სომეხ-გრიგორიანნი, ცოტაოდენი თათარი და ქართველი. ართვინიდგან გადასახლებულნი მაჰმადიანი, ათი ათასიოდე სული, ტომით ქართველნი იყვნენ. დაუტოვებიათ ამ საბრალოებს სამშობლო, მცირე ფასად მიუყიდნიათ მშვენივრად გაწყობილი სახლ-კარი სომხებისათვის და თითონ კი გადახვეწილან.

ეკკლესიები ართვინში ბლომად არის. ერთი რუსისა ჯარის არის, ერთი სომეხთ-გრიგორიანებისა, ოთხი კათოლიკე-სომხებისა და ოთხიც მეჩეთი. სასწავლებლებიც ბლომად არის: ერთი არის მთავრობისა, ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი, რომელშიაც 80 მოსწავლეა; ორი მაჰმადიანებისა;

ერთი გრიგორიან-სომხებისა და სამი კათოლიკე სომხებისა - ორი სავაჟო და ერთი საქალებო. მოსწავლეთა რიცხვი ამ უკანასკნელს სკოლებში ბლომად არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სკოლებში სწავლა ძველის მეთოდით მიდის.

აქ, როგორც სკოლების რიცხვიდგანა სჩანს, დიდი სურვილია განათლებისა. ართვინელები მზად არიან, თუ ორ კლასიან სასწავლებელს საქალაქო სასწავლებლად გადააკეთებენ, ყოველ გვარი შემწეობა აღმოუჩინონ სასწავლებელს. ნუ დავივიწყებთ ამასთანავე, რომ ართვინის ხალხი საკმაოდ შეძლებულია. აქ უნდა აღვნიშნო, რომ ნორმალური სასწავლებელი ცოტა მოშორებით არის, და საკვირველია , ყმაწვილები ზამთარში როგორ დაიარებიან სკოლაში ვერსისა და ვერ ნახევარის სიშორეზე ართვინის აქაურის, სრულიად უვარგისის, გზებით.

ქუჩები ართვინში, როგორც საზოგადოდ აზიის ქალაქებში, ვიწროებია და უფარნოები. ბნელს ღამეში აქ ქუჩებზე სიარული ყოვლად შეუძლებელია.

უმთავრესი წყარო ართვინელების ყოფა-ცხოვრებისა ბაღოსნობაა, რომელიც დიდს შემოსავალს იძლევა.

ამ ჟამად ართვინისა და ბათუმის ოლქებში დარჩენილია, როგორც ამბობენ, მეოთხედი უწინდელ მცხოვრებლების რიცხვისა და სხვანი-კი გადასახლებულად. ვინც დარჩა, დღესაც ნაღვლიანად არიან და ყოყმანობენ დარჩნენ, თუ წავიდნენ, თუმცა გადასახლების ვადა 3 თებერვალს 1883 წ. გავიდა და სამუდამოდ უნდა გამოესალმნენ თავის საყვარელს სამშობლოს და თავის წინაპართ საფლავებს. უნებურად გაგონდება ჩვენის უკვდავის პოეტის სიტყვები:

„ჰე, სოფელო, რა შიგან ხარ.
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,
სადაურსა სად წაიყვან,
სად გაუთხრი სადით ძირსა“.

მგზავრი[1]

1 „ივერია“, #148, 1889, 15 ივლისი, შაბათი, გვ. 2.

ართვინი

ჩვენს ვენახებს კიდევ ერთი უბედურება ეწვია. როდესაც ამ გარემოებას ჩავუკვირდით, აღმოჩნდა, რომ ეს ახალი უბედურება ვენახისა რაღაცა ნაირი პატარა ჭიაა, ართვინის ნორმალურის სკოლის მასწავლებელმა, ბ-ნმა ინასარიძემ, შეჰკრიბა რამდენიმე ჭია, გაგზავნა ტფილისს, სამეურნეო საზოგადოებაში, და სთხოვა, რომ ეს ჭია გამოძიონ და იმის წინააღმდეგ რაიმე ღონე იღონონ. ეს მეტად საჭიროა, რადგან ჩვენი ვენახები უიმისოდაც დაზარალებულია ნაცრისა, მილდიუსა და სხვა სენებისაგან. რამდენად მავნეა ეს ახალი ჭია, ამას შემდეგი ამბავი გვიჩვენებს: 1884 წელს აქაურის სკოლის ბაღში დარგეს 400 ვაზი. ამათგან შარშან ნახევარზე მეტი დაზიანებული აღმოჩნდა. ვენახის პატრონები, რადგანაც სხვა არა ეხერხებოდათ რა, ამ ჭიებს ხელით აგროვებდნენ და ჰხოცდნენ. რასაკვირველია, ამ საშუალებით ჩვენ ვერას გავხდებით, თუ სამეურნეო საზოგადოება არ მოგვეშველა.[1]

ართვინი

ჩვენ მივიღეთ ართვინიდამ ბ-ნ მ. მრევლიშვილისაგან 60 მან. ნ. ბარათაშვილის სახელობაზედ დაარსებულ სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ. ეს ფული შეუგროვებათ კნ. პ. მიქელაძესა და კნ. ნ. აბაშიძეს ართვინის ქართველთა შორის. ამ ფულისა დღემდე იყო 265 მ. 40 კ. შესდგა სულ 325 მან. 40 კ.[2]

1 „ივერია“, #81, 1889, 20 აპრილი, ხუთშაბათი, გვ. 2.
2 „ივერია“, #145, 1893, 10 ივლისი, შაბათი, გვ. 1.

წერილი მურღულიდგან

(ართვინის ოლქი)

მურღული სძევს ლივანის ჩრდილოდ. წინ ჭოროხი ჩამოუდის. მურღული იწყება ბორჩხის ზემოდ, სოფ. წითურეთის ახლოს, სადაც მურღულის ღელე ჭოროხს ერთვის. აქ ქართველ მაჰმადიანების სოფლებია და შემდეგ ოსმალოს საზღვარს ახლო ლაზების სოფლები იწყება, რომელთა უმეტეს ნაწილს ქართული სახელები ჰქვიან. მურღული მაღლა სდგას დანარჩენს ადგილებზე ჰაერით, წყალით, მთებით, ხელუხლებელ ტყეებით და სხ. მურღულის დახურული ტყეები სავსეა ბროწეულით, ლეღვით, წაბლით, კაკლით; ბზის ხეებიც მრავლად არის და ამაებს გარდა აქ ისეთი მცენარეებიცა ვნახე, რომლებიც სხვაგან არსად შემხვედრია. მცოდნე კაცისათვის მეტად საინტერესო უნდა იყოს. მადნებიც ბევრი ყოფილა სპილენძისა, რკინისა და სხ. მადნებს, ინჟინერები სინჯავენ ეხლა.

მურღულის ხალხი, როგორც სხვა ქართველი მაჰმადიანები, ძველთაგანვე მხოლოდ მეურნეობას და მევენახეობას მისდევენ. ამათში ვაჭრობა და სხვა რამ წარმოება სულ არ იცოდნენ, მაგალითად როგორც ამათ მოსაზღვრეთ მდებარე ლაზებს შენიშვნენ ჩვენი მემატიანენი, რომ ლაზები საღებ-მიცემობასაც მისდევენო. ძველად ვიდრე საქართველო ფეხზედ იდგა და ეს ნაწილიც საქართველოს სამცხე-საათაბაგოს ეკუთვნოდა, მინამდის ამ ერში, როგორც ვიცით ჩვენ ეს ზედ მიწევნით და რასაც სხვებიც მოწმობენ, იყვნენ გამოჩენილნი გმირნი, ომში მხნენი, ერთგულნი და ყველა საქმეში თავდადებულნი.

ამბად არის დარჩენილი, რომ მურღულში ქრისტიანობა ადვილად არ დაუთმეს ოსმალსაო. ეს ერი ოსმალოს მთავრობას დიდხანს ეურჩა და მკაცრს წინააღმდეგობას უწევდა სჯულის გამოცვლაზე.

ამბობენ, რომ სწორედ ეს ურჩობა გახდა იმის მიზეზად, რომ ოსმალოს მთავრობამ ამათ ძველთაგანვე შეუკრა აქეთ-იქით გასავალი გზები, დაკეტა შიგ ესენი და ისე მოამწყვდია, როგო-

რც ციხეში ტყვენი-პატიმარნი. ოსმალთ არც ეს გაუძნელდებოდათ, რადგანაც მურღულის სურათი სვანეთის მსგავს სურათს წარმოადგენს. ერთი შესავალი ჭოროხის ნაპირს, მურღულის ღელესთან იწყება და მეორეც ლაზისტანისკენ გადის. ოსმალეთმა ნელ-ნელა შეაპარა თავის ბრჭყალები მურღულს, ქართველთა სარწმუნოება მოსპო, მათი ზნე-ჩვეულება და სხვა.

ამას შემდეგ მიჰყო ხელი და საცა რამ ნაშთები იყვნენ, ან ეკლესიები, სულ დაანგრევინა თურმე. ამით ყრილობდნენ იმათ ჯავრს, ვინც თავის სარწმუნოებას მტკიცედ ემსახურებოდა და მაჰმადიანობას ეურჩებოდა. ამის მიზეზით აიხსნება ის გარემოება, რომ აქ ძველის შესანიშნავ ნაშთების რიცხვი ერთობ მცირეა. მურღულელნი უფრო ჩვენს მთიულებსა ჰგვანან.

ამბობენ, რომ ვიდრე მურღულის ერი სჯულს გამოიცვლიდა, მინამდის მათგანი ბევრი მოკვდა თავსაკვეთ კოშკშიაო. ეს თავსაკვეთი კოშკი დღესაც უნდა იდგას მურღულის სადმე შეუვალს ბნელს ტყეში. ეს ამბავი გარდმოცემით იციან, მაგრამ თვით კოშკი-კი არავის უნახავს, თუმცა ერთმა სთქვა, მე ვიცი ისეთი კოშკი, რომელსაც ერთ ალაგს თავსაკვეთი ქვა აქვს გაკეთებულიო. სად არის ეს კოშკი? - როდი სთქვა. ამბათ არის დაშთენილი, ვითომც მეორე კოშკი უნდა იყოს ისე მაღალი კოშკი, რომელიც მურღულის წყალს აქეთ, სოფ. წითურეთის წინ, ერთ კლდეზედ სდგას და რომელ კოშკსაც აქაურნი თამარ მეფის კოშკს უწოდებენ. ოსმალთ ამ კოშკშიაც უჭრიათ თურმე ქართველებისათვის თავი და აქედან მერე თავი და ტანი ჭოროხში უყრიათ. მე დარწმუნებული ვარ, მურღულში რომ რიგიანად მოიძებნოს, მეორე თავსაკვეთ კოშკს ჩვენ ადვილად ვიპოვნით, თუ არ დაუქცევიათ ამ ბოლო დროს.

ასე და ამისთანა წვალებით, ხოცვით და ჟლეტა-წყვეტით, დასთმეს სჯული. ჩუმად დაიარებოდნენ აქაიქ ძველს ეკკლესიის ნანგრევებში და საიდუმლოდ ლოცულობდნენ. ოსმალი გაუტეხელ მურღულელებში მალე ვერას გააწყობდა, რომ ლაზები არ მიემხრო. ლაზისტანიდამ ოსმალი პირდაპირ მურღულში შემოსულა და ამათ მაშინათვე მურღულის შესავალი კარი დაუკეტიათ. მურღულიდამ ლივანაში-კი მალე ვერ შემოუდგამთ

ფეხი. ერთის ლაზელის ხოჯის სიტყვით, ოსმალნი ლივანაში მაქრიალის გზით შევიდნენ და შეიტანეს მაჰმედის სჯულიო.

ლივანის დაჭერის შემდეგ - კი მურღულის ხალხიც გამტყდარა, დაღალულ-მოქანცულა ბევრის ბრძოლით და მერე, როგორც ესენი ამბობენ, „შესრულებულა გამჩენელის ღმერთის ბრძანება“ და მურღულელნი ისე წმინდად გათათრებულან, რომ ბოლოს ყველაზე მეტად შესჯავრებიათ არამც თუ ძველი სჯული და საქართველო, არამედ სიტყვაც-კი „ქართველი“. ამათში პირველად ლაზისტანიდამ მოსული ხოჯები და მოლები ჰყოლიათ, მერე თითონაც ნელ-ნელა უსწავლიათ და ამათშიაც გამოჩენილან მოლები და ხოჯები. ამ დროს ამათში იწყო ქართულ ცხოვრების ზნე-ჩვეულების ამოვარდნამ: მოისპო მევენახეობა, ხვნა და თესვა, პირუტყვების მოშენება და სხვ. თათრობაში ესენი სიმინდის და სხვა რამის კეთებას ძლიერ მცირედ მისდევდნენ, იმდენს, რაც მათთვის იყო საჭირო. მუსულმანისთვის ლოცვა არის საჭირო და არა ჭამა სმაო.

პირველ ხანებში ლაზელი ხოჯები მურღულელებს ასწავლიდნენ, რომ, ოღონდ დღეში ხუთჯერ-კი ილოცეთ და მუშაობა თქვენთვის საჭირო არ არისო: სამშაოდ აგერ, აი ის გურჯები არიან დანიშნული, რომელნიც არ თათრდებიანო, იმათ უნდა იმუშავონ და თავიანთი ნამუშავარი თქვენ გაძლიონ, ამით თქვენ უნდა არჩინოთ თქვენი წმინდა წმინდა თავიო და შრომის მაგიერ დღეში ხუთჯერ უნდა ილოცოთო. ასეთმა დარიგებამ ეს ხალხი მეტად გაათამამა, ქრისტიანობას არ უსვენებდა, ძარცვა-გლეჯით ლივანელებს საქმე გაუჭირა.

ოსმალმა მურღულელთ დიდი ერთგულება შეამჩნია და ამიტომ თავიანთ ხეობის გამგეობა თვით მურღულელთ ჩააბარა. მათ დაუნიშნეს მხოლოდ მეტად გამჭრიახი ფანატიკოსი სასულიერო კაცნი და ამ სასულიერო კაცთა მეოხებით მურღულში სრულიად ამოვარდნილია ქრისტიანული ჩვეულებანი და ქართული სიმღერებიც კი გამქრალა, თუმცა მურღულელი ძველად ძლიერ განთქმული ყოფილა სიმღერით, ამათი ჰანგი ყველასთვის მოსაწონი ყოფილა. ხოჯებს ამაზედ ჯავრი მოსვლიათ და ხალხი დაურწმუნებიათ, რომ ვინც ქართულად იმღერის, ის

სჯულის მცნებას დაარღვევს და მას მაჰმედი სამოთხეში აღარ შეუშვებსო. ქართული სიმღერები პირველად აქ ამოვარდნილა, სხვა მხარეებში-კი ეს ისე ვერ მოხდა, მაგალითად, თუნდ აჭარაში, თუმცა მოლები და ხოჯები აქაც ჰქადაგებდნენ ამის წინააღმდეგ. ამათის ფიქრით, მაჰმადს მარტო ქართული ხმები ეჯავრებოდა. მაგრამ სიმღერის მოსპობა არც ეგრე ადვილია, არ შეიძლება ცოტა რამ მაინც არ დარჩეს ხალხში. ამ დღეებში ერთ ხოჯას ყანაში ნადი ჰყოლია, მუშებს თავიანთებურად ქართულის ხმებით დაუწყვიათ ყანურის მღერა, ამ სიმღერაში ხოჯაც აჰყოლია. ამაზე ხალხი ძლიერ გაკვირვებულა და ერთს უთქვამს, - ხოჯა! აკი თქვენ ამბობდით, რომ გურჯულის მღერა ცოდვა არისო? თქვენც კარგად იმღერეთ ჩვენთანო!?

- ყანაში მუშაობის დროს არა უშავს-რა ქართულს, მიტომ რომ ჩვენები თათრულს ასე ვერ აწყობენო, - მიუგო ხოჯამ, ეს ხოჯა მეტად ფანატიკოსია თურმე, სტამბოლში გაზრდილი, ტომით ქართველი, მოძულე ქართველთა, სოფ. კიბეში სცხოვრობს. მუშებმა სთქვეს:

- ასე ყოფილაო, როცა მაგათთვის ვმუშავობთ, მაშინ თუ ვიმღერეთ, ცოდვა არა ყოფილაო და როცა ჩვენთვის, მაშინ-კი დიდი ცოდვა არისო.

მურღულის ერის ასეთმა მოწყვეტამ და განკერძოებულმა მდგომარეობამ ერთობ ცუდად იმოქმედა მათზე და ბოლოს ესენი ისე განადირდნენ, ისე გაველურდნენ, რომ თვით ოსმალოს მთავრობაც-კი მიავიწყდათ და მარტოდ შეიხ-ისლამი აგონდებოდათ.

ძველად, ჩვენის მეფეების დროს, მურღულთ ქიზიყელებივით გამგე ჰყოლიათ. თავად-აზნაურობაცა ყოფილა აქ, მაგრამ ბატონ-ყმობისაგან მეფეების დროსვე განთავისუფლებულა გლეხობა, ისე რომ თავად-აზნაურობას არავითარი ძალა არა ჰქონია.

ზ.ჭ[1]

1 „ივერია“, #169, 1893, 10 აგვისტო, სამშაბათი, გვ. 3.

ფელეტონი

ართვინი

ართვინი საქართველოს ნაწილია თუ სომხეთისა. - სოფლებისა, ბოსტნეულობისა, საჭმელებისა და ტანისამოსის სახელები. - მამულიშვილობა და მამულის სიყვარული. - სცხვენოდეთ ჩვენს მამულიშვილებს! - ართვინის გზა - „ხიდის თავი“ და „კარძულ“-ი. - ეკკლესია და ქართული და სომხური სახარებანი. - ნიმუში ძველის მხატვრობისა.

ვმადლობ ღმერთსა, რომ ჩემის გულის დიდის ხნის წადილს მიეცა აღსრულება და ვეღირსე იმ ადგილების ნახვას, სადაც ერთ ხორცი ჩვენი ძმები, ქართველები, აღიარებდნენ ჭეშმარიტს მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის სარწმუნოებასა. თუმცა უწყალო დროებამ და თათრების ხანგრძლივმა მფლობელობამ მოსპო ეს სარწმუნოება, მაგრამ ქართული ენა, რომლითაც ჰლაპარაკობს ეხლა მთელის აჭარისა და ართვინის მაზრის მცხოვრებლები, და აქამომდე დაშთენილი ძველი ეკკლესიები და ძველი ხელნაწერი საღმრთო წერილის-წიგნები ნათლად გვიმტკიცებს, რომ ორასის ან სამასის წლის წინად ამ მხარეში დიდი განვლენა ჰქონიათ ქართველებს. მართალია, ართვინელი სომხებიც ამბობენ, რომ ვითომც ძველად მთელი ალაგი ართვინის ქალაქისა, და ართვინის მაზრისა დიდის სომხეთის სამეფოს ნაწილს შეადგენდაო, მაგრამ ქვემო მოყვანილი საბუთები სულ სხვას ამტკიცებს.

ჩემდა სამწუხაროდ და სასირცხვილოდ უნდა ვსთქვა, რომ ჩემი ცოდნა საქართველოს ისტორიისა ძალიან სუსტ ბორბლებზედ სდგას; ამისთვის მე არ ვეხები ისტორიასა, მე მკითხველებს მხოლოდ ეხლანდელ გათათრებულ ქართველების ცხოვრებისსურათსა ვწერ. აქ რომ ქართულს ენასა და ქართველებს გავლენა ჰქონდათ, ამას გვიმტკიცებს მრავალი აქამომდე დაშთენილი სოფლების სახელი, გარდა ამისა გვაროვნობა მცხოვრებლებისა და იმათი სხვა-და-სხვა გვარი ზნე და ჩვეულება.

დიდათ საკვირველი ის არის, რომ აქაურ გათათრებულ ქართველების ენაში ერთს სიტყვას ვერ იპოვით სომხურის ენიდგან; სომხურ ენაში-კი მრავალია ქართული სიტყვები.

აი სახელები ზემოხსენებულის გათათრებულ ქართველების სოფლებისა: 1) დარბაისელი, 2) დევის-კარი, 3) შუა-ხევი, 4) გაღმაუბანი, 5) ქვემოუბანი, 6) დიაკვანეთი, 7) სამოთხე, 8) ცისკარეთი, 9) საკმელეთი, 10) ცხრაძმათა, 11) ორიძმა, 12) ზესოფელი, 13) ქვათეთრისი. 14) ოქრობაგეთი, 15) სათლელ, 16) სამჯელ, 17) გოგოცური, 18) წაბლანა, 19) სხალთაყანა, 20) ტბეთა, 21) ნიგოზეული, 22) ნენია, 23) ზემოხევი, 24) ჭედრული, 25) პეტრული, 26) შუბანი, 27) კანაშენი, 28) ლომიკეთი, 29) ჩონგურეთი, 30) ვეჯინეთი, 31) შველაური, 32) კოსტანეთი, 33) ჭად, 34) ცოცხობა, 35) კატაფხია, 36) ნაღვარეთი, 37) ფირალეთი, 38)კვალეთა, 39) ყანაშვილი, 40) ბარი, 41) ზვარე, 42) გულები, 43) სვანეური, 44) მერისი, 45) ქედა, 46) შინდობანი, 47) ზენდობა, 48) ამბაკაული, 49) ახალდაბა, 50) ციხიძირი, 51) მომანელისი, 52) ხახავალეთი, 53) შაკღორღოლი, 54) ზერობოსელი, 55) ახალშენი, 56) დიდიჯამე, 57) მელური, 58) ქაშვეთი, 59) პაპიშვილები, 60) ჭური, 61) დაბაძველი, 62) არხვა, 63) არაფეთი, 64) ჭინკური, 65) ფუცუნაკი, 66) სამულეთი, 67) სვეტიბარი, 68) მამაშენი, 69) მამაწმინდა, 70) კარი ძველი, 71) ხიდისთავი, 72) გორგაული, 73) გორვანაული, 74) იფსრეული, 75) წეთირეთი, 76) სურევანი, 78) დაბაკენთილი, 79) ვარჯანისი, 80) სიმონეთი, 81) გოგოდაურ, 82) კეხიური, 83) ქორთულეთი, 84) სუჯუნა, 85) სკურჩა, 86) კელასური, და სხვანი...

ეხლა ჩამოვთვალოთ იმათი გვაროვნობა: 1. თავდგირიძე, 2. ჩიჟავაძე, 3. სარდალ-ოღლი, 4. ნადირ-ოღლი, 5. ლორაძე, 6. ვასაძეები, 7. მოპონაძე, 8. ლაკლაკიძე, 9. თოთრაკიძე, 10. ჩაკრაკაძე, 11. გეგელიძეები, 12. გიგაშვილები, 13. ბესელაშვილი, 14. გიორგაძე, 15. ჯაბრიძე, 16. გულიკაშვილი, 17. ტაფიძე, 18. გახტიასოღლი, 19. ჭყონია, 20. აბაშიძე და სხვანი...

აი ბოსტნეულ-მცენარეების სახელები, რომელთაც ართვინის სომეხნი მცხოვრებნი ჰხმარობენ: 1. ქინძი, 2. ქონდარი, 3. ნიახური, 4. რეჰანი, 5. კამა, 6. პატრიჯანი, 7. ცერეცო, 8. ჭარხალი, 9. პრასა, 10. ლახანა, 11. მოლოქი, 12. შალღა, 13. სალათა, 14.

პილპილი, 15. წიწმატი და სხვანი...

ნუ თუ ხმარება ამ სახელებისა არ ამტკიცებს, რომ ქართველებს მიუციათ ეს სახელები სომხებისათვის და არა სომხებს ქართველებისათვის?...

სხვა-და-სხვა გვარ ხილის და საჭმელების სახელებს ართვინელები ზოგს ქართულს ჰხმარობენ და ზოგს თათრულს; მაგალითებრ: 1. ბალ, 2. ფიშნა (ქვიშნა), 3. შინდი, 4. წერანი, 5. ატამ, 6. თუთა, 7. ჭანჭური, 8. კაკალი, 9. დამასხი, 10. წაბლა, 11. ჩინდი ლობო, 12. ფაფა, 13. ტყლაპი, 14. კორკოტ, 15. გუფთა, 16. ბექმეზ და სხვანი...

საწოლისა და ტანისამოსის სახელები: 1. ბალიში, 2. დოშაკი, 3. ქეჩა, 4. ჭილოფი, 5. კაბა, 6. ბაღდადი და სხვანი...

მთელს ართვინის მაზრაში სცხოვრობს 53,757 სული ორისავე სქესისა. ამ რიცხვიდგან ოთხი ნაწილი გათათრებული ქართველობაა, დანაშთენი მეხუთე ნაწილი სომხობაა. თითონ ართვინის ქალაქში ითვლება 6834 სული მამათა და დედათა სქესისა. 1058 სული, სომეხ-გრიგორიანთა. 4279 კათოლიკე სომეხი და 1497 გათათრებული ქართველი. წარსულ ომიანობამდის აქ უმეტეს ნაწილად გათათრებული ქართველები იყვნენ, მაგრამ სამწუხაროდ მრავალნი მათგანნი გარდასახლდნენ სათათრეთში და ამათი ყოფა-ცხოვრება სომხებს უვარდებათ ხელში. ისინი ეხლაც იბარგებიან აქედგან და საბოლაოთ არა მგონია ვინმე დარჩეს მათგანი ამ მშვენიერსა და ღვთისაგან დალოცვილს მხარეში.

სადაც მიბრძანდეთ ჩვენს განათლებულს ქალაქებში, ყველგან ისმის შემდეგი ბაასი: „ჰოი, მამულო, მამულო! გავიღვიძოთ, აღვსდგეთ, „დრო არის შეუდგეთ მამულის განყვავილებასა“. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ეხლა იშვიათად იპოვით ჭეშმარიტს მამულიშვილსა. მამულის წაწინავების მღაღადებელთ არც-კი ესმით, რა არის მამულიშვილობა და მამულის სიყვარული. ვინ არიან ეხლა მამულიშვილები? მეორე ან მესამე კლასის მოსწავლენი, ახალმოდის პატარძლები და ან ისინი, ვისაც განსაზღვრული სადგურიც კი არა აქვთ და უწყალოდ სტკეპნიან ძველსა და ახალს მოედნებსა. მჭევრი ბაასი

სხვა-და-სხვა კრებაზედ, დილით საღამომდისინ უზომოდ წამა და სმა, მამულის გაყიდვა და ძვირფასის საუნჯის დაგირავება, ბაქოს ან ამერიკის ნავთის შესახებ სხვა-და-სხვა პროექტების წარდგენა, ხან მოსკოვის და ხან პეტერბურგის პურ მარილობის აღწერა და სხვანი მრავალნი განა მამულის სიყვარულია?

უნდა სცხვენოდეთ ცბიერ მამულიშვილებს, რომ აქამომდე არავის იმათგანს არ დაუთვალიერებია ართვინის მაზრა და არც უფიქრია, არის თუ არა საჭირო განვრცელება წერა-კითხვისა გათათრებულ ქართველებთა შორის. ჩვენ სომხებსა და თათრებს დავსცინით, მაგრამ ამ სომხებმა ართვინშიაც დააარსეს ოთხი სასწავლებელი მამათა სქესისათვის და სამი დედათა სქესისათვის. თათრებში კიდევ უფრო წინ წავიდნენ: თითქმის ათას-ხუთასი სასწავლებელი დააარსეს თათრული წერა-კითხვის გასავრცელებლად - მრთელს ართვინის მაზრაში. ჩვენ-კი, მამულის შვილებსა, ერთის სასწავლებლის დაარსებაც-კი არ გვიფიქრია ამ ძველს საქართველოში. არ გვიფიქრია აღწერა ამა ტაძრებისა და სხვა-და-სხვა გვარ ძველის ქრისტიანობის საუნჯეებისა, რომლითაც მოფენილია ეს მშვენიერი ქვეყანა. თუ არის რამე აღწერილი ამ ძვირფასის საუნჯეებისა, ისიც მხოლოდ დაუღალავ და დაუვიწყარ მამულიშვილის განსვენებულ დიმიტრი ზაქარიას ძის ბაქრაძის მიერ შედგენილი.

ბათუმიდგან ართვინამდის ოთხმოცდა-ათი ვერსია, ამ რიცხვში სამოცი ვერსი საურმო გზაა, ხოლო ოც-და-ათი - საცხენო. თითქმის მთელის გზის ბუნება შეფარდულია იმ გვარის უცხო და მშვენიერის სურათებით, რომ უნებლიედ მოდიხართ გაკვირვებაში და არ იცით, რომელ სურათს მისცეთ უპირატესობა. გზა მუდამ ორ გორას შუა მიდის; ამ ორ გორას შუაში მორბის გაშმაგებულად ჭოროხის მდინარე და სცდილობს თავისი მრისხანე ტალღებით მთები ბარად აქციოს, ხოლო ბარი ქვიშად. მაგრამ მარჯვნივ და მარცხვნივ მდგომარე კლდის გმირები უნაყოფოდ აბრუნებენ უკან ამ რისხვით სავსე ტალღებს. მშვენიერი ჰაერი, ურიცხვი ცივი და სასიამოვნო წყარო, სხვა-და-სხვა გვარი მცენარეები, პურისა და სიმინდის ყანები, გაღმა გამოღმა გათათრებული ქართველების სოფლები და ურიცხვი

ნავები მამაცის მენავეებით, რომლებიც გმირულად ებრძვიან გაშმაგებულს ჭოროხის მდინარის ტალღებსა და სამს საათს უნდებიან ოთხმოცდა-ათს ვერსსა ართვინიდგან ბათუმამდის - ჭეშმარიტად ყოველი ესე ყოველს მგზავრს სანატრელადა და სასიამოვნოდა რჩება. თუმცა აგერ 16 წელიწადია, რაც გვიჭირავს ეს მხარე და რაც სცდილობენ საურმო გზა გააკეთონ ბათუმიდგან ართვინამდის, მაგრამ ალაგ-ალაგ კარგი მაგარი ძარღვები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ უშიშრად გაიაროს. ზევით საშიშარი კლდეების ტოტები, ქვევით ჭოროხის ჯურღმული და შუაში ვიწრო, ოღრო-ჩოღრო გზა ვის მისცემს მოსვენებულს გულსა? ეხლა-კი სცდილობენ საკმაოდ გააფართოვონ ეს გზა, მაგრამ ვინ იცის, როდის გვეღირსება მისი გათავება.

ართვინს რომ უცქერით, გული სიამოვნებითა სძგერს, მაგრამ ჯერ ძნელია მასთან დაახლოვება. ექვსი ვერსი უნდა გაიაროთ სულ დიღმართით, შემდეგ ხიდზედ გახვალთ და დასასრულ კიდევ ექვსი ვერსი სულ აღმართი უნდა იარო, თუ შუა გულ ართვინში გინდათ შესვლა.

ეს ზომხსენებული ხიდი, რომელსაც გათათრებული ქართველები და სომხები „ხიდის-თავს“ ეძახიან, ქვის მასალით არის გაკეთებული და გუმბათივით დაშვებული ჭოროხის მდინარეზედ. ამ ხიდისა და იმის ახლო მდგომარე ძველის ციხის გამკეთებლად ართვინლები თამარ დედოფალსა სთვლიან. ჩვენდა და საარხეოლოგიო საზოგადოების წევრების სამწუხაროდ, ამ შესანიშნავის ხიდისა მხოლოდ ქვეითი საფუძველი დარჩა, დანაშთენი კი შეჰმუსრა ერთმა ინჟინერთაგანმა, რომელსაც უკანასკნელ ომიანობის შემდეგ ართვინის გზის გაკეთება ჰქონდა მინდობილი და არა შემუსრვა ამ გვარის ძვირფასის ძველის საუნჯისა. ეხლა ქვის ხიდის მაგივრად ფიცრის ხიდი სდგას.

ამ ხიდის მარცხნივ, ჭოროხის მდინარის გაღმა, ნაწილი არის ართვინის ქალაქისა, ამ ნაწილსა ართვინლები კანძულს (კარი-ძველი) ეძახიან. აქ ყოფილა ძველად მართლმადიდებლების ეკკლესია. ეხლა-კი ეს ეკკლესია განახლებულია, მაგრამ ამ ეკკლესიის მრევლი კათოლიკე და გრიგორიანნი სომხები არიან. ამ ეკკლესიის საუნჯეს შეადგენს ჯერ ღვთის მშო-

ბლის ხატი, რომელზედაც წარწერილია სლავიანურს ენაზედ: „Пресвятая Богородица Казанская (ყ დ. წმინდა ღ-ის მშობელი კაზანისა)“ და, მეორედ, ორი ძველი სომხური ხელ-ნაწერი სახარება. ერთი სახარება დაწერილია 444 წლის წინეთ, ხოლო მეორე 158 წლის წინეთ.

ართვინის შუა გულს დიდი ეკკლესია სდგას გრიგორიან სომხებისა. ამ ეკკლესიაში ეხლაც არის ძველი ხელ ნაწერი ქართული (ხუცური) სახარება. სახარების ყდა ორივე მხრივ წმინდა ვერცხლით არის მოჭედილი და დამშვენებული ძვირფასის თვლებით ზურმუხტითა, იაგუნდითა და სხვანით. ყდაზედ ჩამოკიდებულია ვერცხლის ჯვარი. ამ ჯვარს ემთხვევიან ხოლმე ყველა სომხები წირვის გათავების შემდეგ და რადგანაც ჯვარიც და სახარებაც წმიდა საუნჯედ მიაჩნიათ, დიდ-ძალი მორწმუნე ქრისტიანები დადიან ამ ეკკლესიაში.

პატიოსანმა მღვდელმა ამ ეკკლესიისამ მიამბო, რომ ამ გვარი სახარება ოლთის მაზრაშიაც არისო. საკვირველი ის არის, რომ, ზემოხსენებული ქართულისა და აგრეთვე სომხურის სახარებისა, მახარებლების სურათები ისეთის სამხატვრო წამლით არის დახატული, რომ გეგონებათ, ეს არის ეხლა დაუხატიათო.

კ. მაჭავარიანი
ქ. ბათუმი[1]

ართვინი

დ. ართვინის მცხოვრებს ფილიპე აშრაფიანს ბათუმის ოლქის ზემო-აჭარის ნაწილში, სოფელ მონხინაძესა, სამანსკსა და ლეგლეგეს მახლობლად და აგრეთვე უდვილსა, კაიდსა, ოქისი-ბოლოსა და ართვინის ოლქში სოფელ ბალ-ხოტილსა და ჩანს მახლობლად მადანი აღმოუჩენია.

სპილენძის აღმომჩენმა და ბ-ნმა ვართაზიხოვმა, რომელიც აშფარიანმა ამხანაგად გაიხადა, კავკასიის სამთო სამმართვე-

1 „ივერია“, #237, 1894, 8 ნოემბერი, სამშაბათი, გვ. 1-3.

ლოს აცნობეს ეს და სთხოვეს, რომ ადგილობრივ იქმნას გასინ-ჯული მადანი სამმართველოს მიერ გამოგზავნილ სამთო მიწის მზომავისაგან.[1]

ართვინის (კლარჯეთამდის) გათათრება.

(ნაამბობი ბ. ლუკა ანდღულაძის მიერ).

რუსეთმა რომ ბათუმი ჩაიბარა, მე მაშინ სამსახურში შეველ, მალე ბათუმში ვიქმენ გამწესებული და იქიდგან გურიის მი-ლიციაში ვემსახურებოდი. აჭარის ჩაბარების შემდეგ მე აქეთ ვმსახურებდი, ხან აჭარაში, ხან ზეგანს, ლივანას და ბურღულის ჩაბარებაში მე თვით ვიყავ დამსწრე და მონაწილეობის მიმ-ღები. იმ დროებში ჩვენ აქ ძლიერ ბევრი ღრმად მოხუცებული ქართველ-მაჰმადიანები ვნახეთ, რომელნიც ლაპარაკობდნენ თამამად შემდეგს:

მას შემდეგ სამი თაობა გავიდა, რაც ართვინის ხალხი კლარჯეთამდის გათეთრდაო. ართვინელნი დიდად მაგრობ-დნენ და ამიტომ ოსმალისაგან დიდძალი ჯარის-კაცი იქმნა მოგზავნილი და ამ ჯარის-კაცებმა ქრისტიანობის გულისთვის 1400 ქართველს მოსჭრეს თავი და ეს თავები ჭოროხში ჩაყა-რესო. აქეთ ბევრ მოხუცებულთ ახსოვთ გაგონილი ამბავი, რომ ქრისტიანობის გულისთვის ერთს დროს ქართველთ 1400 კაცს მოსჭრეს თავიო. მოხუცებულთა ფიქრით ეს უნდა მომხდარი-ყოს 1740 წლებში.

(ქედის ხოჯა ახმედ ხალიფაშვილის ნაამბობი).

ზეგანი ნებით არის გათათრებული, აქ ოსმალებს სისხლი არ დაუღვრიათ. - ამიტომ ზეგანი ნებით გაქრისტიანდებაო. ამის ნიშანი ჩვენ ვნახეთ, რომ შესოფ-ბეგ ხიმშიაშვილი ზეგნელი თავისს ნებით გაქრისტიანდა. ძველად ხოჯა ხერხეულიძე ასე იტყოდა, რომ ნებით არც ერთი მხარეა გათათრებული, სადა-

1 „ივერია“, #145, 1895, 10 ივლისი, სამშაბათი, გვ. 1.

ც-კი გათათრებულან, ყველგან ძალით მომხდარა. ზეგნელებს აჭარლებზედ არა ნაკლებ უტანჯნიათ, ნახევარი ზეგანი ფოცხოვისა და ქვაბლიანისკენ გაწყდა ბრძოლაში, რადგანაც არ თათრდებოდნენო. დანდალომ ზეგანს მიჰბაძა და მიტომ გაწყდნენ ესენიც ბრძოლაში. დანდალოს აჭარამ მიჰბაძა და აჭარაშიაც დიდი სისხლი დაიღვარა. ხოჯა ხერხეულიძეს კარგად ახსოვდა ის დრო, როცა აჭარაში ხალხი ქრისტიანდებაო.

ხერხეულიძე ღრმად მოხუცი გარდაიცვალა, ასე 90 წლისა. ეს იტყოდა ხოლმე, რომ ჩვენის გვარიდამ პირველად მამაჩემი გათათრდაო, მამაჩემი მაშინ 20 წლის დელეყანდი იქნებოდა და სჯულზე ძლიერ მაგრობდაო. თურქებს ბრძოლა აუტეხეს, მამაჩემის ერთი ნათესავი დაიჭირეს და თავი მოჰკვეთეს, ზოგი ბაწრით დაარჩეს, მამაჩემს შეშინებია და გათათრებულა. ეს ამბები უნდა მომხდარიყოს 1770 წლებშიო.

ხულოს ეკკლესია რომ დააქციეს, მაშინ ბევრნი ზეგნელები ჯავრობდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ რად აქცევენო. ახმედ ფაშასთან მივიდნენ და სთხოვეს,

- ფაშა აგრემც თქვენს მუხლებს ვენაცვალებით, ამ ეკკლესიას ნუ აქცევთ, ცოდოა, ჩვენი ძველების გაკეთებულიაო. ნუ იზამთ ამასაო.

ფაშამ ამათ ღალატი შესწამა; ქრისტიანობას სწამებდნენ, ამიტომ თავები მოჰკვეთეს. ეკკლესია მაინც დააქციეს, ეკკლესიის ქვებით ფაშის სახლი გააკეთეს და მათ მეზელუქს (სასაფლაო) ყორე შემოავლეს, ჯამეს საძირკველი მით ჩაყარეს და წყაროს კედლებიც მით გააკეთეს. სხალტა რომ ჯამეთ გააკეთეს, მე პირველად ვალოცე იქ ხალხი, პირველად მე დავიძახე მაჰმადის ლოცვა მის მინარიდან. სხალტის ეკკლესიის სურათებს რომ ცეცხლს ვაძლევდით, ესეც ძლიერ ბევრს მოხუცებულებს სწყინდათ.

აჭარლებზედ მეტი სისხლი მაჭახელმა დაღვარა, აჭარის გათათრების შემდეგ გავიდა ბარე 50 წელიწადი და მაჭახელი არც თათარი იყო და არც ოსმალს იცნობდა, იგინი ხარჯს არავის აძლევდნენ, იყვნენ კაი თოფების და ხმალ-ხანჯლის მკეთებელნი და ამიტომ ერთ თავად ომი და სისხლის ღვრა

უყვარდათ; ესენი აჭარლების სიტყვით გათათრდნენ, თორემ ოსმალები ამათ ვერაფერს დააკლებდნენო. მაჭახლის გათათრება სრულიად უნდა მომხდარიყოს 1790-1805 წლებამდის. ხალიფაშვილი ამბობდა, რომ მე გამიგია სხვებისაგან, შავშეთი და იმერხევი-კი ნებით არის გათათრებული და ისინი თავისს ნებითვე გაქრისტიანდებიან, შავშელნი ისეთი ხალხია, რომ ისინი ყველაზედ ადრე გაქრისტიანდებიანო.

ზ.ჭ.

(შემდეგი იქნება).[1]

ართვინი

ქ. ართვინი, 22 აგვისტო. გუშინ ღამ 11 საათზედ ოც-და-ერთს ამ თვეს, სწორედ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის თავ. ბარიატინსკის მოსვლის წინა დღეს, ერთი შემაძრწუნებელი მკვლელობა მოხდა: მოჰკლეს ოფიცრების ქუჩაზედ ნ...ხ [არ იკითხება ნახევარი წინადადება] ხი დანებით ოცის წლის ყმაწვილი კაცი, მედუქნე მაჰმადიანი ნური ესრილ-ოღლი. ნურიას ჰქონდა პატარა ბაყლის დუქანი პლასტუნების ბატალიონის ჯარის კაცთა შტაბთან. მოკლულს გვარიანი შეძლებაც ჰქონია. როგორც საქმიდგანა სჩანს, ამ შეძლებამ შეიწირა ყმაწვილი კაცი. ნური დილა ადრიანად რომ მოვიდოდა სახლიდგან, 11-12 საათამდის ღამისა დუქანში იჯდა და მერე-კი შუა ღამისას მიდიოდა შინ, მაგრამ სახლში წასვლის ხანს უნდა გაევლო ამ აფიცრების ქუჩით. ამისთანა მკვლელობის გამო დიდად შეწუხებულნი არიან მთელის ბატალიონის აფიცრები, რადგან ყველას მოსამსახურე და სინდისიანი ვაჭარი იყო, იმასთან თითო ორ შაურად უფრო იაფად ჰყიდულობდნენ ყოველგვარს სანოვაგეს. მოკლულის გულიდგან აუჭრიათ ფულის ჯიბე, სადაც ინახავდა თურმე მთელს თავისს შეძლებას. ამ მკვლელობას აბრალებენ ოფიცრების მოსამსახურე ყაზახ-რუსებს, რომელნიც სამი კიდევაც შეიპყრო ადმინისტრაციამ. ამ

1 „ივერია“, #160, 1895, 29 ივლისი, შაბათი, გვ. 2-3.

საქმის გამო დღეს ბათუმიდგან ამოვიდა გამომძიებელი ოჰანეზოვი. აქაურ სოფლებში, სადაც ხალხი ცხოვრობს, ღამით არ არის საშიში სიარული და როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ქალაქში და ჯარის კაცებთან-კი საფრთხილო შეიქმნა გავლა-გამოვლა.

ი. ჯ.[1]

შავშეთი

შავშეთი (ართვინის ოლქი). შავშეთს აღმოსავლით არსიანის და არდაგანის (არტაანი) მთები უძევს, დასავლით კარჩხალის მთა, სამხრეთით არდანუჯის მიდამოები და ჩრდილოეთით აჭარა. ჩვენს ძველებს სამართლიანად უწოდებიათ ამ ადგილებისათვის შავ-მთა. ეს მიყრუებული, მგზავრისაგან მივიწყებული მხარე ყოველთვის შავად არის მობურული, ნამეტურ დილით, რადგანაც ეს ოქროს კუთხე, ეს ძვირფასი მხარე საქართველოსი სულ ნაძვის ხის ტყეებით არის სავსე.

შავშეთი შესდგება შვიდის სამამასახლისოდამ. ოთხი სამამასახლისო შავშეთს ეკუთვნის და სამი სამამასახლისო შავშეთის ნაწილს იმერ-ხევს. შავშეთში ქართული ენა აღარავინ იცის, სამს სოფელში ლაპარაკობენ მხოლოდ. აქ ქართულის ენისა აღარავის რა ესმის. იმერ-ხევში კი ყველგან იციან ქართული, ყველგან ქართულად ლაპარაკობენ, აქ არის ისეთი სოფლები, სადაც ქართველ მაჰმადიანთ ბავშვებმა და ქალებმა თათრული ენა სრულებით არ იციან. მხოლოდ ქალის საფიანავას ხეობის ქვემოთ, სოფ. წყალსიმერში კი შეპარულა თათრული ენა და აქაური ქართველების უმეტესი ნაწილი თათრულად ლაპარაკობს.

ზოგიერთს სოფლებში ძალიან ცდილობენ თურმე, რომ ქართული დაივიწყონ. არსიანის მთის საძოვრებზედ მე ვნახე რამდენიმე მწყემსი, იმერ-ხევიდგან მოსული, მამები მშვენივრად ლაპარაკობდნენ ქართულს და შვილებმა-კი, პატარა

1 „ივერია“, #186, 1895, 31 აგვისტო, ოთხშაბათი, გვ. 2.

მწყემსებმა , ძლივს ამოთქვეს თითო-ოროლა სიტყვა ქართულად. ამათში ყველამ კარგად იცის, რომ ისინი ქართველების შთამომავალნი არიან; ქართულის ენის არა მცოდნე თათრებიც-კი თავიანთს [არ იკითხება] უწოდებენ. ამათ სიტყვა ქართველი ისე არა სძულთ, როგორც აჭარლებს, ქობულეთლებს და მაჭახლელებს.

შავშეთში დღემდის დაშთენილია ორი ნაშთი ჩვენის ძველის დროებისა; ერთი ოპიზის შესანიშნავი ტაძარი, ნათლის-მცემლის მონასტერი და მეორე ტბეთის საკათედრო ეკკლესია. ტბეთის ეკკლესია მთლადა სდგას, მისი მშვენიერი გუმბათი დიდის დიდებით გადმომზერს შავშეთს, კაცს გული აუტირდება, როცა შავშეთს ნახავს, მისს ისტორიას გაიხსენებს და ამ ეკკლესიას. ეკკლესია მთლად თლილის ქვით არის აშენებული მეათე საუკუნის დასაწყისს, აშოტ კუხის კურო პალატისაგან.

ეკკლესიას 35 ლაჯი სიგრძე აქვს და ცოტა ნაკლები სიგანე. ეს ეკკლესია აქამდე ჯამედ ყოფილა. ამ სამის წლის წინად, ობლად შთენილს ტბეთის ტაძრის გუმბათს მეხი დასცემია და მხოლოდ ერთს ალაგას არშინის სიგრძე ჩაუქცევია. სხვაფრივ ვერაფერი უვნია.

შავშელებს შეშინებიათ, ჯამე მოუშლიათ და სხვაგან გაუკეთებიათ, გასაკეთებლად ტბეთის ეკკლესიის სამრეკლო დაუქცევიათ და მისი მასალა ჯამეს საკეთებლით უხმარიათ. ეკკლესიას საკმარისათ ჩამოჰქცევია ჩრდილოეთის მხრის კედელი. გარედან წარწერები აქვს. შიგ აქა-იქ მხატვრობაც შენახულა, ერთს კედლის ქვაზე გამოჭრილია სურათი ამ ეკკლესიის მაშენებლის, აშოტ კურატ პალატის წარწერა-კი წაბღალულია.

ეკკლესიას ოთხი თლილი ქვის სვეტი აქვს ატანილი და გუმბათი ამ სვეტებზე დგას. ერთის სვეტის წინ არის საფლავი თვით აშოტ კურატპალატისა, რომელსაც საფლავზედ ერთი დიდი შავი ქვა აძევს, ამ ქვას სიგრძე-სიმაღლე ორი არშინი ექმნება. მეტათ შესანიშნავი მძიმე ქვა არის, შავ მარმარილოს ჰგავს. ერთმა ბერძენმა სთქვა, რომ იმ ქვამ ჩვენი იარაღი არ მიიკარა, მერე ინგლისური ფოლადის იარაღით ვსცადეთ, მაგრამ არც ის მიიკარა, ვერა გავიგეთ-რა, თუ ის რა ქვა არისო.

ასე და ამგვარად, დღეს შავშეთში ქართული ენა აღარ არსებობს, ქართველების სამახსოვროთ აქ შენახულია თითო-ოროლა ძველი ნაშთი, რომელთა პატრონობა აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს.

შავშეთშივე სძევს ჩვენის გამოჩენილის მოლექსის იოანე შავთელის სოფელი შავ-მთა, დღეს მთლად აოხრებული და ვერან დაბათ არის ქცეული.

ზ.ჭ.

15 აგვისტოს, ს. ტბეთი.[1]

***

როგორც მკითხველებსაც ეხსომებათ, ამ სამის წლის წინად გაზეთ „ივერია"-ში იბეჭდებოდა წერილები ბ-ნის ზ. ჭიჭინაძისა აჭარისა და ართვინის ოლქის გამაჰმადიანების შესახებ. რადგან ამ საგნის შესახებ სხვა მასალები თითქმის არ მოიპოვება, ხოლო თვით ეს მასალებიც ბ-ნის ზ. ჭიჭინაძისა მკითხველების უმრავლესობისათვის ხელმიუწვდენელია, ამიტომ მისს ყოვლად უსამღვდელოესობას, ალავერდის ეპისკოპოსს, ყოვლად სამღვდელო კირიონს განუზრახავს ეს წერილები ერთ წიგნად დაასტამბვინოს თავისის საფასით. წიგნის ფასი სულ მცირედი იქმნება, რათა ყველას შეეძლოს მისი შეძენა.[2]

ართვინი

წელს ართვინის ოლქში ღვინის მოსავალი შარშანდელზედ უკეთესი იყო. ყურძენი იყიდებოდა ფუთი 60-80 კაპეიკად, მაჭარი ერთი ბათმანი 60 კაპ. სიმინდის მოსავალი საშუალოზედ ნაკლები იყო. ზეთის ხილი, ზამთრის ყინვების გამო, ნაკლები მოვიდა, ვიდრე წინა წლებში. ამ ჟამად ზეთის ხილი ფუთი 3 მან.

1 „ივერია", #186, 1895, 31 აგვისტო, ოთხშაბათი, გვ. 2.
2 „ივერია", #219, 1898, 31 ოქტომბერი, სამშაბათი, გვ. 2.

50 კაპ. იყიდება. ბათუმის ოლქში სიმინდის მოსავალი ყველგან ერთნაირი არ იყო: ზღვის სანაპირო ადგილებში უმეტეს ნაწილად კარგი იყო; აჭარაში სიმინდი გვალვამ დააზიანა და ამიტომ ცუდი მოსავალი იყო. სიმინდი ოლქში ამ ჟამად ფასობს ფუთი 50 კაპ. ბრინჯისა გვარიავი მოსავალი იყო; ფასობს ფუთი 2 მან. – 2 მან. 40 კაპ. ღვინის მოსავალი მთელს ოლქში კარგი იყო. იზაბელლა ფუთი 30-40 კაპ. ფასობს. ვაშლისა და მსხლის მოსავალი საშუალოა. სოხუმის ოლქში თამბაქოს მოსავალი კარგია; ფუთი 8 მანეთიდგან 16 მანეთამდე იყიდება. ღვინისა და სიმინდის მოსავალი საშუალო იყო. („კავკასი“).[1]

წერილი შავშეთიდან

ართვინი, 15 აგვისტო. ართვინი ბათუმიდგან 90 ვერსის მანძილზედა სძევს. ფოსტა კვირაში ერთხელ მოდის; ართვინის ხიდამდე ეტლით მოაქვთ და მერე ცხენებით ააქვთ, რადგანაც გზები არ არის, აღმართებია. გ. ყაზბეგის ცნობით, ართვინი 10 ათასი ფუტის სიმაღლეზედ სძევს; მცხოვრებთა რიცხვი 2000 კომლამდეა, უმეტესად კათოლიკენი, გრიგორიანები და ქართველი მაჰმადიანები მცირეა. კათოლიკეებში დიდი ძალი ქართველი კათოლიკენი მოიპოვებიან, მაგრამ ამათში ქართული ენა დავიწყებული ისრევე, როგორც ქართველს მაჰმადიანებში. დღეს ართვინში მცხოვრებმა ქართველმა კათოლიკეებმა და ქართველმა მაჰმადიანებმა სიტყვა, კრინტი აღარ იციან თავიანთის დედა-ენისა.

მაგალითს მოგახსენებთ: ართვინში, სხვათა შორის, არის ერთი ბაზაზის მაღაზია, რომელსაც გარედგან აწერია რუსულად „მაღაზია ალ. ალანიძესი“. მე ესენი ქართველები მეგონნენ; შეველ მაღაზიაში, ქართულად დავეკითხე და მათ-კი მომიგეს, ქართული არ ვიცით რუსულად ან თათრულად გველაპარაკეთო. მაშინ მაღაზიის გარედ დაწერილი გვარის ამბავი ვკითხე

1 „ივერია“, #242, 1898, 11 ნოემბერი, ოთხშაბათი, გვ. 2-3.

და მითხრეს: დიახ, ადრე ქართველები ვყოფილვართ, მაგრამ ახლა თათრები ვართო. ასეთი მაგალითი-კი ბევრია.

ართვინი ოლქის ქალაქად ირიცხება, არის ოლქის უფროსი, ბოქაული და ნაწილის უფროსი. მომრიგებელ მოსამართლის გამგეობა აქ არ არსებობს, მუსულმანთა საქმეებს „მეჯლიში“ არჩევს და ქრისტიანებისას ოლქის სამმართველო და ბოქაული.

ქალაქის მოხელე და მოსამსახურეთა შორის ქართველებიც არიან და ამიტომ ბევრს კათოლიკს საუსწავლია ქართული ლაპარაკი. ქართული ენის აღდგენის საქმეს აქეთ ძრიელ ხელს უწყობენ მარადიდელი მენავეები, რომლებიც ლივანიდგან ამოდიან აქ, თან კახაბრიდგან საქონლით დატვირთული ნავები ამოაქვთ და მერე ართვინიდგანაც ხალხითა და საქონლით დატვირთულები მიდიან ბათუმში. მთელი ამ ქალაქის ვაჭრები, მოხელეები, შავშეთის სოფლის ხალხი და სხვანიც სულ ამ ნავებით ჩადიან ბათუმში. ნავები ბათუმის ახლოს კახაბერში ჩერდებიან, რადგანაც ზღვაში ვერ შევლენ; ჭოროხს ნავები ერთობ შორს მიაქვს დავის ტალღებით და ამიტომ შეიძლება ნავი ადვილად დაიღუპოს. ლივანელნი და მარადოელნი ნავოსნობასა და გემისნობაში მეტად მოხერხებულნი არიან; ამათგან ართვინის ახლო-მახლო მთელს დღეს სულ ქართული ენა გაისმის. ართვინის ახლოს მდებარე სოფ. სანქოთიდგან-კი ქართული ენა იწყება ქართველ მაჰმადიანთა შორის და იგი დასავლეთამდე მიემართება.

ართვინში კათოლიკეთ აქვთ ოთხი ეკკლესია. ამათგან კორძულის ეკლესია ყველაზედ ძველია. ამ ეკლესიას აქვს ქართული გუჯრებიც, რომლებიც 1501 წ. პაპს სიქსტო მესამესაც დაუმტკიცებია. გუჯრები მამულების შენახვის საქმეს შეეხება, იმ დროის კათოლიკეთ კორძულის ეკკლესიისათვის მამულები შეუწირავთ და შეწირვის გუჯრებიც ქართულად უწერიათ.

აქ კათოლიკეთ ბევრმა იციან, რომ ისინი ქართველთა შთამომავალნი არიან. ასეთი მოხუცნი მეც ვნახე და აღიარეს, რომ ძველად „ქართველ კათოლიკენი ვიყავითო“. კორძული ამ ეკკლესიას მიტომ დაერქვა, რომ ეკკლესიის განახლების დროს,

კარის ალაგას ძველი კარები ჩაეტანებინათ და მისგან წარმომდგარა კორძულიო, ძველად-კი „კარ-ძველი“ ერქვაო.

დანარჩენი ეკკლესიებიც ძველია; მესამე ეკკლესიას ეხლა აშენებენ ძველის ეკკლესიის ალაგას. სომხებს აქვთ ართვინში ერთი ეკკლესია, ესეც ძველი ეკკლესიაა. საყურადღებოა ის, რომ ამ ეკკლესიაში ინახება ერთი ძვირფასი ქართული ძველი სახარება ხუცურად ნაწერი ძვირფასს პერგამენტზედა და ძვირფასადვე შემკული. იგი ძვირფასი განძია ჩვენის ისტორიისათვის ლიტერატურისა და ნამეტურ პალეოგრაფიის მხრივ. როგორც სახარების ერთი წარწერა ჰმოწმობს. იგი გადაუწერია იშხნელს ეპისკოპოზს მაკარის, დაახლოევებით XI საუკუნის ნახევარში. ამ სახარებამ ადრე მრავალთა ყურადღება მიიპყრო. აქ გახლდათ ამისთვის განსვენებული დ. ბაქრაძე, გრიგოლ გურიელმა სყიდვა მოინდომა და 500 მან. აძლია, მაგრამ არ გაყიდეს, შემდეგ მეტიც აძლიეს, მაგრამ არა ჰქნეს, გასყიდვა არ შეიძლებაო.

იმ ხნის საეპისკოპოზო ტაძარი დღეს საქართველოს იმ კუთხეში სძევს, რომელიც ჯერედ კიდევ ოსმალეთს უწირავს. დღეს იგი ოსმალეთის საკუთრებას შეადგენს და ჯამეთ არის გადაკეთებული, გათათრებულ ქართველები ლოცულობენ.

იშხნის ხეობის ახლოს სძევს ხახულის ხეობა, სადაც დიდებული ტაძარია ხახულისა. რაც გელათში ნივთებია, ხახულის ხატი და სხვანი გათათრების დროს სულ აქედამ არის გადმოტანილი. ესეც ჯამეთ არის გადაკეთებული.

მესამე პარხლის ეკკლესიაა უგუმბათო, მშვენიერი; ესეც ჯამეთ არის გადაკეთებული. ამ სამს ეკკლესიაზედ ძლიერ ბევრი ამბავია დარჩენილი აქაურს მაჰმადიანებში. მართლაც, შესანიშნავი ტაძრებია, დიდრონი, უზარ-მაზარი, თლილის ფერადის ქვებით, შიგნიდგან კენჭებით მორთული; ნამეტურ შესანიშნავია ხახულის ხეობა. ჩვენებური ხახუტაშვილები აქედან ყოფილან მანდეთ წარსულნი. ამ ეკკლესიების მოხდენილობას კაცი ვერ აგიწერთ, განცვიფრდება. ამ ეკკლესიებში რომ მუსულმანებმა ლოცვა არ მოშალონ, კარგი იქმნება, დიდხანს დარჩებიან უვნებლად. ძრიელ დაძველებულან-კი. გარდა ამისა,

ბევრი სხვა ნაშთებიც არის, მაგრამ ყველას სად ავწერთ.

მუსულმანებს ართვინში აქვსთ ერთი დიდი ჯამე. ჯამე სდგას სწორედ იმ ალაგას, სადაც ძველად ქართველების ართვინის ტაძარი იდგა: ზედ მისს საძირკველზედა სდგას ეს დიდი ჯამე. მეორე ჯამე კორუელში აქვთ; მუსულმანების აქ სხვა არაფერია დაშთენილი და რიცხვიც შემცირდა, რადგანაც 1879 წ. შემდეგ ოსმალეთში მრავალნი გარდასახლდნენ.

ვახუშტის გეოგრაფიულის ცნობებით ართვინი ქრისტეს წინედ არის დაარსებული ქართველთა მეფეთაგან. ძველად ამ ქალაქს „ართვანი“ თურმე ერქვა, რადგანაც ძრიელ მაღლა სძევს.

ქალაქში ვაჭრობა რიგზედ სწარმოებს, არის ორი სასტუმრო, ყავახანები, სხვა-და-სხვა მაღაზიები და სახელოსნოები. აქაური კათოლიკის, სომხისა და ქართველ მაჰმადიანთა ქალები თათრულად იცმენ, შუბლზედ ოქროს ფულები აკრავთ და სიცხეებშიაც-კი ხავერდისა და შალის ძვირფასს ტანისამოსში არიან გახვეულნი. ამის გარდა, ზაფხულის მშრალს დღეებშიაც ფეხთსაცმელზედაც კალოშები აცვიათ! სანოვაგე ძვირად არ ფასობს. ართვინში ოსმალოს ვაჭრები და მუშებიც მოდიან.

ოსმალოს საზღვარი სულ 10 ვერსზეა. ართვინიდგან ერთი გზა არდანუჯს მიდის; ამავე გზით მიდიან არტაანს (არდაგანი), უარს, არზრუმსა და სპარსეთს. მეორე გზა შავშეთს, აჭარისა და ბათუმს გადადის, მესამე ლაზისტანსა და მეოთხე ოსმალეთის სამფლობელო საქართველოს ადგილებში.

ერთი საკვირველობა აქ ის გახლავსთ, რომ ართვინს იქით, ოსმალეთის საქართველოში, ქართველი მაჰმადიანები ქართულს ენაზე ლაპარაკობენ და ართვინს აქეთ-კი, მარცხნივ და მარჯვნივ აღმოსავლეთიდგან დასავლეთამდე, ართვინამდე, მთლად თათრულს ენაზედ საუბრობენ ქართველი მაჰმადიანები. ოსმალეთის მაჰმადიანი ქართველები უფრო კარგა საუბრობენ ქართულს, ვიდრე აქეთა მხრისა, სადაც-კი ქართული ენა შენახულა. ქართული ენა მოსპობილია მთელის ქართლ-კახეთის ტოლა ადგილებში. ბევრს ადგილებს სრულიად არ ვასახელებთ. მთლად-კი ოსმალეთის წინადყოფილი და დღემდე დაშთენილი ადგილების ზომა ნახევარ საქართველოზედ მეტს

შეადგენს და ასევე მის კვალობაზედ ქართველი ტომის ერიც იქმნებოდა. ქართული ენა ბურსამდე და თვით დიარბექისა-მდესაც ისმის.

ართვინის ოლქი წყლებითაა, ხე-ტყითა და მცენარეებითაც მდიდარია; ჰავაც კარგია, მოსავალიც კარგი იცის, ხილიც განთქმულია, ყურძენიც და ღვინოც კარგი იცის; უმეტესად პურს, სიმინდსა და ქერსა სთესენ. მადნების მხრივაც ძრიელ მდიდარია ეს მხარე. დღეს აქეთ რამდენიმე კამპანიაა, ევროპიდგან მოსული და სხვა-და-სხვა მადნის პატრონებთან მოლაპარაკება აქვთ, მადნის მთებს ყიდულობენ. ერთისაგან კიდევაც იყიდეს ბურღულის ხეობაში 700 ათას მანეთად, სოფ. დაცულს. დღეს ამ სოფ. ძანცუის უწოდებენ, ართვინის ოლქს ეკუთვნის.

ზ. ჭ.[1]

მურღული

მურღული (ართვინის ოლქი): გაზაფხული დგება და დიდძალი მუშა ხალხი აწყდება მურღულის ხეობას. ამ 20 წლის წინად აქეთ კაცი ვერ გაივლიდა შიშით, ოსმალეთიდგან გადმოსული ყაჩაღები ხოცდნენ მგზავრთ, ნამეტურ ქრისტიანებს. დღეს-კი აქ სულ სხვა სანახავობა არის.

აქ აღმოჩნდა დიდ-ძალი მადნები, ნამეტურ სპილენძისა და თითბრისა. ყველა ეს მადნები ინგლისურმა ერთმა დიდმა ამხანაგობამ იყიდა, რომელსაც 7 მილიონი თანხა გადაუდვია ამ საქმისთვის. მუშაობა უკვე დაიწყეს; ინგლისიდგან მოვიდნენ დიდი-ძალი ხელოსნები, ინჟინერები. მურღულს და ს. ძანცულას გააკეთეს შენობები, საავადმყოფო, მაღაზიები, ქარხნები, მუშათათვის სადგომი სახლები და ყოველ-ნაირი მაშინებიც მოაწყეს.

ბორჩხიდგან მურღულამდის გაიყვანეს ტელეფონი, მოაწყეს ელექტრონის განათება, ასე რომ მთელი მურღულის ხეობა თითქმის პორხლის ხეობამდის, ე. ი. ოსმალეთის საზღვრამდე,

1 „ივერია“, #198, 1901, 13 სექტემბერი, ხუთშაბათი, გვ. 3-4.

მთლად ელექტრონით არის განათებული. აქაურებს ასეთი საქმე ძრიელ უკვირსთ, თითქმის სიზმრად მიაჩნიათ. მუშაობისთვის რამდენიმე ათასი კაცია მოწვეული. მუშებში უმეტესად ოსმალეთიდგან გადმოსული თათრები, ბერძნები და ჭონები არიან.

უბრალო მუშებს დღეში 1-2 მანეთამდე ეძლევათ. თავ მუშათათვის და ნამეტურ ხელოსნებისთვის ინგლისური ენა დიდს საჭიროებას შეადგენს. ხელოსნებში მცირედ ქართველებიც ურევიან. შარშან აქ უბრალო მუშებს შორის მთელი გუნდი ყოფილა ქიზიყელ ქართველ გლეხებისა, მაგრამ შემოდგომაზედ იგინი აქ არ დარჩენილან, კახეთშივე დაბრუნებულან.

ხსენებულს კამპანიას აზრად აქვს, რომ მურღულიდგან ბორჩხამდის სპილენძი და თითბერი ელექტრონის მმოძრავ ეტლით ზიდოს და მურღულიდგან-კი ჭოროხის წყლის საშუალებით კახაბერამდის, ან ბათუმამდე.

კარგი იქმნება, რომ ქართველმა მუშებმა ამ კუთხეს ყურადღება მიაქციონ და სამუშაოს ძებნა დაუწყონ. ბათუმიდგან მურღულამდე სწორე გზა-ტკეცილია, შიშიანობა არაფრისა არის. ბათუმიდგან შესართავამდე დილიჟნებიც დადის, მგზავრზედ 40 კაპ. და მერე შესართავიდამ მურღულამდე ფეხითაც ადვილად მიაღწევენ. გზები კარგია და სასიამოვნო. ოსმალელს მუშებს აქედგან დიდი ფული გააქვთ.[1]

შავშეთი (ართვინის ოლქი)

მთელი ზამთარი, ოთხ თვე-ნახევარი, შავშეთელები დამწყვდეულნი არიან მაღალსა და თოვლიანს მთებში. ამა მარტის ოცს გაიხსნა გზები, რომლებიც სამს ალაგას გადმოდიან მაჭახლის ხეობებსა, მერისსა და შუა ხევში.

ქალაქი ართვინი შავშეთიდგან ხუთის დღის სავალზეა, ასევე შორსაა ყარსი და არდაგანი. ყველაზე უფრო ახლო მათზედ

1 „ივერია“, #49, 1902, 5 მარტი, სამშაბათი, გვ. 2.

ქალაქი ბათომია. ორს დღეს უნდება მგზავრი აქედგან ბათომამდე. შავშეთელებს წელიწადში ორი თვე აქვთ გადადებული მგზავრობისთვის - ოქტომბრის დამლევი და მარტის დამლევი. ოქტომბრის დამლევს თითქმის ყველა ოჯახიდგან მიერეკებიან საქონელს, მიაქვთ გასასყიდად ყველი, ერბო. შავშეთელებს ჩვეულებათა აქვთ ერთად აიღონ ფული. აგრეთვე ერთადვე იყიდონ სასყიდელი: მარილი, ნავთი, საქალმე ტყავები და სხვა. საპონსა და ჩაი-შაქარს ნაკლებად ხმარობენ.

ამა მარტის ოცს გაიხსნა თოვლით შეკრული გზები და შავშეთელებმა გადმოათეთრეს ქედები თავიანთ თეთრის შალის ბაშლუხებითა. ადვილია ამათი ცნობა სხვა ქვეყნის კაცებ შორის. ერთი, რომ ყველას თეთრი ბაშლუხები ახურიათ, მეორე, ყველანი მსხვილნი და დაბალის ტანისანი არიან; ამასთან ყველანი დამუნჯებულნი დადიან. ოცს კაცში რომ მოგიხდეთ მგზავრობა, საღამომდის ორ სიტყვასაც ვერ გაიგონებთ. თუ ჰკითხეთ რამე, იშვიათად ეღირსებით პასუხს. თუმცა ქართული ენა იციან, მაგრამ ლაპარაკი ძალიან ეზარებათ. იმათ სახეზედ ვერაფრით მწუხარებასა და სიხარულს ვერ გამოიწვევთ.

ყანის მუშაობა, თივის შენახვა და სხვა ქალების საქმეა აქეთ. დილაზე ადრე შავშეთელი ქალები მიდიან ყანაში, კაცებს-კი სადილი მიაქვთ იმათთვის. არავითარი სწავლა არ შესულა შავშეთში არც თათრულსა და არც ქართულს ენაზედ. არც რაიმე ხელობა იციან. აქა-იქ სოფლებში ართვინელი სომხები არიან. ტანთსაცმელს იმათ აკერვინებენ, სახლებს და სხვა რამეებს ლაზები და ჭანები უკეთებენ.

შავშეთელთა ხელობა მხოლოდ მწყემსობაა. დიდად ნასწავლ და პატივ-საცემ კაცად მათში მხოლოდ მოლა ითვლება.

ასე ჩამორჩენილია ყველაფერში ძველი შავშეთი.

ს. გ.[1]

1 „ივერია“, #76, 1902, 7 აპრილი, კვირა, გვ. 3.

მურღულის ხეობა

მურღულის ხეობა (ართვინის ოლქი). მურღულის ხეობა ცნობილია არა მარტო ქართულს ისტორიულს წიგნებში; ამ კუთხის შესახებ ბიზანტიის და რომაელთა ძველი მწერლებიც მოგვითხრობენ სხვა-და-სხვა ცნობებს. ამის მიზეზად გახლავს ის გარემოება, რომ მურღულის ხეობაში, ქრისტეს წინად, ქართველთ და ელლინთა სამადნო ქარხნები ჰქონდათ დახსნილი და რკინა, თითბერი და სპილენძი გამოჰქონდათ. ასეთ ქარხნების ნიშნები დღესაც სჩანს მურღულის ხეობაში.

მურღულის ხეობა მთელს ოსმალეთის საქართველოში ერთ საუკეთესო მდიდარ კუთხედ ითვლება. იგი სძევს ლივანის ანუ ჭოროხის ხეობის მახლობლად, დასავლეთით, რომლის კიდეებიც აწინდელს ოსმალეთის ლაზისტანს აკრავს და შავის ზღვის ნაპირებსაც უახლოვდება. მურღულის ხეობა სავსეა სხვა-და-სხვა მადნებით. აქ ხარობს ზეთისხილი, ფორთოხალი, ლიმონი, რწყავი და სხ.

მთელი ხეობა წარმოადგენს სამოთხის მსგავს სახილველს. ამ ხეობის მშვენებით აღტაცებულნი არიან ყველა ჩვენი ძველი და ახალი მოგზაურნი და მათ შორის დიმ. ბაქრაძე, გ. ყაზიბეგი და ზოგნიც სხვანი.

მურღულიდგან ერთი გზა პარხლის ხეობაშიაც გადადის, სადაც დღემდე დაცულია საქართველოს ისტორიაშიაც ცნობილი პარხლის ტაძარი, რომელიც დღეს ჯამეთ აქვსთ გადაკეთებული ქართველ მაჰმადიანებს. ეს კუთხე დღესაც ოსმალეთის სამფლობელოს შეადგენს, იგი ლაზისტანზეა მიკრული და მცხოვრებთ ქართველ მაჰმადიანთ შორის ქართული ენა არის შენახული.

ამ კუთხის ისტორიულის აღწერით თავს არ შეგაწყენთ.

მურღულის ხეობა ბათუმიდგან 50 ვერსის მანძილზედ სძევს, ბათუმიდგან ბორჩხამდე ეტლებიც დადის, თითო კაცის წაყვანა 1 მ. 20 კაპ. ღირს. გზა ჭოროხის ხეობით, ლივანის ხევს, ანუ მთელს ლივანას უვლის, ბორჩხა ზედ მურღულზეა მიკრული. ერთი გზა ბორჩხიდგან მურღულს მიდის და მეორე გზა ლა-

ზისტანს, ჩხალის ხეობაზედ. ლაზისტანი ბორჩხიდგან 10 ვერსის სიშორიდგან იწყება. ბორჩხა დაბა არის, აქ არის დუქნები. ვაჭრობა ჩაღდება, მუშების დიდი მოძრაობა.

მურღულის ხეობის მთა-მადნების მნიშვნელობა ადგილობრივ მეზობლად მცხოვრებ ბერძნებმა კარგათ იცოდნენ და ამიტომ ქართველთ გარდასახლების დროს, აქაური ადგილების უმეტესი მადნის მთები თვით იყიდეს. ბევრი გამოძიების შემდეგ ყველა ეს ადგილები ინგლისის მდიდარ სამადნო საქარხნო წრეებს მიჰყიდეს. დღეს ნახევარ მურღული მდიდარ ინგლისელების საკუთრებას შეადგენს.

ერთმა ინგლისის კომპანიამ მთა-მადნის სპილენძის გამოსაყვანად 7 მილიონი ფული გამოიღო და აგერ ეს მეორე წელიწადია, რაც მურღულის ხეობა ინგლისელებით აივსო და დღეს დიდი გაცხარებული მუშაობაც არის გამართული სამადნო ქარხნების ასაგებად, ჯერ ერთის კამპანიის ქარხანაში დღეს 2000 კაცი მუშაობს და შემდეგ, რაღა თქმა უნდა, ეს რიცხვი იმატებს. ინგლისელებმა ბორჩხიდამ მურღულის სოფ. ძანცულამდე ელექტრონული სინათლე გაიყვანეს, ტელეფონი, ტელეგრაფი და მშვენიერი გზა. იქ, სადაც ამ 15 წლის წინეთ ოსმალთა ყაჩაღების შიშით კაცი ვერ გაივლიდა და მთელი მურღულის ხეობა ერთს საშიშს გვირაბს წარმოადგენდა, დღეს იქ ვინ იცის რა არ გაკეთდა ინგლისელთა მეოხებით და ან რა არ გაკეთდება კიდევ მომავალში. ინგლისელთა კომპანიის უფროს გამგეებად არიან დირექტორები და ინჟინერები. მუშებსაც კაი ფასს აძლევენ, მხოლოდ მუშა ხალხს მათი ენის უცოდინრობა უჭირებს საქმეს. ინგლისელთ პირველ მოსვლის ხანს სახლების კეთება ძრიელ გაუჭირდათ, ამიტომ მათ ხის სახლები ინგლისიდამ დაიბარეს, 15 დღის განმავლობაში, ლონდონიდამ ბათუმში ეს სახლები უკვე მოვიდა, იგი მალე აიტანეს და მურღულში გამართეს.

მურღულში ინგლისელთ აქვთ მუშათათვის მაღაზიებიც, სადაც ვაჭრობენ მუშები. აქ ყოველივე მოწყობილია ინგლისურად, ვაჭრობა, ლაპარაკი და წესები სულ ინგლისური არის, ჩვენს მუშებს ინგლისელები საკმარისს პატივს სცემენ, სამუ-

შაოსაც აძლევენ. უმეტესად-კი მურღულის ხეობაში სამუშაოდ ოსმალოს სამფლობელოს მცხოვრები ლაზები, ბერძნები, სომხები და თათრები მოდიან.

ზ. ჭ.[1]

ართვინის ქართული სახარება

ფრანგმა ედუარდ ლიოზენმა გვაცნობა: შარშან ზაფხულს, დასავლეთ საქართველოში ვმოგზაურობდიო და, სხვათა შორის, ართვინშიაც ვიყავიო. იქ, სომხის ტაძარში მაჩვენეს მე-XI-XII საუკუნის ქართული სახარება. ეს სახარება ტყავზეა დაწერილი. მისი მხატვრობა და კაზმულობა ნაკეთებია საოცარის ხელოვნებით. შიგ დახატულია სხვა-და-სხვა ისტორიული კაცები. საზოგადოდ, ეს წიგნი ძვირფასი რამ საუნჯეა და ჰღირს იმად, რომ დიდი ყურადღება მიაქციოთო.

გასაშტერებელია ჩვენი დაუდევრობა. უცხოელები მოდიან, ჩვენს წარსულ ნაშთებს სწავლობენ, ჩვენ წინაპართა მიერ კულტურულ შენაძენით სტკბებიან და თვით ჩვენ-კი, ჩვენ, ქართველები, იმ შენაძენებს უგულებელ ვჰყოფთ, მათ შემსწავლელებსაც ხშირად დავცინით და აბუჩად ვიგდებთ...

უწინ ბაგრატიონები ჩვენში ითვლებოდნენ მწიგნობრობისა და სიტყვიერების მეცენატებად, მეთაურებად. სამშობლო მწერლობას, მხატვრობას და ყველა საწაღმართო საქმეს დიდის გულმოდგინებით ეპყრობოდნენ, თითონაც შრომობდნენ და სხვებსაც ამუშავებდნენ. დღესაც არიან იმ ბაგრატიონების ღვიძლი შვილები და იმათსავით გული შესტკივათ ქვეყნისათვის. მაშ, რაღას ელიან? რატომ არ აღმოუჩენენ შემწეობას იმათ, რომელნიც საქართველოს წარსულ ცხოვრების შესწავლას შესდგომიან, რომელნიც ჯანსა და ღონეს არ იზოგვენ, ოღონდ დროთა ბრუნვამ არ წაშალოს და არ გააქროს სახელოვანად გავლილი კვალი ქართველთა ერისა. რაღას და ვიღას ელიან

1 „ივერია“, #183, 1902, 28 აგვისტო, ოთხშაბათი, გვ. 2-3.

ბაგრატიონები, მელიქიშვილები, წერეთლები, ორბელიანები და ყველა ჩვენი თავადიშვილები, ყველა ჩვენი სასულიერო დასი, მთელი ჩვენი ერი. ნუთუ დრო არ არის, შევუდგეთ საქმეს, ხალისიანად მოვკიდოთ ხელი ჩვენის თავისვე მოვლა-პატრონობას, ჩვენის სამშობლოს შესწავლას ისტორიულ-გეოგრაფიულის, ეთნოგრაფიულ-მწიგნობრულის და ეკონომიურ-მრეწველობის მხრივ.

მაშ შევუდგეთ საქმეს ყველანი ერთად, ძმურად.

ბერი.[1]

ართვინის მაზრა

ართვინის მაზრის უფროსმა მურღულის ხევში, ბათომსა და ოსმალეთის საზღვარ შუა, შეიპყრო სომეხთა ბრბო, რომელიც ავაზაკობდა თურმე ოსმალეთის მიდამოში. ეს ბრბო, როგორც „ნოვ. ვრემ“-ს ატყობინებენ, 42 თავზე ხელაღებულთაგან შესდგებოდა, მეთაურად ჰყოლიათ შტუტგარტის პოლიტეხნიკუმის სტუდენტი. ბრბოს ბაირაღიცა ჰქონია, რომელიც დაპატიმრების დროს წაურთმევიათ მოხელეებს. ამ ბაირაღს აწერია: „სიკვდილი ანუ თავისუფლება“. წაურთმევიათ აგრეთვე 30 მსწრაფლმსროლი თოფი 6.000 პატრონა რევოლვერისა, 15 გირვანქა დინამიტი, 8 ასაფეთქებელი ყუმბარა, საექიმო მოწყობილობა და წამლეულობა. ბრბოს მონაწილენი წინად სცხოვრობდნენ ამიერკავკასიის სხვა-და-სხვა ადგილას.[2]

1 „ივერია“, #39, 1903, 19 თებერვალი, ოთხშაბათი, გვ. 2.
2 „ივერია“, #189 1903, 5 სექტემბერი, პარასკევი, გვ. 1.

4 (16) მარტი. 1866.

№ 1. 1866 14. 30 ივლისს

ПРИЛОЖЕНІЕ ГАЗЕТЫ.

ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲐ

ᲡᲐᲕᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

ᲗᲑᲘᲡᲨᲘ ᲗᲤᲘᲡᲨᲘ	
ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲝᲓᲘᲗᲮᲝᲕᲔ	ᲒᲐᲖᲐᲛᲘᲗ:
1-ᲘᲡᲐ ᲬᲚᲘᲡ — 7 ᲛᲐ.	— — — 6 ᲛᲐ.
10-ᲘᲡ თვეში — 6 —	— — — 5 —
ᲔᲚᲕᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ — 4 —	— — — 3 — 50 Კ.
ᲗᲘᲗᲝᲗᲘᲡ — 2 — 50 Კ.	— — — 2 —

ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ᲗᲘᲗᲝᲗᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ — 3 ᲨᲐᲠᲘ.

„ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲐᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲛᲘᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲒᲖᲐᲛᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ.

ᲛᲘᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲒᲖᲐᲛᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲓᲒᲝᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲔᲨᲘ, ᲡᲐᲛᲔᲠᲜᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ. — ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲮᲔᲚᲗᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲛᲘᲣᲖᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲡᲨᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲛᲘᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ: Въ Тифлисѣ, Въ конторѣ редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐᲜᲐᲬᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲓᲐᲜᲐᲬᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ

დროება

ფელეტონი
გამაჰმადიანებულ საქართველოში.
(მგზავრის შენიშვნები ართვინიდგან არდანუჯამდი)

- ცხენები მზათ არის, სენი წილიმე! წავიდეთ, თუ წამობრძანდებით; გზაზე ძალიან დაგიცხებათ! მომესმა უკანიდგან ეს სიტყვები. მივიხედე უკან და დავინახე ორი, დაიარაღებული მოკაზმული ცხენებითურთ, ოსი.

ამ ოსების სიტყვების თქმა იყო და ჩემი ცხენზედ შეჯდომა წასასვლელათ.

ჯერ კიდე მშვენიერი გრილი დილის ნიავი დაგვზუზუნებდა; გაგვირბენდა ხოლმე ბავშურისი ცელქით ტანში და გვამსუბუქებდა ძილისაგან დამძიმებულებს. კარგა ხანს ვსარგებლობდით ამ ფიქრების გამქარვებელი სტიქიითა, რომ შემდეგ, თითქო ჩვენი ჯაბრითაო, მზე ამობრწყინდა და თვისი მხურვალე სხივები ართვინის არე-მარეს მიმოხდა. შეიცვალა ადგილობრივი ბუნება, და ამის შეცვლამ ჩვენც ცვლილებების ბეჭედი დაგვასვა: ჩემი ოსებთან მუსაიფი სხვა და სხვა საგნებზედ შესწყდა; ჩამოვარდა სიჩუმე მთელ არე-მარეშიაც! ხანდისხან მხოლოდ გზაზე მიმავალი თათრების დაღონებულის ხმით სიმღერა არღვევდა ხოლმე სიჩუმეს!

ჩვენმა ცხენებმაც ჩამოჰყარეს ყურები: საშინელი დაღალულობისა და მზის სხივებისაგან შეწუხების გამო ისინი ოფლში შეცურდნენ, რის გამოც იძულებული შევიქენით, რომ ფეხით გვევლო. ცხენების შემამყურე ოსებმა დაიწყეს თავიანთ ბედზედ ჩივილი:

- ღმერთს ეფიცები, ცვენს გაცენაში ღმერთი არ რეულა, სენი წილიმე! ცქენები ათ-ათ თუმნათ გიყიდნიათ, ესე კი უნდა დეგეხოცნენ ამისთანა მთებზედ! ნეტა სენი სისოსხლით ბევრი ფული მაინც გეძლეოდეს, რომ ცვენი თავიც აცხოვროთ და ცხენებიცა?

- განა რამთვენს გაძლევენ ჯამაგირს? ვკითხე მე!

- რა ძამაგილი, სენი წილიმე, წინეთ სამი თუმანი გაძლებენ, ეხლა კი 25 მანეთი გაძლებენ! ნეტა მარტო ცქენებს ეყოს ეს ფული ამ სატიალო ქვეყანაშიო, თორემ სხვას რასა ვცივით!

ამ ლაპარაკში შეუმჩნეველად კიდეც მივსულვიყავით თოლგომის ფოჩტაში, სადაც 15 კაცი (ოსი) იმყოფება!

ამათში სიცქვიტე, მხნეობა, ცოცხალი მიხვრა-მოხვრა და სხვა კარგი თვისებები ჩანერგულა სხვა და სხვა ადგილობრივი პირობების გავლენით. მაგრამ ამის მაგივრად იმათ შეჰპარვიათ რაღაც ცუდი თვისებებიც, რომელნიც ყველა კაცს უნდა ეზიზღებოდეს! იმათ ლაპარაკში და მიხვრა-მოხვრაში შეჰნიშნავთ რაღაც სიმხდალეს.

მე ცხენები საჩქაროთ გამოვაცვლევინე და გაუდექი სხვა ოსებით გზასა. შუა დღეა თითქმის! მზე უფრო და უფრო გვესვრის სუსხიან სხივებსა. თოლგომის არე-მარეს ბუნებით სიმშვენიერე არტყია: აქა-იქა გაშლილი ტყე ასიამოვნებს კაცის გულს. არც წყაროები აკლია. საითაც გაიხედავ, პატარა ამაღლებულ მოტიტვლებულ ალაგზედ შეჰნიშნავ შუილ-ხუილით მოჩხრიალე წყლის ნაკადულსა, რომელნიც აგრეთვე იტაცებს კაცის გულს, მაგრამ ის კი ცუდია, რომ მიუდგომელ ალაგას არის!

თან და თან კარგი გზა გვხვდებოდა თვალწინ. ოსმალოების ჯარის სიმაგრეები ცხვირ-წინა გვაქვს. ამ სიმაგრეებიდამ მშვენივრათა სჩანს მდ. არდანუჯაის ხეობა, რომელიც მოფენილია სოფლებით! გარეგანი შეხედულობა ამ სოფლებისა შენობებით ძალიან წააგავს ჭოროხის ხეობის სოფლებს! ხალხში კი ბევრი განსხვავებაა: ჭოროხის ხეობის ხალხი ცოცხალი, მხნე, შრომის მოყვარე, კეთილი და ამასთანავე პირდაპირი ხალხია. ამას მივუმატოთ კიდევ მშვენიერი გარეგანი შეხედულობა, რომელიც სუყველა კაცს აკვირვებს! ენაში ხომ ქართველებისაგან ვერ გაარჩევთ!

არდანუჯაის ხეობის ხალხი კი სულ სხვა ჰყოფილა: სამშობლო (ქართული) სული გამქრალა ამათში, თუმცა კი ქართველებისაგან ჩამამავლობა ძალიან სწათ: თამარ დედოფალი, როგორც თვითონვე ამბობენ, დიდ პატივში ჰყოლიათ! ესენი

უფრო მძიმე, მხდალი, გაუბედავი და მასთან, უკან მოლაპარაკე არიან. გურჯები ძალიან უყვართ! ამას გვიმტკიცებს, სხვათა შორის, შემდეგი: გზაზედრო სიცხემ ძალიან შეგვაწუხა, ერთ დუქანში შესვლა დავაპირეთ და სასვენებლათ. თურმე, ნუ იტყვით, ერთ ვიღაც მუსულმანს დუქანი სახლათ გადაუკეთებია და შიგ ხიზანი დაუყენებია! გარეთ არავინა სჩნდა და თავისუფლათ ვიწყე კიბეზედ ასვლა. ასვლა იყო კიბეზედ და ჩემი გაოცება: ერთი ვიღაც ნაოჭიანი სოფლური კიბით კიბეზედ მეტაკა და ერთი საშინლად დაიყვირა: „ვაიმე, ურუსიო!“ და შევარდა სახლში. საიდღანაც ორთითით (ხაჩეკალით) ვიღაც კაცი გამოვარდა და ფერი მაცვლევინა: ცოტა გასწყდა, რომ ორთითი თავში არ მსდვა; მაგრამ ამდროს ქართულათ დავუწყე თუ არა ლაპარაკი, დამშვიდებით წამიყვანა ერთ გრილო ალაგსა; თვითონკი გამშორდა და მოიყვანა ერთი ყმაწვილი ბიჭი, რომელმანც ქართული მშვენივრათ იცოდა. ხალხმა რომ ჩემი გურჯობა გაიგო, სულ ჩემთან მოვიდა და მიცქეროდა! ცოტა ხანს უკან მასპინძლობაც გაგვიწივეს: მოიტანეს ხილი, თუთის არაყი, მჭადი (პური ძვირათ ჰყოფილა) და ყველი. ოსები ჩემთან არ მოუშვეს, თურმე ძალიან სჯავრებიათ.

ყმაწვილ ბიჭს გამოვკითხე, თუ იგი სადაურია, რომ ქართულათ ასე კარგათ ლაპარაკობს. აღმოჩნდა, რომ იგი მოყვარე ჰყოფილა ერთი იქვე მცხოვრები კაცისა. ამ ბიჭის პირით ბევრი რამ მელაპარაკნენ კაცები და სხვათა შორის, აი რა მითხრეს:

„გურჯები ძალიან კაი ხართო...

„მოჩქარეს მოუგვიანდესო,“ სწორეთ მეც ასრე მომივიდა: მეჩქარებოდა და ესე კი გამაბეს ლაპარაკში!

თითქმის საღამოს ხუთი საათია. არდანუჩამდის ცოტა დაგვრჩა, რომელიც უფრო სიამოვნებით გავიარე ერთი მაჭახელელი კაცის თანამგზავრობით. ეს მაჭახელელიც ბევრს რასმე მელაპარაკა:

- ჩვენ ურუსებს ვერ გოუძლებთ, სულ ერთიანათ ოსმალეთში უნდა გადავლაგდეთო“ ამბობდა ისა:

- წაბძანდით და ვნახამ, რასაც იქ მიიღებთ! აბა იქ რა გინდათ, ძიავ! შენ არ იცი, რომ თვითონ ოსმალები დიდ გაჭირვე-

ბაში არიან ალაგების უქონლობის გამო? ვკითხე მე.

- სულთანი არ მოგვატყუებს, იმან შემოგვითვალა, სულ აქეთ-კენ გადმოლაგდითო, სუყველაფერში შეგეწევითო! ურუსებთან ჩხუბი უნდა ავტეხოო, თქვენ მიშველეთო! აქაი რომ დავრჩეთ, ურუსები სილას იხმარებენ ჩვენზედ, თუ წინააღმდეგობა გოუ-წიეთ! გურჯები კი არ ვიცი ვის მიექომაგებიან!.. მაინც გურჯები ურუსებსა სჯობიან! მაგრამ ერთი კი ცუდი გჭირთ, - ღორის ხო-რცის ჭამა ვის გოუგონია! ერთხელა, ბიძაჩემმი ილაპარაკა, ქუ-თაისში ვიყავიო, პურაი ძალიან მომშივდაო და იქვე ფურნეში ვიყიდეო; გულიანათ ვჭამდიო, მაგრამ მალე გულიც ემერიაო, როცა მეფურნემ ფურის კარები გამააღო და ერთი გოჭი იწვე-ბოდაო, მე მაშინვე გავლანძღე იგი და თავი დავანებეო!“

- აბა რა ვქნათ, ჩემო ძიავ, მთელი ქრისტიანი სჭამს და ჩვენ რაღა ვართ! მივუგე მე.

- თქვენ სხვაი ხართ და იგინი სხვაი! რაცა თქვენ მამა-პაპა-ის არ უქნია, თქვენ რაღათ შვრებით? სთქვა ესა და გააჩქარა ფეხები სადღაც ერთ-ახლო სოფლისკენ, საიდგანაც ხმა მოდი-ოდა: ურუს იმა, ურუს იამა!

ბინდმა მოგვასწრო გარეთ. დასავლეთისაკენ ტყესაც და ღრესაც მშვენიერი სახე დაედვა მზის სხივებისაგან. ბუნება უფრო მოცოცხლდა. საითკენაც მიიხედავ, სუყველა სულდგმუ-ლი მოძრაობაში არის! ერთი უცქირეთ აიმ ჩადრში გახვეულ დედაკაცებს, როგორ ზლაზნით მიაშურებენ ფეხებს! ბავშვების ჟივილ-ხივილმა გააჭირა საქმე! აგერ მოლაც ავიდა მინარეთ-ზედ და თავისი ხრინწიანი ხმით სალოცავათ იპატიჟებს ხალ-ხს! არა ჰგავს ართვინის მოლას, რომელიც ბაიათების მსგავ-სად, მოსაწონათ ლოცულობს ხოლმე!

არდანუჩსაც მალე წავადექით! იმისი გარეგანი შეხედულო-ბა არ მიტაცებს, უფრო სიზიზღეს ჰბადავს ჩემში. აქედამ ჯერ ოღრო-ჩოღროს მეტი არაფერი სჩანს. მაგრამ ნავხო ახლოს როგორიღა იქნება!

ა. ნ-ძე[1]

1 „დროება“, #166, 1879, 11 აგვისტო, შაბათი, გვ. 2-3.

„დროების“ კორრესპონდენცია

ართვინი

ართვინი, 1 სექტემბერს. ართვინს ერთის შეხედულობით კარგი შთაბეჭდილება აქვს კაცზედ: მშვენიერი მდებიარობა, ბაღებში დაფანტული აქა იქა, რამდენიმე ეტაჟიანი სახლები, უხვი წყაროები, გარშემო შემორტყმული ტყეები ერთ მშვენიერ ქალაქათა ჰხდიან ართვინს.

მარტო აქაური ერთგვარი სახლები და ვიწრო და ტალახიანი ქუჩები გულს შეუწუხებენ კაცს. ეს ორი დიდი შესამჩნევი სიმახინჯე რომ არ ჰქონდეს ამ ქალაქს, მას, არამცთუ ბათუმი, ბევრი უკეთესი ქალაქიც არ შეედრება.

აქაურს ჰაერს რომ დააკვირდეთ, ართვინს ჭლერქიანების სამკურნალოდ გაჰხდით. ავათმყოფობა საზოგადოთ აქ იშვიათია.

მით უფრო საინტერესოა ამ ქალაქის გაცნობა, რომ ბევრ ისტორიულ რასმე ნახავს კაცი.

ციხე, ნასაყდრები, თამარდედოფლისაგან გაკეთებული წყაროები (ართვინის ახლო სოფელშია) სხვა ბევრი რამე აქვს მგზავრს გასაშინჯათ. მაგრამ სად არის, ვინ უგდებს ყურს! ამას გარდა, რომ ბევრს ისტორიულ რამეებს შენიშნავთ, ხალხში უფრო ბევრ ზეპირ-გადმოცემულს წინანდელ ამბებს გაიგებთ.

ვერც ერთ ბაღანას, როგორც აქაური თათრები ბავშვებს ეძახიან, ვერა ნახავთ, რომ გურჯებზედ (ქართველებზედ) მამა-პაპისაგან არ ჰქონდეთ გაგონილი რამეები. ყველა ათი წლის თათარმა იცის, რომ იმისი წინაპარნი ქართველები იყვნენ და რომ თვითონ, სხვა და სხვა ისტორიული მიზეზეების გამო, გამხდარან მაჰმადიანები.

დიდები ხომ მშვენივრათ მოგითხრობენ, თუ რა განსაცდელში იყვნენ საცოდავი მათი წინაპარნი: როგორ ხდებოდნენ ოსმალების იარაღის მსხვერპლათ ენის და სარწმუნოების დასაცველათ.

შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ თვითონ ართვინელი ბეგე-

ბი, ისე მშვენიერათ მოგიყვებიან წინანდელ ამბებს, რომ კაცი აღტაცებაში მოვა. თუმცა ქართულ ან სხვა ენაზე დაწერილ საქართველოს ისტორიისთვის არცკი დაუხედნიათ, მაგრამ ისე ჩვენ არ ვიხსენებთ თამარ დედოფალს პატივით, როგორათაც ესენი, ბევრს იმათგანს გონია, რომ თამარი ისევ ცოცხალი არისო და გურჯები არსად უშვებენო. როცა მის სურათს ვაჩვენებდი ხოლმე ბეგებს, აღტაცებაში მოდიოდნენ; სულ „ჰი ალლა! ალლა! იძახოდნენ.

მართალია; 3 საუკუნეა, რაც იგინი მოგვშორდნენ, მაგრამ ბევრი ქრისტიანური ჩვეულებეები დარჩენილან. მაგალითად ართვინის ახლო ერთი ნასაყდრალია, სადაც ქვევრიც არის. ამ ქვევრში რომ ჩაიხედოთ, დაინახავთ: წმინდა სანთლებს, პატრუკსა, ქათმის ბუმბულსა და თავსა. თურმე თათრის დედაკაცებს დარჩენიათ ჩვეულებათ: პარასკევობით (თათრების კვირაა) საღამოთი მიდიან ამ ნასაყდართან, რომელსაც „მამა-წმინდას“ ეძახიან, დაანთებენ სანთლებს, პატრუქს დააგდებენ ქვევრთან, დაჰკლამენ ქათამს, თავსა და ბუმბულს ქვევრში ჩაჰყრიან, ხორცს კი ისევ შინ წაიღებენ ხოლმე. ამის გარდა ბევრი ქრისტიანული ნიშნები და მოვლინეები არიან, რომლებიც უყურადღებოთ რჩებიან.

ა. ნათაძე[1]

„დროების“ კორესპონდენციები

ართვინი, გიორგობისთვის 20-ს. წარსულის თვის 30-ს ართვინის მაზრაში სოფ. სვეტის ახლო გზაზე იპოვეს გვამი იმავე სოფლის მცხოვრების 27 წლის ქალისა სეერა გულ-ახმედ-კიზისა, რომლის მკვლელობაც ჰბრალდება ამავე ქალის ძმას ქიამილ-გულ-ახმედ-ოღლის. ქიამილ-გულ-ახმედ-ოღლი ამ საოცარის შემთხვევის შემდეგ გაქცეული არის.

პოლიციის გამოძიებით აღმოჩნდა, რომ მოხსენებული სე-

1 „დროება“, #190, 1879, 14 სექტემბერი, პარასკევი, გვ. 2.

ერა სტუმრად ყოფილა თავის ნათესავთან მოლლა მამედასთან, რომელიც სცხოვრობს სოფ. ლომაშენში. იმავე თვის 29-ს ზემოხსენებული ქიამილა თავის ამხანაგით სულო-მახმედ-ოღლით მისულიყო მოლლა მამედასთან თავის დის სეერას წამოსაყვანად; იმ ღამეს მოკლულის ძმა და ამ უკანასკნელის მეგობარი დარჩენილან მოლლის სახლში და მეორე დღეს დილით გამგზავრებულან სახლისაკენ ე. ი. სოფ. სვეტს; სეერაც ამათ გაჰყოლია. იმავე დღეს დილით საათის 11-ზე სეერა მკვდარი იპოვნეს სოფ. სვეტის ახლო. გამოძიებით ჯერ არ აღმოჩენილა, რა მიზეზით მოჰკლეს სეერა, და ან რომელმა მოჰკლა იგი: თავისმავე ძმამ ქიამილამ, თუ ამ უკანასკნელის ამხანაგმა სულო-მამედ-ოღლიმ, რომელიც ამ ჟამად დაჭერილია და დატუსაღებული და რომელიც თავის თავს მკვლელობაში დამნაშავედ არ აღიარებს.

აქ, ამ გვარი შემთხვევის დროს საზოგადოდ, რადგანაც ართვინის მაზრაში გამომძიებელი არ არის, ადგილობრივი ადმინისტრაცია აგროვებს ცნობებს და ადგენს პროტოკოლს, რომელსაც უგზავნის ბათუმის გამომძიებელს და ეს უკანასკნელი იბარებს მოწმებს, თუ სხვა პირთ, რომელთაც შეეხებათ საქმე და ბათუმში აწარმოვებს გამოძიებას; ამის გამო ართვინის მაზრის მცხოვრებნი დიდ შეწუხებაში არიან, მომეტებულად ზამთრის განმავლობაში, რადგანაც ართვინი საკმაოდ შორს არის ბათუმზე. წარმოიდგინეთ, რომ ამ საწყალ ხალხს ცალკე რამდენჯერმე იბარებს გამომძიებელი ბათუმში და შემდეგ, საქმის გარჩევის დროს, ქუთაისის ოლქის სასამართლო ქუთაისში. ბევრნი მოწამეთაგანი გამომძიებელთან თავის ჩვენებას ან ამრუდებენ და ან სრულებით არას ამბობენ იმ იმედით, რომ უკეთუ გამომძიებელთან ნამდვილი ჩვენება არ მივეცი, ოლქის სასამართლო საჭიროდ აღარ დაინახავს მეორედ ჩვენების ჩამორთმევასაო და ამით გავთავისუფლდები ქუთაისში წასვლისაგანო. მაგრამ მათი აზრი და მათი იმედი, რასაკვირველია, არ გამართლდება ხოლმე.

მხოლოდ ზემოდ მოხსენებულის სეერას საქმის გამო, მოწამეთა სასიხარულოდ, ეს წესი შეიცვალა. ბათუმის გამომძი-

ებელი თ. მ - ძე ძველი თუ ახალი საქმეების გამოსაძიებლად თავადვე მოვიდა და პირველადვე შეუდგა სეერას საქმის გამოძიებას. მოწმად სხვათა შორის დაბარებული იყო სეერას დედაც გულიშანა, რომელიც საკმაოდ მოხუცებული არის; ამას, ჩვენების დროს, გამომძიებელისათვის გამოუცხადებია, რომ უკეთუ პირობას მომცემთ და ამ საქმის გამო ბათუმში და ან ქუთაისში აღარ დამიბარებთ, ყველასფერს ნამდვილს ვილაპარაკებ და თუ არა, - მე ამ საქმისას არასფერს ვიტყვიო.

უფრო მომეტებულ შეწუხებაში არის, ამ გვარ შემთხვევებში არდანუჯის მაზრის ხალხი და შავშეთ-იმერხევის მცხოვრებნი, რადგანაც ეს მაზრები უფრო დაშორებულნი არიან ბათუმზე, ვიდრე ართვინის მაზრა.

მე ვგონებ, ურიგო არ იქმნება, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ამ ხალხის შეწუხებას და ერთი გამომძიებელი ცალკე დაუნიშნოს ართვინის მაზრას, მაგრამ კიდე უმჯობესი იქმნება, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს დროებითი განყოფილებაც წელიწადში ერთხელ მაინც ეწვიოს ხოლმე ამ მაზრის და ადგილობრივ გაარჩიოს ყოველი საქმეები.

ართვინელი.[1]

ხმა ახალ-აღებულ უდაბნოდამ

სურათი ახალ-აღებული ქვეყნისა. - რაც საჭიროა გვაქვს და რაც არა - რად გვინდა? - ექიმი. სკოლები. - ტამოჟნა. - თორმეტი ვირი და ბზები. - კეთილ-შობილური გაცარცვა. - შერემეტიევის მობრძანება. - ხალხს თხოვნა რად დაზარდა? - მომრიგებელი მოსამართლე საჭიროა ართვინში თუ არა? - წერილის ბოლო.

ჩვენც თქვენსავით გავხდით, მკითხველო, ბედნიერის ქვეყნისა: სიძვირე, უფულობა, ვაჭრობის და ზნეობის დაცემა, ავ-კაცობით ამაღლება - ბრძოლა დღიური ლუკმის შოვნისათვის, რა გზითაც შეიძლება - აი ჩვენი ყოველ დღიური მოვლენა! რა

1 „დროება“, #268, 1879, 13 დეკემბერი, ხუთშაბათი, გვ. 2.

ვიცი, იქნება ბედნიერნი ვიყოთ და ჩვენ ვერა ვგრძნობდეთ? კაცის თვალი, ხომ მოგეხსენებათ, გაუმაძღარია, იქნება იმიტომ ვემდურით ჩვენს ბედს? მაგრამ რა გვაკლია? რა გვიჭირს? რაც საჭიროა, ყოველისფერი გვაქვს და გვყავს - რაც არა, რად გვინდა? რა გვაკლია? - ერი, ბერი, მღვდელი, ჩინოვნიკი, ბაზარნიკი, პრისტავი, ქალაქის თავი და ყველაფრის თავი; აქციზი, ტამოჟნა, ქურდი, ავაზაკი, ყანა, ჩალა, სახლი და კარი... მეტი რა გვაკლია? ექიმი? ექიმი კი, მართალია, არდანუჯში და შავშეთში არ არის; მერე რად გვინდა? - განა ძნელია ბრძანების დაწერა, რომ არავინ გაბედოს და ავად არ გახდეს?! - არ არის - ალბად იმიტომ რომ არ გვინდა... გზები? გზები ახლა კეთდება, და გვინდა; რომ არ ყოფილიყო, მაშინ საჭიროც არ იქმნებოდა... მაზრისა და ოლქების უფროსების წყალობით, იმედი გვაქვს კაი გზა გვექნება. - მაშინ საჭიროც იქნება. - ბათომიდამ არდაგანამდის, მართალია, დიდი ხანია ახალი ბილიკი კეთდება, მაგრამ ჯერ ჩვენ არ გვარგია, რადგან ეს სავალი ჯერ ჯიბეთა უბნისკენ მიმავლობს. დროთა ბრუნვის მიზეზით ეს გზა დაჰკარგეს გზათა უფროსებმა და შერემეტიევის მობრძანების მიზეზით, ორას მუშა კაცამდის გაგზავნეს ამ გზის საძებნელად; ამ ორასი კაცის ბარ-ნიჩბებმა ძლივს მიაგნეს ამ ბილიკს და ის ნაწილები მოიყვანეს რიგზე, სადაც უნდა გამოევლო შერემეტიევს.

***

აქაურებს თურმე არა სცოდნიათ, რომ რაც საჭიროა, გვაქვს და რაც არა-არ გვინდა, თხოვნა მისცეს, რომ არდანუჯში სკოლა გაეხსნათ - მთელი სოფლების და დაბის ხალხისათვის, როგორც მაჰმადიანებისა, ეგრეთვე ქრისტიანებისათვის; ოსმალოს დროიდამ დარჩენილი სკოლის სახლიც დაუთმეს ამ სამადლო საქმისათვის, მაგრამ, რადგან სხვებს კარგად სცოდნიათ, რომ რაც საჭიროა გვაქვს და რაც არა - არ გვინდა, იმიტომ ამ საქმისათვის ათასი ყურები და კუდები მოუბავთ: ესაო, სახლიც უნდა მისცეთო, მოსამსახურეც; სხვა ხარჯების გარდა,

ამდენი და ამდენი საბაღო მიწაც სკოლის ახლოო. ეს გახლავს კაბინეთში მჯდომის კაცის მადა, ნუ გიკვირთ, ალბად მაგათ არა სცოდნიათ აქაურობა, ალბად მაგათ ჰგონიათ - ეს ქვეყანა ისე ვაკე და სწორე იყოს, როგორც მათი საწერი მწვანე მაუდით გაკრული სტოლი. აბა რა იციან, რომ აქ ერთი მტკაველი მიწა ერთ ოქროთა ღირს და ამწვანებული მინდვრების მაგიერად - ქვა-კლდოვანი მაღალი მთები და ღრმა ღელეებია! მაგათ მარტო ის იციან, რაც საჭიროა გაქვსთო, რაც არა - არ გინდათო...

***

აი კიდევ სწორედ ნაყოფი ბრძენთა კაცთა გონებისა? ეს გახლავს საშუალება მშვიდობიანობის დამყარებისა კაცთა შორის. მოგახსენებთ: ართვინი ბათომიდამ - ასი ვერსია, არდანუჯი ართვინიდამ ორმოცდა ორი, შავშეთი არდანუჯიდამ ორმოცდა ხუთი. და აი ამ ბედნიერი ქვეყნისათვის (ართვინისა არდანუჯისა და შავშეთისათვის) გაძვირდა მომრიგებელი მოსამართლე. ვისაც დავა და ჩხუბი აქვს - თუ ორასი ვერსის გავლა არ ეზარება, ბათუმში ჩაბრძანდება, თუ არა და ძალაუნებურად უნდა შეურიგდეს მოწინააღმდეგეს. ეს არის საშუალება მშვიდობის დამყარებისა კაცთა შორის. ამ მიზეზით დიდი მშვიდობიანობა გახლავს ჩვენში. კიდევაც რომ მადა ჰქონდეს კაცს ჩხუბის ან ავადმყოფობისა, ვერ გაბედავს: ავად ვერ გახდება, რადგან ექიმი არ გახლავს, ჩხუბს ვერ მოახდენს, რადგან მომრიგებელი მოსამართლე არ არის; ალბად ბ. შერემეტიევი ყოველიფერს რიგზედ ნახავდა...

ამას გარდა, კაცმა რომ მოინდომოს თავისი ბრალის აღვიარება, ვერც ამას იზამს. მიზეზი? მიზეზი გახლავს ბრძენთა გონების ნაყოფი... ბათომის მომრიგებელი სასამართლო არ დაგიჯერებს, იქნება წრფელი გულით არ აღვიარებსო, მაინც დაიბარებს მოწმეებს და იმ ორასი ვერსის გავლის ხარჯს გადაგახდევინებს... ამის მაგალითიც იყო: აქაური ვიღაც სარახანოვის ხელში დაიჭირეს ორი ოყა, თუ სამი ოყა თამბაქო, თავი-

სი საკუთარი პლანტაციისა. კაცი ავადმყოფი ჩავიდა ბათუმში და თავის თავზედ მიიღო ბრალი. მოწმეები რაღა საჭირო იყო? არა, მაინც საქმე გადადეს, მოწმეები დაიბარეს, მაგრამ არ დასცალდა. ბ. სარუხანოვი საიქიოს წავიდა სიმართლის საძებნელად და მით გადარჩა მოწმეების გზის ხარჯს...

ეს მომრიგებელი სასამართლო ხომ კარგია, მაგრამ ტამოჟნა უფრო უკეთესია. ნაყოფი ამ მოხელეების გონებისა კიდევ უფრო შესანიშნავია. აი აქაური ერთი ვაჭრის ნაამბობი: „თამბაქო მიმქონდა რუსეთში. ბათომში შევიძინე ერთი ხელი ახალი ტანისამოსი, რომ არა თქვან, ახალ აღებულ ქვეყნებში გაუნათლებელი ხალხი ცხოვრობს-თქო; თორმეტი მანეთი მივეცი. გემში რომ შევდიოდი, შემხვდა ერთი უ-სი, წამავლო ხელი, „კუდი იდოშ, ოსმანო“, შემათრია. მე მცარცველი მეგონა. უწინ ასე უზრდელად არ მოგვექცეოდნენ ხოლმე: მიშველეთ! დავიყვირე, მადლიანი არავინ არის მეთქი. ჩინოვნიკებთან რომ შემიყვანა, მაშინ მივხვდი, რომ ტამოჟნაში ვარ. ტანთ, დედი შობილათ, გამახდევინეს. ასწონეს ტანისამოსი, ოცდა ხუთი მანათი გადამახდევინეს და ისე გამომისტუმრეს.

ეს არასფერი; ეს გახლავს კეთილშობილური გაცარცვა - „ზაკონის“ არა მცოდნე ხალხისა...

ეს რა გიკვირსთ, შარშან ვიღაც გოგიტიძემ თორმეტი ვირის საპალნე ბზე დაიჭირა „საპოშლინოაო“, ორი დღე ათრია ართვინამდის და ბოლოს აღმოჩნდა, რომ ვირებიც აქაურია და ბზეც. ესეც გახლავს ნაყოფი პატარა ჩინოვნიკის გონებისა...

***

ახალ აღებულს ქვეყნებს ეღირსათ მაღალი სტუმარის მიღება ე. ი. ბ. შერემეტიევისა. ივლისის 14 იგი მობძანდა არდაგანში, 15-ს ბ. მაზრის უფროსმა მიიღო იგი თავის მილიციით, ბაირაღით, დროშათი კინწოთამარაში (არდაჰანის მაზრაშია, ართვინიდამ ოთხმოცი ვერსია). იმავე დღეს ბ. შერემეტიევი მობრძანდა არდანუჯში, სადაც დაუხვდა ხალხი პურმარილით. ერთ ღამეს დარჩა არდანუჯში. მეორე დღეს გაემგზავრა ართვი-

ნისაკენ; ერთი ღამეც დარჩა ართვინში და ბათუმისკენ წაბრძანდა.

ყოველიფერი რიგზე დაუხვდა, როგორც თვითონ გამოუთქვამს, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ არც ერთი თხოვნა არ მისცა მას ხალხმა. რას მივაწეროთ ეს მოვლენა? ალბად ჩვენს მხარეში ყველანი ბედნიერები არიან, არაფერი სათხოვარი არა აქვთ!..

***

უკაცრავად, ამის მეტს ვეღარ გავაგრძელებ ჩემს წერილს, ჯერ იმიტომ, რომ ისე ბედნიერი არა ვარ, რომ საქმე და სათხოვარი არა მქონდეს, მეორე იმიტომ, რომ ლოტოს სათამაშოდ მიძახიან. არ შემძლიან არ წავიდე. ესეც ერთი ნაყოფია ბრძენთა-გონებისა და საშუალება გართობისა მოწყენილი ხალხისათვის და არ შემიძლიან არ თანავუგრძნო იმის თაყვანის მცემლებს...

მეორე წერილამდის.

ს. ბავრელი.
ივნისის 20.
დ. არდანუჯი.[1]

1 „დროება“, #148, 1885, 12 ივლისი, პარასკევი, გვ. 2-3.

საქართველო

ჩვენები ომში
ქ. ართვინის აღება.

ცხენების ჭიხვინი, რაზმელების ჟივილ-ხივილი, ფაცა-ფუ-ცით იარაღის შესხმა, უფროსების ბრძანებით ყვირილი, ისმის ქართველ რაზმელების ბანაკში. რაზმი ემზადება საბრძოლველ-ლად. ღამით მიიღო ბრძანება ქ. ართვინისაკენ გამგზავრებისა და მისი აღებისა.

ცხენოსანთა ასეული კიდეც შეჯდა ცხენებზედ და ნელ-ნელა დაიძრა ვიწრო გზატკეცილით. ორი ფეხოსანთა ასეულიც თან აჩქარებულ ნაბიჯით გამოედევნა.

ზედ მიჰყვნენ საველე ზარბაზნები, ტყვიის მტყორცნელე-ბი და სხვა და სხვა ფეხოსანთა რეგულიარული ჯარები. ს. ს-ნ ფეხოსანთა ჯარებმა ქართველ ასეულებით გზატკეცილს მა-რცხნივ აუხვიეს. თანაც ზარბაზნები აიტანეს; ქართველ ცხე-ნოსანთა რაზმი კი გზატკეცილს დაადგა. შტაბის ბრძანების თანახმად ქართველ ცხენოსნებს დაევალათ გზატკეცილით იერიშის მიტანა და ამით ჭოროხის მარჯვენა მხარეს ჩასაფრე-ბულ მტრის სროლა გამოეწვია, რათა ზარბაზნებს მისცემოდათ საშუალება ოსმალთა პოზიციების აღმოჩენისა მიზანში ამოსა-ღებად.

ოსმალებს თან ახლდა ორი ზარბაზანი, მაგრამ მიჩუმებული იყვნენ და არ სურდათ უდროოთ თავის სიმაგრეთა აღმოჩენა.

ქართველებმა მაშინ ხერხი იხმარეს. როგორც კი ცხენოსნე-ბი დაუპირისპირდნენ მტრის პოზიციებს, გზატკეცილზედ ჯგუ-ფებად დაიყვნენ და ერთმანეთს ჩქარი ნაბიჯით მიჰყვნენ.

ოსმალებმა ეს პროცესია არტილერიის მოძრაობას მიამზგა-ვსეს და აბა როგორ შეიკავებდნენ თავს ამ სახარბიელო მიზნი-სათვის!

დაუშინეს ზარბაზნები.

არტილერიასაც ეს უნდოდა. ოსმალები ზარბაზნების ბოლ-მა გამოამჟღავნა და დაუწყეს უღმერთო სროლა. მაგრამ ოს-

მალები მედგრად იბრძოდნენ. გზატკეცილის თეთრი ხაზი, რომელზედაც მშვიდად და დინჯათ მიდიოდნენ ქართველი ცხენოსნები, ოსმალებმა თავის მხრივ მიზანში ამოიღეს და შეუბრალებლად აყრიდნენ ტყვია ყუმბარას. ცხენოსნების მდგომარეობა გამწვავდა. ორი კაცი კიდეც დაიჭრა, მათში დაიჭრა თუში და ხრამში გადავარდა. მაგრამ ამან არ შეაყენა ქართველობა. მაშინვე ცხენებიდან ჩამოხტნენ და მიეფარნენ კლდეს და გადასწყვიტეს თითო-თითოდ ცხენის ჭენებით წინ გასხლტომა.

შეჯდა ერთი ყოჩაღი ცხენოსანი. გააჭენა ცხენი; ოსმალებმა დაუშინეს თოფი. მაგრამ ამაოდ - დაუსხლტა!

მას მოჰყვა მეორე, მესამე...

აგერ, ვაჟკაცი მ.-ე-ი შეახტა ცხენს და გაქანებულ იერიშიც გავარდა წინ. მტერმა ზარბაზანი დაუშინა. ერთმა ყუმბარამ მამაც მხედარს ზედ თავზედ გადაუარა და კლდეს მიასკდა. ყუმბარის ჰაერმა ქუდი მოსტაცა ცხენოსანს. დაიხურა ქუდი, კვლავ შეახტა ცხენსა და გაჰქრა ვით ქარი გაკვირვებულ მტრის თვალ-წინ. ამ რიგად მთელი ცხენოსანთა ასეული გაუსხლტა ოსმალებს და შეუჩერებლივ გასწია ქ. ართვინისაკენ. ამავე დროს ზარბაზნებმა და ფეხოსანთა რაზმებმა საშინელი სროლა აუტეხეს მტერსა და აიძულეს იგი დიდ მანძილზე დაეხია. ეს იყო დასაწყისი ოსმალების დაწევისა, და როდესაც ჭოროხის მარჯვენა მხრიდანაც ოსმალებს მარცხენა წვერზედაც ჩვენები გამოჩნდნენ, აჩქარებით ქედის იქით დაიწიეს და ქ. ართვინისაკენ გზა გახსნეს.

ქართველი ცხენოსნები ართვინს მიუახლოვდნენ კიდეც. მალე მათ მარდი მოსიარულე ფეხოსანი ქართველი ასეულებიც დაეწივნენ. შორიდან გამოჩნდა ართვინის აფეთქებულ რკინის ხიდის დაობლებული შავი სვეტები. რკინის ჩონჩხი სვეტებსვე შორის ჩავარდნილა და ზედ წყალზე ტივტივებდა.. სვეტებს რამდენიმე ადგილას დაუჭერია ხიდი და არ უშვებდა. ხიდის გაღმა მოჩანდნენ ართვინელები, გამოსულნი ძველ ბატონის დასახვედრად. რაზმები ხიდან შეჯგუფდნენ. მდინარე ჭოროხი ბრაზიანად მიაქანებდა თავის აფორიაქებულ ტალღე-

ბს და ჩავარდნილ რკინის ხიდის ჩონჩხზედ ღრიალ გრიალით გადადიოდა. ამ „ხიდზედ“ გადამსვლელი არ ვინ მოჩანდა...

ამ დროს გაისმა ხმა:

გაუშვით წინ ყოჩაღი ქართველები.. ესენი გადავლენ.

პლასტუნებმა გზა მისცეს. ათი მზვერავი ქართველი რაზმელი მიადგა აფეთქებულ ხიდის უფსკრულს.

შეჰყვირეს იქ შეჯგუფულ ართვინელებს და რამდენიმე ფიცარი ხიდის ჩონჩხზედ გადმოაგდებინეს. „ხიდი“ მზად იყო.

პირველი ჩახტა რაზმელი კახიანი. ხელების ქანაობით და კალიასებურ ხტომით მიახტა მეორე სვეტს და მაღლიდან ჩამოშვერილ ართვინელების მიერ თოკზედ კატასავით აძვრა. კახიანს მიჰყვა გულადი სეფრაშვილი. გადახტ-გადმოხტა და აცოცდა... თვალის დახამხამებაზედ ათი ქართველი რაზმელი მეორე ნაპირას გადასკუპდნენ.

მათი მძიმე ჩრდილოელი ამხანაგები გაკვირვებით თავებს იქნევდნენ და ამბობდნენ: ეს რა ხალხიაო!..

როგორც კი გადავიდნენ იქითა ნაპირას, ქართველებს დაუხვდა ართვინის სომხობა. ტერტერები ჯვრით, დელეგატები პურ მარილით.. და მრავალი ხალხი. დაუწყეს ხვევნა, კოცნა...

ტერტერამ სამადლობელო სიტყვით მიმართა...

იხუნჯმა კახიანმა უპასუხა:

ჩაიწერეთ და არ დაივიწყოთ, რომ ჩვენ თავისუფლება მოგიტანეთო.

მხედარი[1]

1 „საქართველო“, #1, 1915, 24 მაისი, კვირა, გვ. 4.

ჩანგი

მუშათა შორის
ძანსული (ართვინის ოლქი).

აქ არის სპილენძის სადნობი ქარხანა. ეს ქარხანა ეკუთვნის ინგლისელების ასოციაციას და როგორც კულტურული ხალხის წარმომადგენელი, „კულტურულად“ ეწევიან ხალხის უსაზღვრო ექსპლოატაციას. ამ ქარხანაში, მაღაროებში, გზაში თუ სადაცაა, დაახლოვებით 3000 კაცამდე მუშაობს, რომლებიც აუტანელ პირობებში არიან.

მუშაობა განისაზღვრება 10 საათით. 7-დან 6-მდის ერთი საათის დასვენებით. ამათში ვინც რომ სმენაზე მუშაობს, კიდევ უარეს მდგომარეობაში არიან. 12 საათის განმავლობაში არავის ნება არა აქვს, რომ დაისვენოს. ხელფასი კი არ აღემატება 80 კ. სანოვაგე საგრძნობლად ძვირია.

მიზეზი ამათი ხელფასის სიმცირისა ის არის, რომ ხსენებულ კაპიტალისტების საბედნიეროთ მუშათა დიდი უმრავლესობა ოსმალოს ქვეშევრდომ ხალხისგან შესდგება (თათრებისაგან), რომლებიც სასტიკი კონკურენტია შეგნებულ მუშების. ამათთვის სულ, ერთია ოთხ აბაზათ კი, არა საქმე რომ დარჩეს, სამ აბაზათაც თანახმა გახდებიან.

რომ შეეკითხოთ რატომ ასე მცირე ხელფასს სჯერდებიო, გიპასუხებენ: ჩვენთვის ესეც კმარა. ოსმალეთში მუშა დღეში სამ ყურუშად მუშაობს. ოთხი აბაზი კი ჩვენებურად ათ ყურუშს უდრისო.

ამათ შორის, რასაკვირველია, ჩვენებური მუშებიც ისრისებიან, აბა ამათ ხომ მეტს არავინ მისცემს?

ეს ხომ ასეა. ეხლა რამდენი უსამართლობა ხდება, იმის აღწერა შეუძლებელია. ცოტა რამე უმნიშვნელო შეცთომაზე მუშას, რომელიც ასე მცირე ხელფასს ღებულობს, მანეთით - ორი მანეთით აჯარიმებენ. რომ ესა დასძრას, კიდევ უარესი, ანგარიშ გაუსწორებენ და მიბრძანდიო, ეტყვიან.

გარდა ამისა მედიცინურ დახმარებაზე ლაპარაკიც მეტი

იქნება. ჩვენი ექიმი ბ-ნი დნიპერი ხშირად ავათმყოფს მათრახით და გინებით წამლობს. (შეიძლება აქ მკითხველი შეეჭვდეს, მაგრა მოწმედ თვით ფელდშერი მაკროვია), რომელიც გაკვირვებული უყურებდა ახალ მოვლენილ ექიმის მოქმედებას, როდესაც ის ავათმყოფ თათრებს მათრახით უმასპინძლდებოდა.

მეორედ, ხელოსანი რუსი, როდესაც ექიმს მედიცინურ დახმარებას სთხოვდა, დახმარების მაგიერ სილა გაარტყა. მიზეზი ვინ იცის? ესეც არ აკმარა და იმავე დღეს, „რასჩოტი“ მიაცემინა.

ი. შეითან-ოღლი[1]

1 „ჩანგი“, #43, 1909, 25 აგვისტრო, სამშაბათი, გვ. 4.

მომავალი

აგრონომების მოგზაურობა. კავკასიის მეურნე-ინსპექტორი ვასილიევი აგრონომ ტიმოფეევთან ერთათ ამ დღეებში ართვინში და შავი ზღვის ნაპირებზე მიემგზავრებიან სახაზინო სანერგეების დასათვალიერებლათ.[1]

რკინის გზა ბათომიდან ართვინამდე. საგზაო სამინისტრომ საბოლოოთ გადასწყვიტა საკითხი ბათომიდან ართვინამდე რკინის გზის გაყვანის შესახებ.[2]

1 „მომავალი“, #56, 1909, 3 ნოემბერი, სამშაბათი, გვ. 2.
2 „მომავალი“, #99, 1909, 24 დეკემბერი, ხუთშაბათი, გვ. 2.

მწყემსი

მისიონერული მოღვაწეობა მღვ. თალაკვაძისა და იონა მეუნარგიასი ბათუმის და ართვინის სამფლობელოებში

„საქართველოს მახარებელში“ იბეჭდება ანგარიში კავკასიაში მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმადგინებელი საზოგადოებისა, რომელშიაც ვრცლად არის მოთხრობილი ამ საზოგადოების მოქმედება, შემოსავალი და გასავალი. მოგვყავს ზოგიერთი ადგილი ამ ანგარიშიდამ:

„ყოვლად სამღვდელო გრიგორი, რომ უფრო კარგად გაეცნო მას სარწმუნოებრივი მდგომარეობა ბათუმის და ართვინის მაზრების გამაჰმადიანებულ მკვიდრთა, ცდილობდა გამოენახა სხვა-და-სხვა საშუალებანი, რათა ამ ოლქებში სანატრელად წასულიყო მართლმადიდებელი სარწმუნოების გავრცელების საქმე. ამიტომ თებერვლის 20 და 21 რიცხვებში მათმა მეუფებამ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის სახლში დანიშნა გურია-სამეგრელოს სამისიონერო განყოფილების წევრთა კრება თავის თავსმჯდომარეობით. სხვა-და-სხვა კითხვების განხილვის შემდეგ, კრებამ დაადგინა შემდეგი:

ა) გაიგზავნოს ბათუმის და ართვინის ოლქებში ორი მცოდნე პირი, რომელთაც ადგილობით შეიტყონ ის პირობანი, რომელნიც ხელს შეუწყობენ მართლმადიდებელი ქრისტიანობის გავრცელებას ამ ოლქებში, შემდეგ თავისი აზრი წარუდგინონ სამისიონერო განყოფილებას, თუ როგორ უნდა მოეწყოს საქმე, რომ ამ ადგილებში უკეთესად გავრცელდეს მართლ-მადიდებელი სარწმუნოება; ამასთანავე ვალად დაედგინოს ამ პირთ: 1) ვრცელი აღწერილობა შეადგინონ ყველა ნაშთთა , რომელნიც მოიპოვებიან ამ ოლქებში და განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ იმ ტაძრებს , რომელთა შეკეთება ანუ განახლება შეიძლება; 2) აღნიშნონ დასამხარი ადგილები, სადაც შეიძლება სამრევლო სკოლების გახსნა; 3) გამოიკვლიონ მათ, თუ რომელ ადგილს უფრო შეუძლიათ მისსიონერებს სარწმუნოების გავრცელება; და 4) ადგილობით შეისწავლონ ამ ოლქების მკვიდრთა სარწმუნოებრივი მდგომარეობა და ამასთანავე აღ-

ნიშნონ ის ძველი ქრისტიანული ჩვეულებანი და წესები, რომელნიც დღესაც სრულდება გამაჰმადიანებულ მკვიდრთაგან ამ ადგილებში.

ბ) ვიშუამდგომლოთ კავკასიაში მართლ-მადიდებელი სარწმუნოების აღმადგინებელი რჩევის წინაშე, რათა 720 მანეთი მისცეს ამ რჩევამ ზემოთ აღნიშნული საგნისათვის გაგზავნილთ პირთა; ეს შუამდგომლობა მიიღო რჩევამ და კიდევაც დანიშნა 720 მანეთი.

გ) ნება მიეცეს ყოვლად სამღვდელო გრიგორს დანიშნოს ორი პირი ხსენებულს ოლქებში გასაგზავნად.

ამ დადგენილობის ძალით 1890 წელში, ივნისის და ივლისის თვეებში ყოვლად სამღვდელოს მინდობილობით გაემგზავრენ ხსენებულს ოლქებში ოზურგეთის მაზრის მღვდელი ექვთიმე ტალაკვაძე და გურია-სამეგრელოის სამისიონერო განყოფილების წევრი და საქმის მწარმოებელი აზნაური იონა მეუნარგია. ამ პირების დანახვა არა თუ საწყენათ არ დაურჩათ ამ ადგილების გამაჰმადიანებულ მკვიდრთ, პირიქით ისინი დიდ პატივს სცემდენ მათ, როგორც მოწმობს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად ნამყოფი აწ განსვენებული გროსმანი. ერთ საზოგადოებაში იმდენად პატივი სცეს ხსენებულ პირთ, რომ, რადგან ხეირიანი ბინა ვერ უშოვეს მათ ღამის გასათევად, თვითონ მეჩიტში მოუსვენეს სტუმრებს ერთ ღამეს.

მღვდელმა ტალაკვაძემ და ბ. მეუნარგიამ იწყეს მოგზაურობა ქობულეთიდგან. სოფელს ზემახინოში მათ დაათვალიერეს ხინოწენიდის ძველი საკრებულო ტაძრის ნანგრევები. აქ მღვდელმა ტალაკვაძემ შეასრულა პარაკლისი, რომელზედაც დაესწრო მრავალი მაჰმადიანები. აქედგან მისიონერები გაემგზავრნენ აჭარისკენ და მთელი ეს მხარე დაიარეს და დაათვალიერეს, რაც კი შესანიშნავი ნაშთები იყო არქეოლოგიის მხრით. ყველა ძველ ტაძრებში მღვდელი ტალაკვაძე იხდიდა სამადლობელ პარაკლის, რომელზედაც ესწრებოდნენ მაჰმადიანები.

კავკასიაში მართლ-მადიდებელი, სარწმუნოების აღმადგინებელი საზოგადოების მისსიონერი არქიმანდრიტი ამვროსი,

რომელიც ამავე დროს არის წევრად გურია-სამეგრელოის სამისიონერო განყოფილებისა, ყოვლად სამღვდელო გრიგორის განკარგულებით გაიგზავნა აფხაზეთში და სვანეთში“.

მ. არქიმანდრიტს ამვროსის, მღვდელს ტალაკვაძეს და ბ. იონა მეუნარგიას დაუვლიათ მათდამი დანიშნული ადგილები და ვრცელი ანგარიში წარუდგენიათ სამისიონერო საზოგადოებისათვის,

მისიონერის მ. არქიმანდრიტის ამვროსის მოხსენებაში ვრცლად აღწერილია აფხაზთა და სვანთა ზნე-ჩვეულება, მათი ამაოდ მორწმუნეობა და გაუნათლებლობა. ერთი სიტყვით გასაკვირველია, რომ ასე მალე როგორ გამოიკვლიეს ამ მისსიონერებმა ხსენებულ ხალხთა სარწმუნოება, ცხოვრება, ზნე-ჩვეულებანი და ეტნოგრაფიული აღწერილობა ბათუმის, ართვინის, სვანეთის და აფხაზეთის მხარეებისა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ამ შემთხვევაში ჩვენს მისიონერებს ხელს უწყობს მრავალ გვარი უფრო დაწვრილებით გამოკვლევა საერო და სამღვდელო პირთა, რომელთაც მშვენიერად აქვსთ აღწერილი ის, რასაც სწერენ დღეს...

„ქუთაისის გუბერნიის უწყება“-ში ჩვენ წავიკითხეთ სია ამ წიგნებისა, რომელშიაც ვრცლად არის აღწერილი ყოველივე ის, რასაც სწერენ დღეს აფხაზეთის, სვანეთის და აჭარის მკვიდრთა სარწმუნოებაზე, ზნე-ჩვეულებაზე და განათლებაზე. მივაქცევთ ამ მისიონერების ყურადღებას ამ წიგნების არსებობაზედ. მაგრამ, ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოების გამგეობისათვის, ჩვენის აზრით, უფრო სასიამოვნო იქნება, ვგონებ შეიტყოს, თუ რამოდენი პირი მოაქციეს ამ მისიონერებმა მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე და სად? უფრო სასარგებლო და სასიამოვნო იქნება ყველასთვის წავიკითხოთ მისიონერების ეპისტოლენი, მიწერილი ამ მქადაგებელთაგან მოსაქცევ ხალხთადმი მათთვის გასაგები ენით და მათ მოსაქცევად, ვინემ მოთხრობა მათ ზნეჩვეულებაზედ და ცხოვრებაზედ. ფრანგების მისიონერებს ერთი ახირებული ჩვეულება აქვსთ: იგინი მუშავობენ, იღვწიან და ქრისტიანობის გავრცელებისათვის ითმენენ ყოველ გაჭირვებას, მაგრამ ეპარქიალურ

გამოცემაში არასფერს არ გზავნიან დასაბეჭდად. ეს ჩვეულება ზოგიერთებს ახირებულ ჩვეულებად მიაჩნიათ, მაგრამ, ჩვენი სუსტი აზრით, აქ არავითარი ახირებულობა არ არის.

როგორც ანგარიშიდამ ჩანს, ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებას დაუხარჯავს 1860 წლიდამ რამდენიმ მილიონამდე და რომ ვიანგარიშოთ, 1860 წლიდამ მოქცეულების რიცხვი, მაინცა და მაინც ეს რიცხვი დიდს არაფერს შეადგენს... ყველა ვხედავთ, რომ რაღაცა აბრკოლებს, რაღაცა ეღობება მისიონერობის საქმეს კავკასიაში და ამ მიზეზებს კი, სამწუხაროდ, ყურადღებას არ ვაქცევთ.

ამას წინეთ ჩვენ მივიღეთ ვლადიკავკაზიდამ ერთი პატარა წიგნი. ამ წიგნში, სხვათა შორის, იყო დაბეჭდილი სწორეთ არა სასიამოვნო ცნობა. ვლადიკავკაზის ქალების სკოლის შესანახავად ხუთი წლის განმავლობაში ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებას დაუხარჯავს ას ორმოც-და-ცამეტი ათასი მანეთი. ამ სკოლამ საზოგადოებას მისცა ხუთი ნასწავლი ქალი, რომელნიც მასწავლებლად წავიდნენო. თითო ქალის გამოზდა დაჯდომია ოც-და-თორმეტი ათასი მანეთი. მადლობა ღმერთს, რომ მაღალ ყოვლად სამღვდელომ, საქართველოს ეგზარხოსმა პალლადიმ ბოლო მოუღო ამისთანა უსარგებლო ხარჯს. დიახ, სწორეთ დასაფიქრებელია. წერას ვაქცევთ ნამეტან ყურადღებას და საქმეს არა...[1]

1 „მწყემსი“, #20, 1891, 15-30 ოქტომბერი, გვ. 7-9.

კვალი

როგორც „Сыню. ОТ“.-ს შეუტყვია, მთავრობას საბოლოოთ გადაუწყვეტია დაასახლოს ართვინისა და ბათომის ოლქებში რუსის გლეხები. ამ ჟამათ ცნობაში მოჰყავსთ დასასახლებლათ გამოსადეგი ადგილები.[1]

უმაღლეს მთავრობას საბოლოოთ გადაუწყვეტია გამოაცალკევოს ქუთაისის გუბერნიისაგან ბაუმის და ართვინის ოლქები და სრულიად დამოუკიდებელი ოლქები შეადგინოს. ეს გამოცალკევება მოხდება მდგომარე წლის პირველ ივლისს. საოლქო გამგეობა დაწესდება ბათუმში.[2]

ქ. ართვინი

ქ. ართვინის მცხოვრებლები არიან სომხები და მცირე ნაწილი მაჰმადიანი ქართველებიც. არიან საკმაოთ ქრისტიანი ქართველებიც. ეს ქალაქი დღეს-დღეობით სწორეთ პირველყოფილ მდგომარეობაშია. მთელ ქალაქში არ მოიპოვება ერთი ბიბლიოთეკა; ბიბლიოთეკას დავეთხოვოთ, წიგნის მაღაზიაც კი არ არის. თუმცა წინეთ ყოფილა აქ ბიბლიოთეკა, მაგრამ ვერ უხეირნია და ისევ დაუკეტავთ, რადგან წიგნის კითხვის მსურველი ნაკლები ყოფილა. ასე გასინჯეთ, ჟურნალ-გაზეთებსაც კი იშვიათათ შეხვდებით, რომ ვისმეს მოსდიოდეს ამოდენა ქალაქში. აქ ბიბლიოთეკის და ჟურნალ-გაზეთების ადგილს იჭერს რესტორანი და სხვა გასართობი ადგილები, სადაც იკრიბებიან როგორც უსწავლელი ახალგაზრდები, ისე ნასწავლი და მთელ დღეს ქეიფში ატარებენ. თუ შეხვდებით ორიოდე ინტელიგენტს, ისიც რაღაც გულგრილათ და ამპარტავნულათ უყურებს ყველა ნაკლულევანებას და აზრშიაც არ მოდის ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა, სასწავლებელიც ცოტა არის აქ; არ-

1 „კვალი“, #27, 1899, 4 ივლისი, გვ. 428.
2 „კვალი“, #12, 1903, 16 მარტი, კვირა, გვ. 191-192.

სებობს მხოლოდ ერთი ორკლასიანი სასწავლებელი და ერთიც სამრევლო შკოლა, რომლის გათავების შემდეგ მოწაფეები ართვინს ვეღარ ცილდებიან სწავლის გასაგრძელებლათ და ისევ ცხოვრებისაგან ჩათრეულნი თავიანთ ჭკუა-გონებას სხვადასხვა სათამაშოებით და ქეიფობით აჩლუნგებენ.

უგზობის გამო მცხოვრებლები დიდ გაჭირვებაში არიან. ერთადერთი გზა, რომელიც გამოდის ბათუმიდან და მდ. ჭოროხის ნაპირს გაყვება, სწორეთ საშიშარ სურათს წარმოადგენს. ყოველ საათში უბედურ შემთხვევას უნდა მოელოდე და ამიტომ ამ გზაზე ეტლით მიმოსვლა ძნელია. მაგ., ამას წინეთ ქ. ბათუმიდან გაემგზავრა დილიჟანი ს. ბორჩხაში (იმას იქით კი აღარ მიდის). მოგზაურობის დროს ჩამოინგრა კლდე და ერთი დიდი ქვა დილიჟანს დაეცა; ცხენები დაფთხენ, დილიჟანი ვიწრო გზაზე ვეღარ გაეტია და გადავარდა. ერთი მგზავრი იქვე მოკვდა, სხვები კი როგორღაც გადარჩენ, ხოლო ცხენები და დილიჟანი კი დაიმტვრა და მდ. ჭოროხში ჩაცვივდნენ. აი ასეთი გასაჭირია მოგზაურობა ამ გზაზე, რომელიც სრულიათ შეუკეთებელია. ამიტომ ქ. ართვინი განცალკევებული და ჩამორჩენილია სხვა ქალაქებზე, თუ იკითხავთ ქალაქის მდებარეობას, სწორეთ მოსაწონია: მშვენიერ გორაკზეა გაშენებული, მაგრამ აქაურ ქუჩებში სიარულის დროს კარგი ბიჭობა გინდა, რომ ნაგავში არ დაიხრჩო. განა ქუჩების სიწმინდე რა საჭიროა, მხოლოდ თვითონ კი ყოველ დღეს ქეიფი ატარონ და აი იმათი საქმე.

კარგი იქნება, რომ აქაური მართველობა უფრო მეტს ყურადღებას მიაქცევდეს მცხოვრებლების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ხ. რამიშვილი[1]

1 „კვალი“, #20, 1903, 18 მაისი, კვირა, გვ. 312.

მეურნე

„მეურნის“ მატიანე

გაზეთის „კავკაზის“ 107 და 109 ##-ში გამოცხადებულია კავკასიის სამთო გამგეობისაგან, რომ ართვინში და ბათომის ოლქში მდინარე ჭოროხის დაყოლებაზე ოთხგან უპოვნიათ ოქროს ქვიშრობი, სახელდობრ: ა) ართვინის ოლქის სოფლის ცრიის მახლობლად დალიზორის მიდამოში, ჭოროხის მარცხენა მხრით; ბ) იმავე ოლქის სოფლის ორჯოხის მახლობლად ჩალათ-ყული-თეფენუნ -ალთის მიდამოში, ჭოროხის ორივე მხრით და გ) ბათომის ოლქში ქუთ-უღლუკის მიდამოში, კახაბერის ვაკეზე, წოროხსა და ბათომ-აჭარის წყალის გზას შუა, ბათომიდან $6^3/_4$ ვერსზე და დ. კაპანდიდან კი 3 ვერსზე. და დ) ართვინის-ოლქის ყიზილ ყაიანელის მიდამოში, ჭოროხის მარჯვენა ნაპირს.

სამთო წესდების VII ტომ. მე 460 სტატიის ძალით ამ ქვიშრობებით სარგებლობის ნება მიეცათ იმათ, რომელთ ვექილებისაგან აღმოჩენილ იქნა ეს ქვიშრობები, ე. ი. ბ-ნთ აბრამსონს, ბრეიტფუსს და კოსცინიჩს.

საკვირველია, რომ ამ რამდენიმე წლის წინად თვით მთავრობისაგან იყვნენ გაგზავნილნი სამთო ინჟენერები ჭოროხის ხეობაში ოქროს ქვიშრობის საპოვნელად, რომელთაც სამიოდე წელიწადი მოანდომეს თავიანთ მეცნიერულს კვლევა-ძიებას და ვერ იპოვნეს შემუშავების ღირსი ქვიშრობი (ქვიშრობი თუ 2% მეტს არ შეიცავს ოქროს, მაშინ მისი დამუშავება ხელმისაცემი არ არის) და ეხლა კი ვხედავთ, რომ კერძო კაცთ უპოვნიათ დასამუშავებელად სახეირო ქვიშრობები, რომელნიც, როგორც გავიგეთ, შეიცავს თურმე 8% ოქროს...[1]

1 „მეურნე“, #4, 1895, 7 მაისი, კვირა, გვ. 1-2.

ლახვარი

მუშათა შორის

ართვინი. კიდევ უმუშევართა ჯარს მიუმატეს! ძანსულში სპილენძის მადნებზე მისასვლელ გზაზე მუშაობდა სპილენძის სადნობ ქარხნის გამგეების მიერ დაქირავებული მუშები, რიცხვით თექვსმეტი კაცი, 13 თათარი და სამიც ქართველი. ამათ უფროსათ ყოფილა დანიშნული ბ. ყარამან კუჭუხიძე. რა სისაძაგლე გინდათ, რომ ბატონი ყარამანი არ ჩადიოდეს თურმე... საზიზღარი გარყვნილება, ძალზე აღვირ ახსნილი მექრთამეობა, ჯაშუშობა, ლანძღვა, გინება, ადგილიდან დათხოვის მუქარა და ცილისწამება - ყველა ეს მის სატრფიალო მოქმედებას შეადგენდა. აი, ასეთ მის მოქმედებას მოთმინებიდან გამოუყვანია ის მუშებიც კი, როგორიც აქ მომუშავე თათრები იყო და ყველა მუშებს ერთად მოუთხოვია ქარხნის გამგე ბ. სმიტესათვის ბ. ყარამანის სამსახურიდან გადაყენება. მუშების უმეტესობა დარწმუნებული ყოფილა, რომ როგორც კი გავაგებიებთ ქარხნის ადმინისტრაციას ყარამანის გარყვნილებას, მაშინვე დაითხოვენო. მარა მუშები მივიდნენ თუ არა ქარხნის გამგე სმიტესთან საჩივლელათ, ბ. სმიტემ ერთი ორი სიტყვის შემდეგ ზურგი შეაქცია მათ. მხოლოდ შემდეგ მისი მარჯვენა ხელის, ლევან მღებროვის რჩევით მუშებს „ რასჩოტი“ მისცა და ისედაც შიმშილისაგან გამწარებული ხალხი მუშაობიდან დაითხოვეს. აქაური მუშები მუშაობის დროსაც ნახევრათ ძლივს ირჩენდენ თავს და ნახევარჯერ ცოლშვილი მშიერი ყავდათ, - და ეხლა ესეც წაართვეს, ადგილიდან დაითხოვეს და ისინი უმუშევართა ლაშქარს შემატეს. ყარამანს კი ჯამაგირის მომატებას დაპირდენ და უკეთეს ადგილზე გადაიყვანეს, რადგან ასე მშვენიერათ მოაწყო საქმე.

ძანსულელი მეთვალყურე მუშა ალ-ი[1]

1 „ლახვარი“, #20, 1907, 4 მაისი, პარასკევი, გვ. 3.

ისარი

სამშობლოში დაბრუნებული სომხები

როგორც სააგენტო გადმოგვცემს, ოსმალოს სომხების ერთ ჯგუფს რუსეთში საშოვარზე ყოფნის შემდეგ შინ (ხოტერჯურცში) დაბრუნება განუზრახავს. მაგრამ რადგან ოსმალეთში ბრძანებაა გამოსული, სომხები არ შემოუშვანო, გადაუწყვიტიათ რუს ოსმალოს საზღვარზე გადასულიყვნენ არა ლეგალურის საშვალებით. ართვინის მახლობლად მათ შეხვედრია ოსმალოს ჯარის რაზმი და სროლა აუტეხავთ. მოუკლავთ ორი წინამძღოლი, ადგილობრივი ოსმალო და ხუთი სომეხი. დანარჩენ 6 სომეხს გაქცევით თავი დაუხწევია.[1]

1 „ისარი“, #220, 1907, 9 ოქტომბერი, სამშაბათი, გვ. 3.

დილა

დუშეთის მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი კაპიტანი შმერლინგი დაინიშნა ართვინის ოლქის დროებით უფროსათ.[1]

1 „დილა“, #2, 1907, 20 ივნისი, ოთხშაბათი, გვ. 1.

ამირანი

წ. კ. საზოგადოების ახალი სკოლა

როგორც ვწერდით, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა ართვინის ოლქში სოფელ ჭინკათხევში ქართველ მაჰმადიანთათვის გამართოს ერთ კლასიანი სასწავლებელი ოთხი წლის კურსით. ამ დღეებში საზოგადოების გამგეობამ ჭინკათხევის მომავალ სკოლის სასწავლო გეგმა გაუგზავნა ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორს და სთხოვა, შუამდგომლობა გაუწიოს საზოგადოებას სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, ნება დაერთოს სკოლის დაარსებისა.[1]

1 „ამირანი“, #118, 1908, 26 ივლისი, შაბათი, გვ. 4.

ეშმაკის მათრახი

ყოფილი

უნდა გულ-ახდილათ მოგახსენოთ, რომ როდესაც ჩემს თვალს გაზეთის ფურცლებზე, ან ჩემს ყურს ზეპირ-მეტყველებაში დაეხატება სიტყვა „ყოფილი“, გულში რაღაც გამოურკვეველი გრძნობა მებადება ხოლმე.

მაგრამ როდესაც „ყოფილი“ ამაყობს თავისი „ყოფილობით“ და ცისიმე ნიშნის მოსაგებათ სწერს: „ყოფილი სოც. ფედერალისტი“ ან „ყოფილი სოციალ-დემოკრატიო“, მაშინ ჩემი გრძნობაც გარკვეულ სახეს იღებს, - მე ამგვარ მოხაზულობას ჩემი გრძნობისას ზიზღს ვეძახი.

ერთი ასეთი „ყოფილი“ სოციალ-დემოკრატი ამ წინაზე სახალხო ფურცელშიაც სწერდა პეტრე გელეიშვილის შესახებ. ვინ იცის ის მწერალი მართლა „ყოფილია“, თუ განგებ თხზავს თავისს „ყოფილობას“, რომ ამით წერილში აღნუსხულ ფაქტებს მეტი ფასი დაასდოს. მე მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებს; პატივცემული „ყოფილი სოციალ-დემოკრატი“ ახლა რომ აშკარათ იძახის „ყოფილი“ ვარო, მაშინ რატომ არ აცხადებდა გაზეთებში, „ნამდვილი სოციალ-დემოკრატი“ მე გახლავარო. ალბათ „ყოფილი“ უკვე უზრუნველყოფილია საფრთხისაგან. ჩემის აზრით „ყოფილობა“, რისაც უნდა იყოს იგი, არავითარი სატრაბახო საქმე არ არის.

აი თუნდა: „ყოფილი ავაზაკი“, „ყოფილი ქველმოქმედი“, „ყოფილი ჭკვიანი“, „ყოფილი სულელი“, „ყოფილი კაცი“, „ყოფილი მხეცი“ ორივე შემთხვევაში საძრახისია.

- ყველა ასე ადვილათ ვერ გადადის „ყოფილთა“ კატეგორიაში. ზოგიერთი პიროვნება ამ დროს „ორ წყალ შუა“ ვარდება. ასე დაემართა, მაგალითად ქ-ნ აზიანს.

შარშან დეკემბერში ართვინის მიდამოებში ოსმალთა ჯარი გადმოვიდა. ამან დიდი შიში გამოიწვია თფილისის მცხოვრებთა შორის. შიშმა შეიპყრო ქ-ნი ნ. აზიანიც და რკინის გზის სადგურისაკენ გააქანა, რომ ყარაურგანში მყოფ ოსმალთაგან თავი დაეხწია.

სადგური ხალხით სავსე დახვდა. ჩადგა რიგში და როცა კასასთან, მივიდა მაშინ გაახსენდა, რომ ფულზე ცოტა ხელმოკლეთ ყოფილიყო. თუ მივიღებთ სახეში თათრების სიახლოვეს, ისინი მაშინ თითქმის სამასი ვერსის მანძილზე იყვენ თფილისიდან, სულაც არ გაგვიკვირდება ასეთი გულმავიწყობა.

ქ-მა ნ. აზიანმა აიღო ბილეთი მხოლოთ ბაქომდე და იშოვა ადგილი ვაგონში მაღლა თაროზე, ჭერში ბარგის საწყობ ალაგას. პოზიცია თუმცა ვერაფერიშვილია, მაგრამ მშვიდობიან უკანდახევას მაინც უზრუნველყოფს და ამით მოზღვავებულ შიშს აცხობს. საბარგე თაროდან ნ. აზიანმა ფრთხილად გაიხედა ფანჯარაში და გაახსენდა, რომ ის თფილისში იმყოფება.

„მშვიდობით თფილისო! მშვიდობით საქართველო!“ აღმოხდა გულიდან უკვე დამშვიდებულ მწერალ ქალს ამ სიტყვების ხსენებაზე და უცებ მოაგონდა, რომ ის ინტერნაციონალისტია და სამშობლო არ უნდა ჰქონდეს. კედლისკენ გადაბრუნდა და... ტირილი დაიწყო.

როცა ქ-ნი აზიანი დამშვიდდა, გაახსენდა, რომ ის ტომით სომმხია და საქართველოს დატოვებაზე კი სტირის. ამან სულ არივ-დარია მისი თვით გამორკვევის საქმე. გამოდის, რომ იგი ყოფილა არამარტო „ყოფილი სოციალ-დემოკრატი“, არამედ „ყოფილი“ სომეხიც.

ნ. აზიანს მრავალჯერ უნახავს, თუ როგორის სიხარულით სტოვებენ საქართველოს შორეულ ჩრდილოეთისაკენ გადასახლებული ქართველი სოციალ-დემოკრატები. გაუგონია, თუ როგორ ბედნიერათ გრძნობენ თავს ისინი თავისს ახალ სამშობლოში, ვინაიდან, მათ არა სწამთ თავისი ქვეყანა, თავისი სამშობლო კუთხე.

თვითონ ქ. ნ. აზიანი კი უკვე იცრემლება „მთაწმინდის“ დანახვისათანავე და საბარგე თაროზე წამოწოლილი საშინელს ტრაღედიას განიცდის. სამშობლოს სიყვარულის გრძნობამ უკვე ამოიყვანა ის ინტერნაციონალური ჯურღმულიდან და ნაციონალიზმის ბედნიერ ფრთებზე შეასკუპა. ის უკვე თავს „ყოფილ სოციალ-დემოკრატათ“ გრძნობს და ეს ოდნავ უნელებს მძიმე სატანჯველს.

ვინც რიგიანათ ჩაუკვირდება ამ მოთხრობას, რომელიც ამოღებულია ქ-ნი ნ. აზიანის აღსარებიდან („სახალხო ფურცელი“ 513), ის დაინახავს, თუ როგორის ტანჯვით მოიპოვება ხშირათ საპატივო სახელი „ყოფილი სოციალ-დემოკრატისა“.

ნ. აზიანის ისტორია აქ ილიუსტრაციას აღარ საჭიროებს.

კოღო.[1]

1 „ეშმაკის მათრახი“, #20, 1916, 13 მარტი, კვირა, გვ. 2.

რესპუბლიკის ჯარი

ქრონიკა

ოსმალები აზრუმისა, ყარსის, ართვინის და სხვა მეზობელ რაიონებში დიდ აგიტაციას აწარმოებენ ამიერ-კავკასიის წინააღმდეგ, აგრეთვე იარაღს ურიგებენ მცხოვრებლებს.[1]

1 „რესპუბლიკის ჯარი“, #17, 1919, გვ. 16.

ნაკადული

საქართველოს წყლები
(მოკლე გეოგრაფიული მიმოხილვა).

საქარათველო წყლებით მდიდარი ქვეყანაა; ეს აიხსნება იმით, რომ წვიმა ხშირად იცის, ხშირი წვიმა კი გამოწვეულია ზღვის სიახლოვით და მაღალი ტყით მოსილი მთების სიმრავლით. საქართველოს ბევრი მთები არამც თუ ზამთრობით, არამედ მთელი წლის განმავლობაში შემოსილია თოვლით და ყინულით. როცა საქართველოს ცხოველ-მყოფელი მზის სხივები ადნობენ მათ, წყალი ჟვანავს მიწაში და შემდეგ მრავალ ცივ და ანკარა წყაროებად გამოჩუხჩუხებს გარედ. ეს წყაროები აჩენენ მრავალ მდინარეებს და ტბებს, რომლითაც ჩვენი ქვეყანა დასერილია. სუყველაზე მაღალი მთები ჩვენი სამშობლოსი არის კავკასიონისა; ეს მთა-გრეხილი არის უმთავრესი ძუძუ ჩვენი მდინარეების მასაზრდოებელი.

თითქმის ყველა ჩვენ მოზრდილ მდინარენთ, ზოგიერთს გარდა, ამ მთებში აქვთ სათავე, და თუ მაინც სათავე აქ არ აქვთ, შესართავი მათი ტოტები მაინც აქედან იწყებიან.

საქართველოს მდინარენი, იმ მხარის მდებარეობის - და მიხედვით, სადაც ისინი მიმდინარეობენ, შეიძლება გაიყოს სამ რიგად: აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეები, ანუ მდინარე რიონის ბასეინი; სამხრეთ საქართველოს მდინარენი, ანუ მდინარე ჭოროხის ბასეინი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთავარი მდინარე არის მტკვარი. იგი ჩვენი სამშობლოს ყველა სხვა მდინარეებზე გრძელია და დიდი, ამიტომ მას შეგვიძლია ვუწოდოთ საქართველოს წყლების მამა-მთავარი.

მდინარე მტკვარს აქვს სათავე არსიანის მთის სამხრეთ ტოტში, რომელსაც ეწოდება მუთულჯანი; იგი მდებარეობს იმ ადგილში, რომელიც ძველად იწოდებოდა კოლად. ამ მთის ფერდობიდან გამოჩუხჩუხებს ვეებერთელა წყარო: ეს არის მტკვრის სათავე; იგი მდებარეობს 6642 ფუტის სიმაღლეზე

შავი ზღვის ზედა პირიდან. აქ მტკვარი პატარაა; იქვე ახლო მას ერთვიან მთის ნაკადები და იგი ცოტათი იზრდება; მტკვარს მიმდინარეობის მიმართულება არა აქვს ერთნაირი: ხან ჩრდილოეთისკენ, ხან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ და ხან აღმოსავლეთისკენ უხვევს. სოფელ გოგაშენამდის მტკვარი ჩქარა მომდინარეობს, შემდეგ კი უკლებს თავის ჩქარ სვლას და ითვისებს სიდინჯეს, რომელიც შეუნარჩუნებია ბოლომდის. მრავალი წყალი ჩადის მდ. მტკვარში: მარცხენა მხრიდან მას ერთვიან: ქ. ახალციხესთან ფოცხოვის წყალი, ქ. გორთან - ლიახვი, რომელიც შემდგარია ორ მდინარესაგან: დიდ და პატარა ლიახვებისაგან; ორივეს სათავე აქვს კავკასიონის ქედში. მომდინარეობენ შუა ქართლზე და ერთვიან ერთმანეთს სოფელ შერთულასთან. ლიახვს ქ. გორთან, ვიდრე იგი მტკვარს შეუერთდებოდეს, ემატება მდინარე მეჯუდა. შემდეგ ერთვის მტკვარს ქსანი, სოფელ მცხეთასთან - არაგვი. ეს შესანიშნავი მდინარეა; იგი ბევრის მომსწრეა საქართველოს წარსულ დროში; ამ მდინარეზე ბევრს სწერდნენ ქართველი მწერლები და სხვათა შორის ილია ჭავჭავაძესაც აქვს ერთი მშვენიერი ადგილი თავის პოემაში „აჩრდილი“, მიძღვნილი არაგვისადმი ეს ადგილი იწყობა შემდეგ სტრიქონებით:

- „ჩვენო არაგვო, რა რიგ მიყვარხარ!...
ქართლის ცხოვრების მოწამე შენ ხარ...
შენს კიდეებზე ჩემი მამული
იყო ერთ დროსა გამსვენებული“ და სხვა.

ბოლოს, საქართველოს და ადერბაიჯანის საზღვარზედ, მტკვარს ერთვის ალაზანი იორით. ალაზანსა და იორს აქვთ სათავე კავკასიონის მწვერვალ ბორბალოს სამხრეთ ფერდობებზე; პირველი მომდინარეობს ჯერ თუშეთზე და შემდეგ შიგნით კახეთზე: ხოლო მეორე ჯერ ფშავეთზე და მერე გარე კახეთზე, ანუ კუხეთზე.

მარჯვენა მხრიდან მტკვარს ერთვიან: სოფ. ხერთვისთან - ჯავახეთის მტკვარი; იგი გამომდინარეობს თაფარავნის ტბი-

დან. სოფ. ხიდისთავთან, გორის ცოტა ქვევით, ერთვის ტანა, რომელიც იწყობა თრიალეთის მთებში მწვერვალ ჯამ-ჯამის ჩრდილოეთით; თბილისის ქვევით ერთვიან ალგეთი და ხრამი; უკანასკნელი თავის ტოტით ბორჩალოთი: მისი სხვა სახელია დებედა-ჩაო.

მდ. მტკვარი ჩადის კასპიის ზღვაში; მისი სიგრძე მარჯნის წყაროდან კასპიის ზღვამდე არის 1244 ვერ. მთელი მტკვრის ბასეინს უჭირავს 136,355 ოთხკუთხი ვერ. მტკვრის სათავედან ალაზნის შესართავამდე არის 726 ვერ. ამ სიგრძეზე მიმდინარეობს მტკვარი ჩვენ სამშობლოში, მერე კიდევ გაივლის 518 ვერსს და ჩადის კასპიის ზღვაში.

ეს უდიდესი მდინარე საქართველოსი სარწყავად თითქმის გამოუყენებელია, რადგანაც ღრმა კალაპოტში მიმდინარეობს; მისი სარგებლობა ისაა, რომ იგი ეზიდება ტივებს ბორჯომის ხეობიდან გორსა და თბილისამდე და ატრიალებს წისქვილებს. აგრეთვე სარგებლობა მისი - თევზების სიმრავლეა: მტკვარში მოიპოვება 50 ჯიშის თევზი, რომელთა შორისაც მტკვარი ითვლება 18 ნაირ თევზის სამშობლოდ. მტკვრის სათავეში მრავლად იცის კალმახი, მხოლოდ ქვევით მოიპოვება ლოქო, ციმორი, ნაფოტა, მურწა, ორაგული, წითელი ჭანარი და სხვა მრავალი. ყველა ეს თევზები ბუდობენ აგრეთვე მტკვრის თითქმის ყველა შესართავებში.

საქართველოს საზღვრებში მტკვარი სანაოსნოდ გამოუყენებელია, თუმცა ამბობენ - ძველ დროში იყო ნავოსნობა, მაგრამ ამის დასამტკიცებელი საბუთები ჯერ არ მოგვეპოვება.

დასავლეთ საქართველოს მთავარი მდინარე არის რიონი; მას ძველად ერქვა ფაზისი; იმას სათავე აქვს ზემო-რაჭის ფასის მთაში; დასაწყისთანავე მას ერთვიან პატარა მდინარენი: ღარულა, საყაურა, ჭანჭახა და სხვანი. სიგრძით რიონი მტკვარზე ძალიან ნაკლებია; იგი დაახლოებით 200 ვერსის სიგღძეა; ჩადის შავ-ზღვაში ქ. ფოთთან; მიმდინარეობის მიმართულება არა აქვს ერთნაირი; იგი მიიმართება ხან დასავლეთით და ხან სამხრეთით. რიონს ერთვის მრავალი შენაკადი. მათში შესანიშნავია: მარცხნივ ყვირილა, მარჯვნივ - ცხენის წყალი, ტე-

ხურა და სხვანი; ქ. ქუთაისამდე რიონი მიმდინარეობს ჩქარა, შემდეგ კი თან-და-თან მდორეთ მიდის. მის ზევითა ნაწილში ხელოვნური რწყვა მოუხერხებელია, ქვევითა მის მიმდინარეობაში კი ხმარობენ მის წყალს სარწყავად. თევზი ბევრი იცის რიონში, მხოლოდ მეთევზეობას, როგორც ხელობას, არავინ, ან სრულებით მცირედ მისდევენ. რიონში შესაძლებელია ნავოსნობა შავი ზღვიდან ს. ორპირამდე პატარა გემებით.

დასავლეთ საქართველოში არიან ისეთი მდინარეებიც, რომელნიც პირდაპირ ზღვაში ჩადიან; მათ შორის მოზრდილნი და შესანიშნავნი არიან: ბზიგა; იგი საზღვრავს საქართველოს ჩრდილოეთისაგან, შავი ზღვიდან მოყოლებული, ვიდრე კავკასიონის ქედამდე; კოდორი; ენგური; აქვს სათავე სვანეთში, ხობი, სუფსა და სხვანი.

სამხრეთ საქართველოს მთავარი მდინარე არის ჭოროხი; სათავე აქვს კლარჯეთში, ბატონიშვილ ვახუშტის თქმით, - ირიჯლუს მთაში, და მიმდინარეობს სხვა და სხვა მიმართულებით. ჩადის შავ ზღვაში, ბათუმის სამხრეთით; სიგრძე მისი არის 250 ვერსამდის; იგი რიონზე გრძელია; ჭოროხი ჩქარი მდინარეა; მომდინარეობს მაღალ-კლდოვან მთებს შუა; მიუხედავად ყოველივე ამისა, ნავოსნობა სწარმოებს მთელი 80 ვერსის სიგრძეზე: ქალ. ართვინიდან ბათუმამდე. ჭოროხში მოცურავე ნავებს პრტყელი ძირები აქვთ, ძალიან ჩქარაც მისცურავენ; ამ მხრივ ჭოროხი დიდად სასარგებლოა მცხოვრებთათვის; იმ მანძილს, რასაც იქაური ჭოროხით გასცურავს ერთ დღეში, ხმელეთით, უგზოობისა გამო (ეს ქვეყანა ძალიან მთაგორიანია) სამჯერ მეტ დროს მოანდომებდა. სარწყავად ჭოროხი სრულიად გამოუსადეგარია, მხოლოდ რწყავს შავი ზღვის პირის ადგილებს თავის შესართავთან ახლო. ჭოროხის შესანიშნავი შესართავი ტოტებია მარცხნივ: მურღულის წყალი, ხატილა წყალი, პარხალი; მარჯვნივ - აჭარის წყალი, იმერხევი, ოლთისის წყალი...

ჭოროხში მრავლად იცის სხვა-და-სხვა თევზი და უფრო კი კალმახი, რომელიც შესამჩნევად გემრიელია.

საქართველოში არის სათავე მდინარე თერგისა, რომელიც

გამოდის მყინვარის სამხრეთ-დასავლეთით მდებ მთებიდან, აპობს კავკასიონის მთავარ ძარღვს და მერე ჩრდილო კავკასიით ჩადის კასპის ზღვაში. საქართველოში მრავალი ტბებია; იგინი მოიპოვებიან თითქმის ყველა კუთხეებში, როგორც მთაში ისე ბარში. ყველაზე ბევრი ტბებია ჩვენ სამშობლოს იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება ჯავახეთი; იქ სხვა ტბაზე უფრო მოზრდილნი არიან: ტაბისყურის და თაფარავანის ტბები. ქართლში არის ბაზალეთის ტბა; და მთაში, მდინარე ქსნის სათავეში, ყოლის ტბა; დიდი ტბა არის სამეგრელოში ქალ. ფოთთან მას ჰქვიან პალეასტომი. ბევრ ამ ტბებში მოიპოვება გემრიელი თევზი, ზოგში- კი იგი სრულებით არ ბუდობს.

საქართველოში ბევრია ჭაობები; მეტადრე შავი ზღვის პირად მდ. რიონის მიდამოებში. ეს ჭაობები ფრიად მავნებველი არის ადამიანის სისაღისათვის, რადგანაც ხელს უწყობს ციებ-ცხელების და სხვა ავათმყოფობის გაჩენას.

ჩვენ სამშობლოს სხვა-და-სხვა კუთხეში მრავლად მოიპოვებიან სამკურნალო წყლები, რომელნიც ჰკურნავენ სხვა და სხვა ავათმყოფობებს; ბევრი ამ წყაროთაგანი გამოკვლეულია, შესწავლილი და განთქმული: მაგალითად, დასავლეთ საქართველოში წყალტუბისა, აღმოსავლეთ საქართველოში თბილისისა და ბორჯომისა; ეს უკანასკნელი იძლევა რამდენსამე მილიონ ბოთლ წყალს და საზღვარგარედაც ბლომად იგზავნება. მრავალი სამკურნალო წყლები გამოუკვლეველია, შეუსწავლელი და მოუწყობელი. ამ წყლების მომავალი წინ არის; მათ მოწყობა-გამოყენებას თვით სახელმწიფო შეუდგება. ასეთი წყლებია: კობისა, სამხედრო გზაზე; გორის ჯვრისა - ქ. გორთან; ახტალისა - კახეთში; ჟამურისა - დუშეთის მაზრაში, ქსნის ხეობაზე და სხვა მრავალი.

წელიწადი მეორე. ფასი 5.000 მ. საქ. ფულის ნიშნებით. პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ამიერ-კავკასიის რევოლუციონერი

ორგანო ამ.-კავკ. დორკრეფსოქის და რკ. გზ. სამმართველოს.

№ 23. ორშაბათი, 3 იულისი 1922 წელი. № 23.

განცხადება

რკ.-გზ. მუშა-მოსამსახურეებს და ცალკა პირებს შეიძლებიან გამოიწერონ ჩვენი გაზეთები—„ამიერ-კავკ. რევოლიუციონერი“ და „ბუდეკა ზაკავკაზია“.

გაზეთი ფასრს თვეში ერთ-ერთ რკ.-გზ. სადგურზე გადაგზავნით 20 ათას მანეთი ქართული ფულისა.

ჟურნალები ამბულატორიებზე დაჭერა

განცხადებანი უნდა მიმართონან: თბილისი, ალექსანდრეს (ბებიანე.) პროსპექტი, სახლი № 138, **დორპროფსოფში, ოთახი № 14, რედაქციაში.** განცხადებაში უნდა იყოს ნაჩვენები: სახელი, მამის სახელი, გვარი, თანამდებობა და სასახლურის ადგილი.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული „იმუშავეს“.

თითქმის მთელ გერმანიას მოედო დღეს მონარქისტული მოძრაობა. ვილჰელმის და ჰინდენბურგის. ბანდები საკმაოთ გაბრიდილან. ცნობილი ეგერსელის ბელშეკრულების წლის თავზე, როგორც სჩანს, დიდ ნაციონალისტურ მოძრაობას ახდენენ. ეს გამოსცდენი მათ უნდათ გამოიყენონ გერმანიაში მონარქიის დამყარებისათვის. ამ მიზნით მონარქისტები შეიარაღებულ გამოსვლებს ხელმძღვანელობენ. რაშია საქმე?

ე. წ. სოციალ-დემოკრატებმა მთელი თვისი ბატონობის განმავლობაში ამბობდნა „იმუშაეს“, რომ რევოლიუციონერი მუშათა მოძრაობა თითქმის საესებით ჩაალჩნეს გერმანიაში, ხოლო ბურჟუაზიული და მონარქისტული მოძრაობა კი პირიქით გაამაგრეს და გაბმტკიცეს! მათ „ეურრდილკამ“ ე. წ. რეფისტგამა ფართოთ გაუსნა ყარები მონარქიულ მოძრაობას გერმანიაში. ამაკენიბებდენ და ხოცავდენ პროლეტარიატის ლიდერებს—კომუნისტებს, ასაბლაბდენ მუშებს.

რაც შეეხება კომუნისტების მკვლელობს თვარ გვარდიელებს კი პირიქით ახალისებდენ კიდეც. ასეთია საზოგადოთ გამეფებული ე. წ. დემოკრატიზმის სახელშეფოს შინაარსი. არა ერთხელ გაუფრთხილებია გერმანიის დღევანდელი გამოტვინებელი, დემოკრატიული მთავრობა გერმანიის კომუნისტურ პარტიას! არა ერთხელ მოუწოდა მან ბურჟუაზიის იარაღის აყრისაკენ, მაგრამ იუნკერების განიარაღებას მაგიერ იარაღს ყრიდენ თვით მუშებს.

დღევანდელმა უნიჭო მთავრობამ გერმანია სრულიათ დაღარჩინა ეერსელის ხელშეკრულებით. იგივე მთავრობა თვისი გამაცემლობით პოლიტიკის საშველებით დღეს შიგნიდან აღარჩობს გერმანიის მონარქისტულ მოძრაობაში, რომელიც ფაქტიურათ მან გაიფეთქა.

გერმანიის მუშათა კლასმა და პროფესიონალურმა კავშირებმა ბევრი რამ უნდა ისწავლოს რუსეთის პროლეტარიატისაგან და, უმთავრესად კი, ის, რომ რეფისტიგებს და პარლამენტებს მონარქიზმის მეტი არაფერი არ მოაქვთ პროლეტარიატისათვის.

კლასობრივი, შეურიგებელი ბრძოლა და არა კლასობრივი შეთანხმება, ასე სთქვა რუსეთის პროლეტარიატმა ოქტობრიში და იგივე უნდა გაიმეოროს გერმანიის პროლეტარიატმაც. სხვა გზა გერმანიის დიდი ხანია აღარ აქვს. დემოკრატიული ილიუზიები დაღმა და ძირშივე ისმობა.

გერმანიის იხსნის მხოლოდ ოქტომბრისებური გადატრიალება. ამ მხრით გერმანიის პროლეტარიატი მართლაც დაირაზმა! ჩვენ დაწუწუნებული ვართ, რომ დღევანდელი მეწარე გაკვეთილები გამოიყენებული იქნება გერმანიის მუშათა კლასის მიერ და ის ერთხელ და სამუდამოთ დაირაზმება ძირდამალულ პეტეტუზის და მის ლაქიების „დემოკრატებან“ წინააღდეგ.

გერმანიის პროლეტარიატს, მეზობელი გლეხკლასის და სიერთოდ მთელი ხალხის ბედ-იღბალი დღეს შეუძლია გადასჭრას გერმანიაში მთლიან მეშურ მოძრაობას—მონარქიზმს და ბურჟუაზიული მთავრობის სრულიად დამბოლი, ასეთ განსაკუთრებულ დღეს გერმანია. ვნახოთ რას გვეტყვის ხელნდელი დღე!

„კუზიანს სამარე თუ გააასწორებენ“.

ბურჟუაზიის ლაქიების ულელს ქვეშ გამოსულმა პროლეტარიატმა თვისი პირველი სიტყვაი საქართველოში შეზრომელი მასის განთავისუფლებისთანავე ამნარტია მისცა თითქმის თვის ყველა მტრებს. მუშათა კლასი და მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია ფიქრობდა, რომ ასეთი ხელგრძელობა ოდნავ მაინც მოიყვანდა ქეკაზე პროლეტარიატის მოღალატეებს, მაგრამ სასტიკათ მოსტყუდა. ნაძირალებმა ასეთი „პატიოსანებმა“ თვისი შავი საქმეებისათვის გამოიყენეს. მათი გაიძვერობა და მოურიდებლობა ყოველგვარ საზღვარს გასცილდა.

ბბ. ყეთოლმა სოციალისტებმა—მენშევიკებმა და ყველა ჯურის შიენისტებმა თვისი მოქმედების ცენტრათ რეინის გზები აირჩნეს. მათ ეარეგან იციან თუ რა დიდი ბნიშენელობა აქვს რკინის გზებს სახელმწიფოს არსებობისათვის და თუმცა ისინი რაიმეს მოაბრეხენენ ამ ძარღვს შეუშალონ ნორმალური მაუის ცემა, რა თქმა უნდა მათი „მიზნისა“ მიღწეული იქნება. ლაშქარი მათი, იმ თავიდანვე იყო ქალაქის სპეკულიანტები, ღეღელ-ფიალენები, პიროს ბრეფ შეუშრობელი გიმნაზიელი მოწაფეები, სტუდენტები და ყველა ჯურის ყეთოელი ინტელიგენციია. ეი ვინ შეიგენდეგ და დღესაც ვინ შეიდგენს ბბ. მენშევიკების „ძლეკეთ მოსილ ლაშქარს“. პირველათ, გასულ წელს, როცა ამბ. სტალინი ეწვია თბილისს და მოიწვიდნა რკინიგზელებისათვის ორიოდე სიტყვა ეთქვა ნაძალადევის თეატრში, ბბ. მენშევიკებმა თვისი ლაშქარი ერთბაშათ ამოეშალეს და პროლეტარიატის ლიდერი არ ალაპარაკეს. ეს ე. წ. „ხმაურობა“ მათვის საქირო იყო, რადგანაც შავი ზღვის იქით გადახვეწილი ეფეტაურები მათ ასე უბრძანებდენ. მას შემდეგ გავიდა ერთ წელზე მეტი. ამ რამოდენიმე დღის წინანდ ისევე ეს ნაძალადევის ამბ. ბ. ბდეგანი აკეთებდა მოხსენებას ეკონომიკურ კონფერენციის შესახებ. მუშებს კი უნდა ეერქნათ თბილისის საბჭოში თვისი დელეგატები.

ბბ. მენშევიკებმა უფრო მეტი გეესლათ ამმუშეეს თვისი „ძალები“. თვალრში თითქმის მთელი ადგილები მათ დაიკიერეს. მუშებმა დაგვიანეს, რადგანაც სახელოსნოებში იმ დროს კიდევ ზედმეტი მუშაობა წარმოობდა. მაგრამ კი მუშების ძალიერ ცოტა ნაწილი იყო. მენშევიკების უდაგილო ხმიალ, ეკერილს, ეორზაეს ხალიკანი არ კონდა.

ტრანსპორტზე მომუშავე კომუნისტო,—გახსოვდეს, რომ ალმოშენებლობითი-ალმდგენელ მუშაობაში უწინარეს ყოველისა უმთავრესი ასპეზისმფელი პირი შენა ხარ!

უკანასკნელი ამბები მერმანიაში.

რატენაუს მკვლელობა.

24 ივნისს, ბერლინში, თავის ბინიდან გამოსვლის დროს მოკლეს გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრი რატენაუ. მკვლელები მიიმალნენ. ამ ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია გერმანიაში მკვლელობას უკავშირებენ უკანასკნელ ხანებში გაძლიერებულ მონარქისტულ მოძრაობას.

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებზე ჩამოშვებულია დროშები.

სასწრაფოდ შესდგა მთავრობის სხდომა, რომელზედაც დაეხსწრენ რეიხსტაგის თავმჯდომარე და პრეზიდიუმი, მთავრობამ გამოუშვა მოწოდება, სადაც ნათქვამია, რომ რესპუბლიკის და მისი დაწესებულებების დასაცავად მიღებული იქნება სასტიკი ზომები.

კვირას, 25 ივნისს, რატენაუს ხსოვნის აღსანიშნავად შეიკრიბა რეიხსტაგი. პრეზიდენტმა ძლიერსა შესძლო დაეშვიდებინა მემარცხენე ფრთა, რომელიც აღშფოთებული იყო ნაციონალისტების მიმართ.

მთავრობის თავმჯდომარე ვირტმა განაცხადა, რომ რესპუბლიკის დასაცავად მთავრობამ მიიღო შემდეგი ზომები:

1. იმ კავშირების აკრძალვა, რომელნიც შემჩნეულნი არიან რესპუბლიკის საწინააღმდეგო მუშაობაში.

2. სახელმწიფოებრივი ტრიბუნალის დაწესება ანტირესპუბლიკანური ხრიკების განსასჯელად. ტრიბუნალის სამ წევრს ნიშნავს რეიხსტაგი და ოთხს—რესპუბლიკის პრეზიდენტი.

3. სამხედრო დღესასწაულების აკრძალვა.

კვირას და ორშაბათს ბერლინში და მიუნხენში ადგილი ჰქონდა დიდ მღელვარებას, მოსდა დემონსტრაციები.

ამაგიერებენ მრავალ პირებს, მათ შორის დამაგიერებულია ფლოტის კაპიტანი ბენეფერიდი, რომელმაც პოსტდამის დღესასწაულზე წარმოთქვა მონარქისტული სიტყვა.

სიტყვის ვითავების შემდეგ ერთბაშათ მოაყარეს ორატორის ერთი და იგივე მოწადინებულობა გაზეპირებული შეკითხვები: „ს

ქართველო, რომ დაახრჩვეთ რუსეთის ჯარით, როდის გავ ეტეთ ეს ჯარი?

„საქართველო შავ ძაღვნია“! „როგორ არის საქართველოს დამოუკიდებლობა“? „როგორ არის საეკლესიო ნივთების საქმე“? და სხვა... თვით ამ შეკითხვებიდან ნათლათ სჩანს თუ ვინ შედგენენ ამ „ეკუბდეტრებული და თაფლთან დასხმული ხალხის ლაშქარს“. მედგეიინენ რომ დაიხვრიტენ ლოკეკას: „ალილუია, ალილუია“ გაეწყვეტენოს, ისე აქვთ ამ ეოკასელ ლეგენს დაზეპირებული იგივე საეკლესიო ლოკეკენნ.. აი რა შეიქნა, ოდესღაც მუშათა კლასში დიდი გაეღენინი სოციალ-დემოკრატიის პარტიის. რაც შეიინისტური შხამი და გესლი გვესმოდა მაგან ერთნაგვარი წლის წინათ, იგივე გვესმის დღესაც.

რა გაისწორე? კუზიანს? მხოლოდ ღრმათ გათხრილი სამარე!

დამსწრე.

რკინისგზელი

კვირიდან კვირამდე
საქართველოში

- მობილიზაცია თფილისში კარგათ მიდის.

- წინასწარი შემუშავებული გეგმით 2 მაისს ღამით შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა თფილისის სამხედრო სასწავლებელს. ჯარისკაცებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. თავდამსხმელთაგანი ორი მოკლეს, ორი დასჭრეს, სამიც დააპატიმრეს. შეტაკების დროს დაიჭრა ორი ჯარის კაცი.

- მთავარ სარდლის განკარგულებით საქართველოს ტერიტორიიდან აკრძალულია ადერბეჯანში გადასვლა, ან იქიდან საქართველოში შემოსვლა.

- სამხედრო სასწავლებელზე თავდამსხმელი - მუშეგიანცი, ბრძიანცი და ერემიანცი სამხედრო სასამართლოს განაჩენით 3 მაისს დახვრეტილ იქნენ.

- გაგრის ფრონტზე ბალშევიკებმა ჩვენი ჯარის წინ პოზიციები დაიკავეს.

- ბათომის და არტაანის მიმართულებით ცვლილება არ მომხდარა.

- ინგლისელებთან შეთანხმებით ჩვენმა ჯარმა ქალაქი ართვინი დაიკავა.

- წითელ ხიდთან ადერბაიჯანის რეგულიარულ ჯართან ბრძოლაა.

ფოილოს ხიდთან ჩვენს სადარაჯო რაზმს 4 მაისს ბრძოლა ჰქონდა მტრის ჯართან. ჩვენი სარდლობის ბრძანებით ფოილოს ხიდი აფეთქებულ იქნა.[1]

1 „რკინისგზელი“, #20, 10 აპრილი, ორსაბათი, 1920, გვ. 4.

კავკასიის კომუნა

ბათომში

ართვინის ოლქი

ბათომის რევკომმა მიიღო საჩივარი ართვინის ოლქის მოქალაქეებიდან, რომელთაც ავიწროებს ოსმალეთის ხელისუფლება . ამის გამო ბათომის რევკომმა გადასწყვიტა გაგზავნოს ოლქში შერეული კომისია და აცნობოს საქართველოს რევკომს ოსმალეთის მხედრობის მოქმედებათა შესახებ[1].

მუშის შრომა

ართვინი

საორგანიზაციო საქმის მიხედვით ართვინში უნდა იყოს შრომის ინსპექცია, რომელშიაც უნდა შევიდეს კვარცხალის სპილენძის ქარხანა, მაგრამ ართვინი და კვარცხანის ქარხანა ჯერ ოსმალოების ხელშია. კვარცხანში ოსმალოს გუბერნატორია და ეს რაიონი სქემიდან უნდა ამოიშალოს.[2]

1 „კავკასიის კომუნა“, #54, 4 მაისი, ოთხშაბათი, 1921, გვ. 1.
2 „მუშის შრომა“, #11, 9 ივლისი, შაბათი, 1921, გვ. 3.